K 80247/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ხოჯივანიშვილი

8Г1
ч-314

ძ. რაჭველიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

სახელგამი
ტფილისი
1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. რაჭველიშვილი

ილია ჭავჭავაძე

(1837 — 1937)

ბიოგრაფიული ნარკვევი

Z 80. 247
3

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი
ტფილისი
1937

8ст092 [ქავქავაძეები]
ქავქავაძეები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
1998-2000

პ./მგ. რედაქტორი—ა. ჭყონია და ვ. ეგნატაშვილი, ტექრედაქტ.—ნ. კაკუშაძე, გამომშვები-კორექტორი—მ. თალაქვაძე, გ. წ. 13/V ხელმოწ. დას. 23/V, წ. ზ. 6×10. ქ. ზ. 62×94. სასტ. ფ. რ. 8. ნიშ. რაოდ. სასტ ფ. — 39.000. მთ. № 167228. შეკ. № 611. ტირ. 5000.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი — ეორესის ქ. № 5.

8 9 20 · 13/23. 4 —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

(ბიოგრაფიული ნარკვევი)

„ქართველი მწერალი და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უპოპულარესი საზოგადო მოღვაწე" — აი როგორ დაახასიათა ილია ჭავჭავაძე საკავშირო კომ. პ. (ბ) ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ" [1]).

ეს შესანიშნავი ფორმულა უეცარი შუქით ანათებს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მრავალ ისეთ საკითხს, რომელთა გადაწყვეტაშიაც ძალიან ბევრი ბუნდოვანება და შეცთომა ბატონობდა სულ უკანასკნელ ხანამდე. აქ, ამ მოკლე, მაგრამ მკვეთრ სიტყვებში მოცემულია სწორი დახასიათება საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქისა, დაწყებული 60-იანი წლებით, ვიდრე მე-20 საუკუნის დამდეგამდე. ამ ფორმულით გასაგები ხდება ბევრი ისეთი მოვლენა, რომლებიც პირველი შეხედვით თითქოს აუხსნელი იყო: თვითმპყრობელობის მონობაში მყოფი, მეფის კოლონიად ქცეული საქართველო იბრძოდა ზემოხსენებულ ეპოქაში თავისი არსებობისთვის, თავისი სახის შენარჩუნებისთვის, თავისი ეკონომიური და კულტურული წარმატებისთვის. მეთოდი და მიზანი ამ ბრძოლისა სხვადასხვა ფენათათვის სხვადასხვანაირი იყო. ამ მოძრაობის მემარცხენე ფრთაზე იდგა — გიორგი წერეთლის ჯგუფი, რომელიც რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკას მოითხოვდა (1870-იან წლებში). ილია ჭავჭავაძე კი მთელი 40 წლის განმავლობაში მის ცენტრში იყო, მისი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო. ეს ბრძოლა, ხანდახან მის ზოგიერთ მონაწილეთა სუბიექტური განწყობილების მიუხედავად, ყოველთვის იყო ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ-რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბრძოლა და ილია ჭავჭავაძესაც სავსებით მართებულად შეგვიძლია ვუწოდოთ ამ მოძრაობის უპოპულარესი საზოგადო მოღვაწე. ვი-

---

[1]) „პრავდა", 1936 წლის 4 სექტემბერი.

მეორებთ, მხოლოდ ამ თვალსაზრისით ხდება გასაგები ჩვენი საზრ-
გადოებრივი ცხოვრების მოვლენები — კერძოდ დაღუპვა დიმიტრი
ყიფიანისა. ნაციონალური მოძრაობა იმდენად მძაფრად
მართული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომ მეფის
იძულებული გახდა ტერორისტული აქტისთვის მიემართნა ისეთი
ზომიერი მოღვაწის წინააღმდეგაც კი, როგორიც იყო დიმიტრი ყი-
ფიანი. ხოლო მეორე მსხვერპლი 1907 წლის შავბნელ რეაქციის
დროს — ეს იყო ილია ჭავჭავაძე, განგმირული იმ შავი ძალების
მოსყიდული ტყვიით, რომელნიც თუ შესძლებოდათ, „თვითონ სა-
ქართველოსაც მოჰკლავდნენ", როგორც სთქვა ვაჟა-ფშაველამ
ილიას დაღუპვის დროს.

საბჭოთა საქართველო ამჟამად დღესასწაულობს ამ დიდი მოღვა-
წის დაბადების ასი წლისთავს. მხოლოდ დღეს, ქართველი მშრო-
მელი ხალხის ბატონობის ხანაში, საბჭოთა ხელისუფლების დროს
ხდება შესაძლებელი ჯეროვნად და ობიექტურად შეფასება ილია
ჭავჭავაძის ღვაწლისა ჩვენი ქვეყნის წინაშე. მხოლოდ საბჭოთა ხე-
ლისუფლების პირობებში ეღება ბოლო იმ ვულგარულ და ნიჰილის-
ტურ დამოკიდებულებას, რომელსაც ზოგიერთნი იჩენდნენ წარსუ-
ლი ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობისადმი. ჩვენ
ახლა სრული საშუალება გვაქვს სავსებით ობიექტურად შევაფა-
სოთ ისეთი ბუმბერაზი ფიგურა, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე,
მივიღოთ მისი მემკვიდრეობა, დავიცვათ იგი, თანახმად იმ ფორ-
მულისა, რომელიც რევოლუციის გენიოსმა ლენინმა მოგვცა: „მე-
მკვიდრეობის დაცვა — სრულიად არ ნიშნავს, რომ ამ მეკვიდრე-
ობით შემოვიფარგლოთ".

„საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი უსათუოდ ან აზრის კა-
ცია, ან საქმისა, ან ორისავე ერთად, თუ ისე ბედნიერად მიმადლე-
ბულია ბუნებისგან, რომ შემძლებელია ერთისა და მეორისაც" —
ამბობს ერთგან ილია ჭავჭავაძე. ასეთი რთული პიროვნება სწორედ
თვითონ ილია იყო. ამიტომ ყოველმხრივად მისი დახასიათება ძა-
ლიან ძნელია. იგი ერთ და იმავე დროს იყო პოეტი, პროზაიკოსი,
პუბლიცისტ-ეკონომისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ფინან-
სისტი და ყველა ამ დარგში თითქმის თანაბრად ძლიერი. ამიტომ
ამ ბიოგრაფიაში ჩვენ აღვნიშნავთ მისი ცხოვრების მხოლოდ მთა-
ვარ მიჯნებს, მაგრამ ისე კი, რომ მათი შემწეობით ცხადი გახდეს
ილია ჭავჭავაძის მრავალფეროვანი მოღვაწეობის ხასიათი.

ილია დაჭაბუკდა ბატონყმურ საქართველოში, მოწმე იყო გლეხ-
თა განთავისუფლებისა; იგი მოესწრო პროლეტარიატის გაძლიერე-
ბას საქართველოში და პირველ რევოლუციას, ამიტომ ბიოგრაფიას-

თან დაკავშირებით, ჩვენ მოგვიხდება მოკლედ შევეხოთ იმ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელშიაც დაიბადა, აღიზარდა და მუშაობდა ეს უდიდესი მოღვაწე, პოეტი, პუბლიცისტი და თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

ილიას დაბადება. ჭავჭავაძეების გვარი. ილიას დედ-მამა. მაშინდელი კახეთი. ილიას და-ძმანი. ვინ აცწავლა ანბანი.

ილია დაიბადა კახეთის სოფელ ყვარელს 1837 წლის 27 ოქტომბერს, ადგილობრივი მემამულის გრიგოლ პაატას-ძის ჭავჭავაძის ოჯახში.

არის გადმოცემა, რომ ჭავჭავაძეები ოდესღაც კახეთს ხევსურეთიდან გადასულან. ისტორიაში ეს გვარი ჩნდება მე-15 საუკუნიდან, ხოლო თავადობას ღებულობს მე-18 საუკუნის დამდეგს, კახეთის მეფის კონსტანტინეს დროს.

ილიას მამა, გრიგოლ ჭავჭავაძე, ხელმოკლე მემამულე იყო. დიდ თავადად და მემამულედ მაშინ ითვლებოდნენ გარსევან ჭავჭავაძის ჩამომავალნი — ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი ოჯახი, რომლებსაც, თითქოს დანარჩენ ჭავჭავაძეთაგან განსხვავებით, „კნიაზიანთს“ ეძახდნენ.

ილიას დაბადების ხანა — ეს იყო ხანა, ერთი მხრივ ბატონყმობის გაძლიერებისა, ხოლო მეორე მხრივ, მთიელებთან ბრძოლის გამწვავებისა. მაშინდელ თავად-აზნაურობაში უკვე მომხდარი იყო ერთგვარი დიფერენციაცია. დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა და მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას, მცირე ნაწილი კი სახელმწიფო, უმთავრესად სამხედრო სამსახურში იყო ჩაბმული. მთიელებთან ბრძოლა, მუდმივი ომიანობა, სწრაფი სამხედრო კარიერის გაკეთების საშუალებას იძლეოდა და ვისაც კი შეეძლო, ყველა ამ დარგისაკენ მიისწრაფოდა. გავიხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც მხოლოდ ფიზიკური ნაკლის გამო ვერ შევიდა სამხედრო სამსახურში. თვითონ იგი შესანიშნავად ახასიათებს მაშინდელი თავად-აზნაურული ახალგაზრდობის სულისკვეთებას ერთერთ კერძო წერილში (1844 წ. გრიგოლ ორბელიანისადმი): „ჩვენი ყმაწვილკაცები, ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმაწვილებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი, სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად; ესენი სულ სარდლები არიან ქართველთა ჯარისა“. ეგრეთწოდებული მილიცია კი გლეხებისაგან შედგებოდა.

კახეთი, როგორც მომიჯნავე, ხშირად იყო ხოლმე ობიექტი მთიელების (განსაკუთრებით ლეკების) თავდასხმისა. თვითონ ილიას სახლის ეზოში დიდხანს იდგა ძველებური, მაღალი კოშკი, რომელსაც თავს შეაფარებდნენ ხოლმე შიშიანობის დროს. ... წამოიზარდა, კახეთს შედარებით უკვე წყნარი ცხოვრება ჰქონდა, ასე რომ ამას გაზეთ „კავკაზში“ 1852 წელს ერთერთი თანამშრომელი (კ. ძიუბინსკი) საგანგებოდ აღნიშნავდა. მაგრამ არ გასულა 2 წელიწადი (ილია მაშინ 16 წლისა იყო), რომ შამილის ჯარი თავს დაესხა წინანდალს (1854 წელს), და გაიტაცა პოეტ ალ. ჭავჭავაძის შვილის დავით ჭავჭავაძის ოჯახი. სწორედ იმ წელიწადს დაიღუპა ლეკებთან შეტაკებაში ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე.

ილიას მამა გრიგოლიც, დაბადებული 1812 წელს, სამხედრო პირი იყო. მას უმსახურნია ოფიცრად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. სამსახურისათვის თავი რომ დაუნებებია, პორუჩიკის ჩინი ჰქონია (1841 წ.) და მას შემდეგ სიკვდილამდე სოფლად უცხოვრია. მაშინდელ კვალობაზე გრიგოლ ნასწავლ კაცად ითვლებოდა. ილიას სიცოცხლეში გამოსული ბროშურის ავტორი მ. ნასიძე („მე გ ა ხ ლ ა ვ ა რ“), ილიას მამაზე ამბობს: „გრიგოლ ჭავჭავაძე მთელს კახეთში ცნობილი იყო, როგორც ენამახვილი და სიტყვა — მოსწრებული კაცი. თავის დროზე ზომიერი ხუმრობა უყვარდა“ [1]). მიუხედავად ამისა, როგორც გრიგოლ ყიფშიძე გადმოგვცემს ილიას ნათქვამს, მას სახის სასტიკი გამომეტყველება ჰქონია, „სახლში ხშირად იყო დაფიქრებული და სასტიკის დუმილით მოცული. ეს ორივ თვისება — ნიჭი ოხუნჯობისა და სასტიკი დუმილი, განაგრძობს ყიფშიძე, — დიდხანს ყოფნა ხმაამოუღებლივ, გამოჰყვა მის შესანიშნავ შვილსაც“ [2]).

ილიას დედა იყო ტფილისელი გაქართველებული სომხის ბებურიშვილის ქალი, სახელად მაგდან (მარიამ). მან მშვენივრად იცოდა ქართული მწერლობა. ილია ამბობს თავის „ავტობიოგრაფიაში“: დედას „ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ დაბეჭდილი, ან ხელნაწერადო“. იგი ძალიან ახალგაზრდა, სულ რაღაც 14 წლისა ყოფილა, როდესაც გრიგოლი მასზე დაქორწილებულა. გათხოვებისას ქმრის სარწმუნოება — ეგრეთწოდებული მართლმადიდებლობა მიუღია და ხელმეორედ ძონათვლისას წინანდელი სახელი მაგდან მარიამად შეუცვლიათ.

---

[1]) ი. ჭავჭავაძე—ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი. ტფილისი. 1898 წ. გვ.. 1 — 2.

[2]) ი. ჭ-ს თხზულებანი. მ. გედევანიშვილის გამოცემა, გვ. 41.

გრიგოლს და მაგდანს სულ ექვსი შვილი ჰყოლიათ: კონსტან-
ტინე, რომელიც 1854 წელს მოჰკლეს ლეკებთან შეტაკების დროს;
ნინო—ნიკოლოზ აფხაზის მეუღლე, მესამე—ილია, მეოთხე — ერი-
საბედ — ჯერ ჯამბაკურ-ორბელიანის, ხოლო დაქვრივებული
დეგ გენერალ-ლეიტენანტ საგინაშვილის მეუღლე; [illegible]
რომელიც 18 წლისა გარდაიცვალა მოსკოვს, კადეტთა კორპუსში
სწავლის დროს. ერთი ვაჟი — სვიმონ ბავშვობაშივე დაჰკარგვიათ.

მაგდანი ძალიან მოსიყვარულე და მზრუნველი დედა იყო. „სა-
ღამოობით დაგვსხამდა ბავშვებს — მოგვითხრობს ილია „ავტობიო-
გრაფიაში", — და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს; წაკითხვის
შემდეგ გვიამბობდა მათ შინაარსს და მეორე დღის საღამოს გვკი-
თხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო.
ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვა-
ფასებდით". ერთერთი საყვარელ-სათაყვანებელი წიგნი ილიას დე-
დისა და ბავშვებისა — ეს იყო „ვეფხისტყაოსანი". ილიას ბავშვო-
ბაშივე კარგად ჰქონდა შეთვისებული ქართველი ხალხის ეს უკვდა-
ვი ნაწარმოები და ამით აიხსნება, რომ თავის პირველსავე მოთხრო-
ბებში („გლახის ნაამბობი" და სხვ.) ილია მრავალჯერ ალაპარაკებს
თავის გმირებს რუსთველზე, მის ნაწარმოებზე და მრავალი პწკარი
მოჰყავს პოემიდან, როგორც სიბრძნისა და სილამაზის უშრეტ წყა-
როდან.

ათ წლამდე ილია სოფელში იზრდებოდა. ქართული წერა-
კითხვა მას ასწავლა ადგილობრივი გლეხების ბავშვებთან ერთად
სოფლისავე დიაკვანმა. ხსენებული დიაკვანი ძალიან კარგი მცოდნე
იყო ქართულისა და შესანიშნავი თხრობა იცოდა სხვადასხვა ამ-
ბისა; საქართველოს ისტორიიდანაც ბევრჯერ უამბობდა ხოლმე
ბავშვებს. თუ რამდენად მომხიბლავი იყო ეს მოთხრობები, ამას
ადასტურებს თვითონ ილია თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ:
„ბევრი ამ ამბავთაგანი, ამბობს იგი, ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი
მათ შორის — „დიმიტრი თავდადებული", თემად გამოვიყენე მრა-
ვალი წლის შემდეგ. ჩემს „გლახის ნაამბობში" ზოგიერთ ადგილას
ცხადად ამჩნევია კვალი დიაკვნის ნაამბობის გავლენისა" (იხ. „ავ-
ტობიოგრაფია"). ფრიად თვალსაჩინო როლი ითამაშა ილიას აღ-
ზრდაში აგრეთვე მისმა მამიდამ — ერისთავის მეუღლემ მაკინემ.
როგორც მ. ნასიძე მოწმობს, ის იყო „დიდი მწიგნობარი, დიდი გა-
ნათლებული და ნაკითხი თავის დროის შესაფერად". მან უდიდესი
ამაგი დასდო თავის ძმისწულებს და მაშინაც კი, როდესაც ილია
უკვე მოწიფული ვაჟკაცი იყო, მოხუცებული მაკინე მზრუნველო-
ბას არ აკლებდა და ყოველი მისი ნაბიჯი ეინტერესებოდა.

ილია 10 წლისა იყო, როდესაც დედა სულ ახალგაზრდა (30 წლისა) გარდაეცვალა (1848 წ.) „დავრჩით ობოლნი, მცირეწლოვანნი“ — მოგვითხრობს პოეტის და ელისაბედ საგინაშვილი[1]. გრიგოლს თავისი დის, უკვე დაქვრივებული მაკინე ერისთავისგან უთხოვნია — „ჩემთან გადმოსახლდი, ბავშვების აღზრდაში დამეხმარეო“. მაკინემ „მიიღო დედობრივი მზრუნველობა ობლებზე — განაგრძობს ელ. საგინაშვილი. ფრიად კეთილ, ღვთისმოყვარე, ქართულ მწიგნობრობაში, საღმრთო წერილში განვითარებულს, ყოვლად პატივცემულ ადამიანთან აღვიზარდენითო“.

ილიას ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო სოფელი ყვარელი, იქაური მთები, ალაზანი და საერთოდ კახეთი, რომლებსაც რამდენიმე მშვენიერი ლექსი უძღვნა. ალბათ, ლეკებთან შეხლა-შემოხლასა და ძმის დაღუპვას ჰგულისხმობს ილია, როდესაც ყვარლის მთებს ეუბნება:

> აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
> თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
> გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი.

მეორე მხრივ, უკვე 40 წელს გადაცილებული ილია მელანქოლიურად იგონებს თავის სოფელს პატარა მოთხრობაში („ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“), რომელშიაც არის ავტობიოგრაფიული ხაზები:

„ვხედავ ჩემს თავს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებს შორის, ამბობს იგი. ვხედავ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშვურის სიხარულითა დედას, მამას. მესმის ტრედივით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედაჩემისა, მამიჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა“.

ამ მოთხრობის ავტოგრაფიულობას ამტკიცებს, ის გარემოებაც, რომ იგი დაწერილია 1880 წ., როდესაც გარდაიცვალა ილიას და ნინო. ცოლისადმი წერილებიდან ჩანს, თუ რაოდენ უყვარდა ილიას იგი. უკვე ხანში შესული პოეტი გულახდილად ეუბნება-

---

[1]) გ. ლ ე ო ნ ი ძ ე — — მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისთვის“. „ლიტერატ. მემკვიდრეობა“, გვ. 554.

მეუღლეს: როცა კი მომაგონდება საბრალო ნინო, არ შემიძლია ტირილისაგან თავი შევიკავოო.

ზემოხსენებული მელანქოლიური სტრიქონები, უეჭველია, სულიერი განწყობილებით არის გამოწვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დავუბრუნდეთ ილიას ბავშვობას. აი, რას ამბობს მისი გამზრდელი სალომე ლიღლაძე: „ცელქობა და თამაშობა აგრერიგად არ უყვარდა. ძლიერ მეცადინეობდა და კითხვა უყვარდა. მეტისმეტი ჯანმრთელი იყო, ძლიერ სრულიც, ასე რომ ეშინოდათ კიდეც მშობლებს ამისი გადაჭარბებულ სიმსუქნისა. პატარაობიდანვე ლექსებს გამოსთქვამდა ხოლმე. მახსოვს, ძალიან კარგი ლექსები გამოსთქვა კოშკზე, მარანზე. ხშირად მოიხმობდა ხოლმე ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა.

ერთხელ ერთმა რაღაც ბინძური ლექსი უთხრა, ილიას არ ეჭაშნიკა და მოლექსე გააგდო: შენ კარგი ლექსები არ გცოდნიაო. მეტისმეტად ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს. ხშირად გაგზავნიდა ხოლმე მისი მამიდა მუშების დასათვალიერებლად და სამუშაოდ დასაძახებლად. ილია მალე დაბრუნდებოდა მარტო და არავის მოიყვანდა. მამიდა გაუჯავრდებოდა ხოლმე. ილია კი უპასუხებდა: „ოჰ, მამიდავ, ისე ტკბილადა სძინავთ ჩრდილში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენო“. [1]).

მალე დგება მომენტი, როდესაც ილიას მამა იწყებს მისი შემდგომი სწავლისთვის ზრუნვას. 1848 წელს ილია მიჰყავთ ტფილისს და აბარებენ იანიშევსკისა და ჰაკეს პანსიონში.

აქ უნდა გავიხსენოთ ერთი შემთხვევა, გადმოცემული ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს მიერ თვითონ ილიას ნაამბობის მიხედვით: „სანამ ქალაქს ჩამომიყვანდნენ — გვითხრა ერთხელ პოეტმა ი. გოგებაშვილთან სადილზე — მე ხშირად მაციებდა და ტყირპი გამიდიდდა... ქალაქს რომ ჩამომიყვანა მამაჩემმა, ყველა ექიმები დამასიეს, მაგრამ ვერას გახდნენ. მაშინ ვილაც ერთი ფერშალი მომიყვანეს ავლაბრიდან. კაბა ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა, ჩოფურა იყო. ხატვა რომ ვიცოდე, დავხატავ, ისე ცოცხლად მახსოვს მისი სურათი. იმან წამალი დამალევინა, წამისვა ტყირპზე რაღაცა და სთქვა: თავის დღეში ამას აღარ გააციებსო. მართლაც მას აქეთ ჩემთვის არ გაუციებიაო, დაამთავრა პოეტმა [2]“.

---

[1]) გ. ლ ე ო ნ ი ძ ე — „ნასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის“. „ლიტ. მემკვიდრეობა“, გვ. 557.

[2]) ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა. ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან. „მნათობი“ 1936 წ. № 5—6, გვ. 233.

II

ილიას სწავლის ხანა. ვორონცოვის პოლიტიკა. ყირიმის ომიანობა და გლეხობის უკმაყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ ილიას ბავშვობა და გიმნაზიაში სწავლა ემთხვევა ცნობილი ვორონცოვის მეფისნაცვლობის ხანას, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ზოგი მხრით საყურადღებო გახდა. 40-იანი წლები საერთოდ მთიელებთან ბრძოლის გაძლიერების ხანა იყო. რუსეთის თვითმპყრობელობა ცდილობდა ერთი დაკვრით დაემორჩილებინა ჩაჩან-ლეკები. მაგრამ 1841 — 43 წლები შამილის გამარჯვებათა წლები იყო, რამაც მისი პრესტიჟი ძალიან ასწია. მარტო 1843 წლის აგვისტოს დამლევიდან 22 დეკემბრამდე რუსის ჯარს მოუკლეს 3000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, წაართვეს 35 ზარბაზანი, აუარებელი ვაზნა. შამილმა ნაცარტუტა აადინა რუსთა 12 ციხე-სიმაგრეს.

ვორონცოვმა თავდაპირველად იერიშითვე სცადა მთიელთა დამარცხება, მაგრამ ვერას გახდა. მალე იგი დარწმუნდა, რომ ამ საქმეს დიდი დრო უნდოდა. საჭირო იყო გზების გაყვანა, დაპყრობილის სისტემატურად გამაგრება და მხოლოდ მერე წინსვლა, ასე რომ წელიწადში დაახლოვებით 20 ვერსით წაიწევდნენ ხოლმე წინ. ამიტომ აუცილებელი გახდა აგრეთვე ადგილობრივ ძალებზე უფრო მეტად დაყრდნობა და მათი გამოყენება იმპერიალისტური მიზნებისთვის.

ვორონცოვი განათლებული და ჭკუიანი კოლონიზატორი იყო. მან კარგად გამოიანგარიშა, თუ რაოდენ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ქართველ თავად-აზნაურობას, როგორც საომარ მასალას, აგრეთვე თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ზურგის სიწყნარეს. ამიტომ ვორონცოვმა თავი ანება წინამორბედების „ურა-პოლიტიკას“ და ქართველი უმაღლესი წოდება დაიახლოვა. ამ დაახლოვებას იგი ცდილობდა როგორც ქართველი მოხელეების დაწინაურებით, ისე სხვადასხვა კულტურული ჩვევის გავრცელებითა და გარეგანი ევროპეიზაციის შემოღებით. უკვე 1845 წელს ვორონცოვი მეფისადმი მოხსენებაში სწერდა: აქ ნამეტნავად ბევრია უსაქმოდ მოხეტიალე რუსის მოხელეობა. „ამას გარდა, ყოველწლიურად მატულობს იმ ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვი, რომელნიც განათლებას ღებულობენ რუსეთის გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში. ისინი ცდილობენ ადგილის შოვნას. ვიღებ რა მხედველობაში ყველა ამ გარემოებას, მე განკარგულება გავეცი, რომ თუ განსაკუთრებული საჭიროება არა, ისე აღარ გამოიწვიონ რუსეთიდან

მოხელეები და თუ ასეთი საჭიროება იქნება, ყოველ ცალკე შემთხვევაში ჩემი ნებართვა ითხოვონ ხოლმე". [1]).

ვორონცოვი, ამნაირად მფარველობდა ქართველ თავადაზნაურობას, ცდილობდა გარეგანი ევროპეიზაციის გზით კიდევ-კიდევ ძეტად დაეკავშირებინა ადგილობრივი მკვიდრნი მაშინდელ რუსეთთან. მან დაარსა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი, მოაწყო ოფიციალურ გაზეთ „კავკაზის" (1846 წ.) და „Кавк. календарь"-ის, გამოცემა. ამ გამოცემაში მრავალი მასალა თავსდებოდა ადგილობრივი ცხოვრების შესახებ. მანვე შექმნა ეგრეთწოდებული, „პრიკაზი", რომლის დებულების მეორე მუხლში ვკითხულობთ: „პრიკაზი, გარდა იმ ზოგადი ვალდებულებებისა, რომლებიც დაკისრებული აქვთ შიდაგუბერნიების პრიკაზებს, ეწევა ამიერკავკასიის მხარისათვის სასესხო ბანკის მაგივრობასო".

ვორონცოვის დროსვე დაარსდა ტფილისში რუსული თეატრი, იტალიური ოპერა და ბოლოს დაიწყო ქართული წარმოდგენები. პირველი ასეთი საჯარო წარმოდგენა („გაყრა") გაიმართა 1851 წლის 14 (1) იანვარს გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით. ამ წელს 22 წარმოდგენა დაიდგა და თეატრს, ვორონცოვის განკარგულებით, პირველ სამ წელიწადს ხაზინიდან დახმარება ეძლეოდა.

1852 წელს იმავე გიორგი ერისთავის რედაქტორობით და ვორონცოვისავე მფარველობით გამოდის „ცისკარი" — პირველი ქართული „სიტყვიერებითი ჟურნალი", რომლის გარშემოც იკრიბებიან მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე პირები.

მალე დაიწყო ყირიმის ომიანობა. და სწორედ ამ დროს მოშორდა ამიერკავკასიას ვორონცოვიც.

ვორონცოვის ლიბერალიზმი ეხებოდა და შეიძლებოდა შეხებოდა მხოლოდ ზედაფენებს. გლეხობა კი მუდამ დიდ გაჭირვებაში იყო როგორც ბატონყმობის უღლის, ისე გამუდმებული ომიანობის გამო. იგი იბრძოდა თავისუფლებისთვის და მთელი რიგი აჯანყებანი მოახდინა. ყირიმის ომის დროინდელი ადგილობრივი გაზეთი „კავკაზი" რომ გადაათვალიეროთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ ქართველი ხალხი აღტაცებულია და ხალისით მიდის ომში. ტფილისის ქუჩებში, განსაკუთრებით ყაბახზე (ახლანდელ კომუნარების ბაღში) ხშირია საზეიმო პარადები ქართველთა მილიციისა, რომელსა მიმართავენ მაღალფარდოვანი სიტყვებით. მაგრამ სინამდვილე სულ სხვა იყო და ამ სინამდვილის მოწმობაც გვაქვს.

1865 წელს ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე გერცენის „Колокол"-

---

[1]) С. Эсадзе, Историч. Записка. об управл. Кавказом. ტ. I, გვ. 88

ში შემდეგს სწერდა, როგორც იმდროინდელი ამბების მომსწრე და მცოდნე: „ეს იყო 1855 წელს, შემოდგომაზე. ცნობილია, რომ ამ დროს რუსეთს მძიმე ომი ჰქონდა ევროპასა და ოსმალეთთან. ოსმალეთმა, ომარ-ფაშის სარდლობით, სამეგრელოში, რედუტ-ყალეს ლობლად, ჯარი გადმოსხა. ომარ-ფაშის ემისრებმა ხალხში ხმა დაჰყარეს: „მოკავშირენი ბატონყმობას მოსპობენო“, და რამდენისამე დღის განმავლობაში მთელი სამეგრელო ომარ-ფაშას დაჰნებდა; ქართველთა სამილიციო ჯარმა კი, რომელიც 1853 წელს კარგად იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ, რუსებს უღალატა და ენგურზე რუსეთის ჯარი მიატოვა. საქართველო, ქართლ-კახეთი და იმერეთი მზად იყვნენ სამეგრელოსათვის მიებაძნათ, მაგრამ თავად ბებუთოვის ჯარებმა ეს ქვეყნები დაიჭირა, ხოლო რამდენისამე თვის შემდეგ ომი პარიზის ტრაქტატით დამთავრდა“. [1])

ორი წლის შემდეგ (1857 წ.) კი, მოხდა სამეგრელოს გლეხობის დიდი აჯანყება.

ყველაფერი ეს საბაბს აძლევდა მარქსს, რომელიც ყირიმის ომს დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს და რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობის დამარცხება სურდა, დაეწერნა: „საქართველოეს არის რუსული პოლონეთი კავკასიაშიო“. [2])

ჩვენ ამ ამბებზე შედარებით ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ ყველაფერი ეს ჰქმნიდა უკმაყოფილების ატმოსფეროს, რომელშიაც ვაჟკაცდებოდა ილია და რაც წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჭაბუკ პოეტზე.

დავუბრუნდეთ ახლა ისევ ილიას სწავლას.

III

ილია ჰაკეს პანსიონში. ილია გიმნაზიაში. მისი მასწავლებლები. როგორ სწავლობდა ილია.

ჰაკეს სასწავლებელი თუ პანსიონი, რომელშიაც პატარა ილია მიაბარეს, ტფილისში მაშინ ყველაზე უკეთესი იყო. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ილია აქ ერთხანად გარედან მოსიარულედ ყოფილა. ე. ი. პანსიონში არ უცხოვრია. ალბათ ამ დროზე ლაპარაკობს პოეტის და ელისაბედ: „ერთ წელიწადს ზამთარში ვცხოვრობდით ქალაქში ილია... იმ ზამთარს ჩვენთან ცხოვრობდა, თავისთვის საკუთარი ოთახი ჰქონდა“. [3])

---

[1]) ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები ს. ხუნდაძის რედაქციით. ტ. I. გვ. 169—70.

[2]) მარქსის თხზულებანი (რუსულად), 1935 წ. ტ.X, გვ. 555.

[3]) გ. ლეონიძე — „ლიტ. მემკვ“. გვ. 555.

მეტი არ იქნება მოვიყვანოთ თვითონ ილია ჭავჭავაძის ნაწერ-მობა იანიშევსკისა და ჰაკეს პანსიონის შესახებ. პანსიონს მაშინ გა-ნაგებდა, ამბობს ილია „ავტობიოგრაფიაში“, მხოლოდ ერთი ჭაკი ჰაკე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი. [illegible] დან დაიბარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალმა ნეიდგარდტმა თავის შვილების აღსაზრდელად... შემდეგ იგი ტფილისში დარჩა და პედაგოგ იანიშევსკისთან ერთად პანსიონი მოაწყო. ჰაკე სასტიკი კაცი იყო , მაგრამ თან იმდენად მამობრივ მზრუნველობას იჩენდა თავის შეგირდების მიმართ, იმდენს ცდილობდა და ყურს უგდებდა, რომ თითქმის მთელ თავისუფალ დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა. ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკითა, მართავდა ხელდახელ კონცერტს როიალზე, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა“.

1850 წლის დამლევს ი. ჭავჭავაძე შესულა უკვე ტფილისის გიმნაზიაში. ეს იყო 1802 წელს დაარსებული ეგრეთწოდებული კეთილშობილთა სასწავლებელი, გადაკეთებული გიმნაზიად 1829 წლის 2 აგვისტოს — (შემდგომ ტფ. I გიმნაზია). 1833 წლიდან გიმნაზია მოთავსებული იყო ახლანდელ რუსთველის პროსპექტზე, სადაც ამჟამად I სკოლაა. ამ გიმნაზიაში აღიზარდა სხვა ქართველ მოღვაწეთა შორის ნიკოლოზ ბარათაშვილიც.

ერთხანად ილია გიმნაზიაში პანსიონიდან დაიარებოდა. მის დროს ეგრეთწოდებული საკომერციო გიმნაზიაც კეთილშობილთა სასწავლებელს შეუერთეს და ერქვა: ტფილისის სათავად-აზნაურო და საკომერციო გიმნაზია. 1853 წელს ამ სასწავლებლის ინსპექტორი იყო ალექსანდრე პავლეს-ძე ზაიცევი, ხოლო გიმნაზიის მზრუნველებად ითვლებოდნენ ცნობილი დიმიტრი უფიანი და ათ. ლორის-მელიქოვი. მასწავლებლები მაშინ ორ წყებად იყოფოდნენ. იყვნენ უფროსი და უმცროსი მასწავლებელნი. ილიას დროს ასწავლიდნენ: რუსულ სიტყვიერებას ვას. მიხ. სპერანკი და გ. ტ. ზახაროვი; ისტორიას—ი. კ. გულიელმი, ლ. პ. ზაგურსკი, შემდეგ ვ. კ. გეორგიზონი; ქართულ ენას—ზაქარია სტეფანესძე ყორღანოვი და ი. თურქესტანიშვილი; გეოგრაფიას — ბეკხანოვი; ბუნებისმეტყველებას — ა. ბეკეტოვი და სხვანი. ამ მასწავლებელთაგან ყორღანოვი მასწავლებლობდა, „უკვე ღრმად მოხუცებული, 60-იან წლებშიაც (იხ. პროფესორ პ. მელიქიშვილის მოგონებანი „ქართ. მწერლობა“, 1927 წ. № 5).

აქ მოხსენებული ზაგურსკი, ისტორიის მასწავლებელი, კრიტიკოსი და კავკასიისმცოდნეობის ბიბლიოგრაფიც იყო. მას ილიასთან ურთიერთობა ჰქონია 60-იან წლებშიაც, რადგან 1863 წელს ილია

სწერს თავის საცოლოს ოლღა გურამიშვილს: წერილი იმიტომ დაგიგვიანე, რომ წუხელის ზაგურსკი იყო ჩემთან ღამის ერ სალამდეო. ზაგურსკი მონაწილეობდა რუს. გეოგრაფ. საზ-ბის კოფილების სამეცნიერო კრებულებში, საერთოდ განათლებული ადამიანი იყო და ალბათ ილიაზეც ჯეროვანი გავლენა ექნებოდა. ილიას უფროს კლასებში ყოფნისას გიმნაზიაში მოწაფეთა ზედამხედველად მსახურობდა „ცისკრის" მომავალი რედაქტორი ივანე კერესელიძეც.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ნაკლებად გვაქვს ცნობები ილიას გიმნაზიელობის და საერთოდ ტფილისში მისი ცხოვრების შესახებ. უნდა ვიფიქროთ კი, რომ ილია თავიდანვე ყოველთვის მხურვალე მონაწილე იყო ყოველგვარი საზოგადოებრივი წამოწყებისა. უეჭველია, ის ესწრებოდა იმ ქართულ წარმოდგენებს, რომლებიც მაშინ ასე აფრთოვანებდა ახალგაზრდობას და შეიძლება თვითონაც თამაშობდა შინაურ სპექტაკლებში. ეს მით უმეტეს. ჩვენ გვაქვს მერმინდელი მოწმობა, რომ ილია მონაწილეობდა ცოცხალი სურათების დადგმაში. ახლა კი მოვიყვანთ ილიას სიყრმის მეგობრის კოტა აფხაზის ნაამბობს იმ ჩვენთვის საინტერესო ხანის შესახებ. კოტა აფხაზი ილიასთან ერთად სწავლობდა როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში, ამიტომ მისი მოწმობა სანდოა და საყურადღებო.

ვიდრე კოტა აფხაზის ცნობებს მოვიყვანდეთ, აქ გავიხსენებთ ერთს ეპიზოდს, რომელსაც გადმოგვცემს ალ. მირიანაშვილი, ილია ჭავჭავაძის თანამედროვის და ბავშვობის მეგობრის ეკატერინე კრიჟანოვსკის ნაამბობის მიხედვით. ილიას დედა რომ გადაეცვალა, მამამისმა გრიგოლმა ცოტა ხანს შემდეგ მეორე ცოლის შერთვა მოინდომა თურმე. საცოლე საკმაოდ ხანგადასული იყო, მაგრამ სახარბიელო მზითევი ჰქონდა. პატარა ილიას ძალიან სწყინდა მამის განზრახვა. თავდაპირველად თუმცა ვერას გახდა, მაგრამ მერე ოინი მოუწყო. როდესაც მამამ დააპირა ქვაშვეთის ეკლესიაში ჯვრისწერა, იქ დახვდნენ პატარა ბიჭები, ხელში ნაცრით სავსე კალათები ეჭირათ თურმე, აამტუტეს იქაურობა და ხმამაღლა ყვიროდნენ:

გოდორი და კალათა,
ბებერს ჰრთავენ ქალათა,
გრიგოლ ჭავჭავაძესა,
ჯვარსა სწერენ ძალათა!

მამა ძალიან გაბრაზდა თურმე, მოხდა სკანდალი და ქორწილიც ჩაიშალა. [1])

---

[1]) „თემი", 1913 წ. № 122.

ახლა მოვუსმინოთ კ. აფხაზს: „უნდა მოგახსენოთ, რომ ილია პატარაობიდგანვე. მართალია, როგორღაც მიუკარებელი და ეფერ ჩუმი იყო, მაგრამ ამასთანავე მაშინათვე ოხუნჯობის დიდი ნიჭი ემჩნეოდა. მეტისმეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და ფიალ მე სასაცილოდ აიგდებდა, მართლაც რომ მიწასთან გაასწორებდა.

К 80.947
.3

ი. ჭავჭავაძე სტუდენტობაში

გიმნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდად ითვლებოდა, მაგრამ ზარმაციც დიდი იყო. როდესაც მოახლოვდებოდა გამოცდა, მაშინ ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორ-სამ საათში იმოდენას შეისწავლიდა და დასძლევდა, რომ სხვას ამისათვის ორი

დღეც მოუნდებოდა. გასაკვირველი ის იყო, რომ ამგვარი შესწავლა, როგორც მოსალოდნელია, არ იყო ზერელე, პირიქით, რასაც კი მეისწავლიდა, უსათუოდ ზედმიწევნით. მოძრაობა ისე რიგად [illegible] ვარდა ილიას და პატარაობიდანვე დაბალი ტანისა [illegible] აგებულების იყო. ამხანაგებს აგრერიგად არ უახლოვდებოდა, მაგრამ ამხანაგის გამტანი და მხარის დამჭერი კი ყოველთვის იყო". [1])

ილია ჭავჭავაძის, როგორც მოწაფის, დასახასიათებლად, ჩვენ მოგვეპოვება მისი წარმატების ნიშნები. ილიას მე-4 კლასში ასეთი ნიშნები ჰქონია:

სამღრთო სჯული	3
რუსული ენა	5
ქართული ენა	5
ლათინური	3
ალგებრა	3
გეომეტრია	4
გეოგრაფია	2
ისტორია	4
ფრანგული	4
ნიჭიერება	4
მეცადინეობა	3
ყოფაქცევა	4½

როგორც იგივე კ. აფხაზი მოწმობს, ილია ჭავჭავაძეს ახალგაზრდობაშივე ეტყობოდა ის ფარული, მაგრამ ძლიერი ტემპერამენტი, რომლითაც განირჩეოდა შემდგომ ხანებში როგორც საზოგადოებრივი, ისე სალიტერატურო ბრძოლის დროს. ჯერ კიდევ 14 წლისას შეჰყვარებია ერთი სომხის პატარა გოგო. შემდეგ გიმნაზიის დირექტორის დემენტიევის ქალი." ხშირად მივუახლოვდებით ხოლმე მე და ილია მის ღვთაების სარკმელს და იქიდანაც ღიმილით გადმოგვხედავდა ხოლმე პატარა ქალიო", — დასძენს აფხაზი.

ილიამ გიმნაზია გაათავა 1856 წელს, თუმცა საბოლოო გამოცდები არ ჩაუბარებია. მალე იგი შეუდგა მზადებას პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად.

---

[1]) „ლიტ მემკვიდ". გვ. 563.

ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში. ვინ ჰყავდა პროფესორებად. მაშინდელი საერთო ატმოსფერო სტუდენტობაში .ილიას მატერიალური გაჭირვება. სიყვარული. ილიას იტაცებს გარიბალდის მოღვაწეობა. ილია და ქართული ბიბლიოთეკა. ილიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. თერგდალეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას უნივერსიტეტში წასვლაც უკვე იმ დროს დამახასიათებელი იყო: იწყებოდა ღირსშესანიშნავი სამოციანი წლები რუსეთისა და ჩვენს ცხოვრებაში. როგორც ვთქვით, ქართველი თავად-აზნაურობის დიდი უმეტესობა სამხედრო სამსახურით იყო გატაცებული და სხვა რამ საქმიანობა ვერც წარმოედგინა. ილიამ კი შეგნებულად გვერდი აუხვია ნატკეპნ გზას. უეჭველია, სამხედრო სამსახურსა და ქართველი კაცის მოვალეობაზე ახალგაზრდა ილიას უკვე ჰქონდა თავისი გარკვეული შეხედულება, რომელიც შემდგომ საჯაროდაც გამოსთქვა. გაიხსენეთ მისი „მგზავრის წერილების“ (1861 წ.) ის ადგილი, სადაც ილიასებური მსახვრალი დაცინვით არის გამათრახებული რუსის ერთი ოფიცერი, რომელსაც საქართველოს განათლება-წინსვლის საზომად გენერლების სიმრავლე მიაჩნია!

გავიხსენოთ აგრეთვე აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“. აკაკი რუსეთს იმ გადაწყვეტილებით წავიდა, რომ სამხედრო სამსახურში შესულიყო. „მაშინდელი სტუდენტობა (აკაკი პეტერბურგს ჩავიდა 1859 წელს), ათავებს „ჩემი თავგადასავლის“ პირველ ნაწილს აკაკი, სულ სხვანაირი იყო საზოგადოდ და ქართველებსაც, მათთან ერთად, სხვა ფერი ედვა... მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუნებურად მათ წრეში ამოვყავი თავი“.

ილია ჭავჭავაძეს, თავიდანვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი უნივერსიტეტში შესვლა და შეუდგა კიდევაც საამისო მზადებას. მზადება კი დიდი იყო საჭირო: ჯერ-ერთი, მოელოდა გამოცდების ჩაბარება, მეორე მხრივ, შორი გზა. მაშინ ხომ რკინისგზა არ იყო, პეტერბურგს ჩასვლას დაახლოვებით ექვსი კვირა სჭირდებოდა. ილიას თხოვნა მიუცია პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ მეცნიერებათა განყოფილებაზე ჩარიცხვის შესახებ 1857 წლის 20 ივლისს. ილიას ჩაუბარებია უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდები და ამავე წლის 28 სექტემბერს უკვე ოფიციალურად ჩაურიცხავთ სტუდენტად, თანახმად პეტერბურგის ოლქის მზრუნველის მოადგილის მომართვისა. რატომ შევიდა ილია კამერალურ განყოფილებაზე? ჯერ ერთი აქ იყო ისეთი საგნები, რომლებიც ილიას აზრით პრაქტიკულ ცოდნას შესძენდა მას (პო-

ლიტიკური ეკონომია, საფინანსო თეორია, სტატისტიკა, სოფლის მეურნეობა და სხვა). მეორე მხრივ, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომელიც ლაპარაკობს თავის საინტერესო მოგონებებში რუსი ბატონიკი, 60-იან წლებში „ზემლია ი ვოლიას“ რევოლუციონერ-დემოკრატიული ზოგადოების წევრი ლ. პანტელეევი. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში 1858 წელს შევიდა ამავე კამერალურ მეცნიერებათა განყოფილებაზე, რადგან იქ სხვა დარგებთან შედარებით — უფრო ადვილად იღებდნენო“.[1]) უეჭველია, ილიას გადაწყვეტილებაზე არჩევანის დროს — ეს გარემოებაც მოქმედებდა, რადგან მას გიმნაზიაში არ ჰქონდა ჩაბარებული საბოლოო გამოცდები.

ილიას სტუდენტობის დროის შესახებ მოგონებები ფრიად ბლომადაა, კერძოდ ილიაზე კი — ძალიან ნაკლებად. პეტერბურგის უნივერსიტეტშივე სწავლობდა იმ დროს ცნობილი პისარევი, რომელიც აღნიშნავს: 1858 წლიდან სტუდენტობა შეიცვალა; იგი უფრო აქტიური გახდა, კამათობდა, კრებებს მართავდა და სულ აღარ გვგავდა ჩვენ, ძველებურ „ცხვარ სტუდენტებსაო“. საერთოდ ეს იყო ხანა, როდესაც ყველანი დიდ ცვლილებებს მოელოდნენ, ბატონყმობის გადავარდნას და როდესაც მოწინავე სტუდენტობის ფიქრთა მეუფენი იყვნენ რევოლუციონერ-დემოკრატები ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი თავის ჟურნალ „სოვრემენნიკით“. უკვე წარმოთქმული იყო მეფე ალექსანდრე II-ს მიერ ცნობილი სიტყვები (მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურობისადმი): სჯობს რეფორმა მოვახდინოთ მაღლიდან, ვიდრე მას დაბლიდან მოახდენენო. დღედღეზე მოელოდნენ გლეხთა განთავისუფლებას. ლ. პანტელეევი ამბობს: „რასაკვირველია, სტუდენტობა მომხრე იყო გლეხთა საკითხის ფრიად ფართოდ გადაჭრისა; იყვნენ ისეთნიც კი, თუმცა არც თუ ისე ბევრნი, რომელთაც სამართლიანად მიაჩნდათ მხოლოდ უსასყიდლო ნადელი, მაგრამ სამაგიეროდ მე არ მინახავს სტუდენტი, რომელსაც ბატონყმური შეხედულებანი ჰქონოდეს, ან თანაგრძნობით არ შეეხედნოს მიწით გლეხების აღჭურვისთვის; მე კი ფრიად მრავალფეროვან წრეებში ვტრიალებდი“.[2])

თვითონ პეტერბურგშიც მაშინ თავმოყრილნი იყვნენ ცნობილი პროფესორები, ხოლო რექტორად იყო პლეტნიოვი, პუშკინის გულითადი მეგობარი, რომელსაც სტუდენტები დიდ პატივსა სცემდნენ. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი კ. დ. კაველინი, ა. ნ. პიპინი,

---

[1]) Л. Пантелеев. Из воспоминаний прошлого. Academia. 1934. გვ. 49.

[2]) იქვე, გვ. 87.

მ. სტასიულევიჩი (პირველი ორი-იმ დროს „სოვრემენნიკ"-შიაც) თანამშრომლობდა კოსტომაროვი და სხვანი. ზოგიერთ მათგანს ილია იხსენიებს თითქმის ოცი წლის შემდეგ პოლემიკის დროს, [illegible] სპასოვიჩზე ამბობს: „არა გვგონია, ჩვენმა შინაურმა ლიბერალმა [illegible] გასამართლებლად იკადნიეროს და ბ-ნი არსენიევი და სპასოვიჩი რეტროგრადთა რიცხვში მოაქციოსო" (ტ. VIII, გვ. 115). იმავე სპასოვიჩს იურიდიულ საზოგადოებაში 1881 წლის 2 თებერვალს მოხსენება წაუკითხავს და მოუთხოვნია — „საამართალი იმ ენაზე სწარმოებდეს, რომელზედაც თვითონ ერი ლაპარაკობსო". ამის გამო ილია უწოდებს მას „რუსეთის ლიტერატურისა და საზოგადოების უკეთეს წევრს" (ტ. VI, გვ. 109).

ილია სტუდენტობისას ძალიან ბევრს კითხულობდა როგორც ევროპის მწერლებს, ისე ძველ ქართულ წიგნებს. მის დროს დაახლოვებით 30-მდე ქართველი სტუდენტი ყოფილა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ეს ჩანს შემდეგიდან. იმ ხანებში პროფ. დავით ჩუბინაშვილს, ქართული კათედრის გამგეს უნივერსიტეტში, გადაუცია ქართველი სტუდენტებისთვის 38 იშვიათი ქართული წიგნი, დარჩენილი მეფის ასულის სალომეს გარდაცვალების შემდეგ. აქ არის „ქილილა და დამანა", ვახუშტის „საქართველოს ისტორია", „ქართლის ცხოვრება", „ყარამანიანი", საბას ლექსიკონი, „ვეფხის-ტყაოსანი", „სიბრძნე-სიცრუისა" და სხვანი. სტუდენტები წიგნების მიღების ხელწერილს აძლევენ პროფესორ დ. ჩუბინაშვილს და ხელს აწერს სულ 25 კაცი, მათ შორის ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, კირ. ლორთქიფანიძე, ნ. ღოღობერიძე.[1]) უეჭველია, ეს წიგნები აქვს მხედველობაში კოხტა აფხაზს, როდესაც თავის მოგონებაში სწერს: ილია „კითხულობდა, სხვათა შორის, ბევრს ძველს ქართულ წიგნსო". ჩანს, წიგნების მიღებისთანავე, იგი თავისებურად ჩასჯდომია მათ და გატაცებით, თავდავიწყებით კითხულობდა.

გარდა რამდენიმე მოგონებისა, ილიას სტუდენტობის შესახებ არსებობს ოფიციალური ცნობები, რომლებიც თავის დროზე ამოუკრებია უ-ტის არქივში პროფ. ივანე ჯავახიშვილს გედევანიშვილისეული გამოცემისთვის[2]). ირკვევა, რომ ილიას პეტერბურგში უცხოვრია ამაღლების ქუჩაზე, კოლჩინას სახლში, მერე ბოლშაია მორსკაიაზე. რამდენიმეჯერ აქვს გადახდილი სწავლის ფული (25 მან.), ხოლო ერთხელ ამ გადასახადისგან იგი განუთავისუფლებიათ თანახმად

---

[1]) А. Цагарели. Свед. о памятн. груз. письм. Т. I, вып. 3, გვ. 186 — 7.

[2]) გ. ლეონიძე. მასალები ი. ჭ-ს ბიოგრაფიისთვის: „ლიტერატ. მემკვ". გვ. 557 — 562.

წარდგენილი სიღარიბის მოწმობისა. როგორც ექიმი არენდი მოწმობს, ჩრდილოეთის ბურუსიან ჰავას ილიასთვის უწყენია კიდეც და მას სისხლისღებინება დასწყებია. თვითონაც სჩივის დასთან მოწერილ ერთ ბარათში: ეს რა ქვეყანაში (პეტერბურგზე ამბობს) მოვხვდი, სამი თვეა, მზე არ მინახავსო.

ილიას, როგორც კოხტა აფხაზიც მოწმობს, საკმაოდ უჭირდა და ღარიბად ცხოვრობდა. უეჭველად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მაგალითად, შემდეგი სიტყვები, რომლებსაც ვკითხულობთ იმ დროს დაწერილ „სტუდენტების სიმღერის“ ერთერთ ვარიანტში:

ღარიბნი ვართ, ჩვენს ჯიბეში
ხშირად გროში არც კი არი,
მაგრამ ჩვენი ძმა სტუდენტი,
აი, რით არი მდიდარი:
გამხმარს პურსა ცივ წყალშია,
უდრტვინველად ხშირად ვალბობთ,
ჩარდახშია ცივსა ოთახს
ჩვენის გულის ორთქლით ვათბობთ.

—

უცხო ქვეყნად მშიერ-მწყურვალ
ხშირად, ძმანო, ჩვენ ვყოფილვართ,
ბევრს შევიძლებთ, რომ ტანჯვითა
სიყრმიდანვე გამოვზრდილვართ.

იმავე ხანებში სწერს ილია თავის ნათესავს (ანა ვაჩნაძეს) და გაჭირვებას სჩივის: „ეს პეტერბურგი, საშინელი, უდიდესი ქალაქია, — ამბობს იგი, — ბევრი მხიარულება, ბევრი შექცევაა. მაგრამ ჩემთვის სულ ფუჭია, მისთვის, რომ მე ყოველ ჟამს და ყოველ წუთს ჯიბესთან მწყრალად ვარ. და აბა, ამ ჯიბის მწყრალობით, ფეხსაც ვერ გადასდგამს კაცი“. [1])

ასეთსავე გაჭირვებას, ამნაირივე ხუმრობის კილოთი-სწერს ილია თავის დას ნინოს (აფხაზის მეუღლეს) 1859 წლის 18 თებერვალს: „ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოგახედა, რა ამბავია. რუსეთელ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვთ, რომ მეტი არ შეიძლება. ღმერთმანი ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოჰკრავენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს!“. [2])

---

[1]) წერილი ინახება საქ. მწერალთა მუზეუმში.

[2]) ილია ჭავჭავაძის წერილები სიბ. ხუნდაძის პუბლიკაციით. „მნათობი“, 1933 წ. № 8—9, გვ. 270.

სტუდენტობის დროს ილიას შეჰყვარებია სოფიო ჩაიკოვსკაია, ადრე კი, როგორც ირკვევა, მას ჰყვარებია ელისაბედ ჭავჭავაძის-ასული, შემდგომ მარჯანიშვილზე გათხოვილი, დედა ცნობილი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილისა. არ არის გამორკვეული, რამ რამ შეუშალა ამ რომანს ხელი. მაგრამ მისი ხსოვნა ილიას ღრმად ჩარჩენია გულში. ამას მოწმობს მშვენიერი ლექსი „ალაზანს“ (1859 წ.), რომელშიაც ახალგაზრდული მელანქოლიით არის გამოტირებული ეს სიყვარული:

შენც გამოცვლილხარ, ალაზანო, მუხაც გამხმარა,
მეც უდროო-დროდ გამერია თმებში ჭაღარა...
სად არს ის ღმერთა, იგი გრძნობა, ის სიყვარული?
ყველა წარსულა, რად არ მიდის ხსოვნა ბედკრული?

ამავე სიყვარულს უძღვნის პოეტი ცნობილ ლექსს, რომელიც, დიდი ხანია სიმღერად არის მოდებული მთელ საქართველოში — „გახსოვს, ტურფავ“ (1860 წ.).

უეჭველია, ილიას ეს სიყვარული გაუნელა სოფიო ჩაიკოვსკაიას სიყვარულმა. ამ სიყვარულზე გველაპარაკება კოხტა აფხაზი თავის მოგონებაში, მაგრამ თვითონ ილიასაც აქვს ცოტაოდენი ცნობა. თავის დის ნინოსადმი მიმართულ წერილში, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, ილია ეუბნება დას:

„ერთი რამ მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლის ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი. შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან. მერე უნდა იცოდე, რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი, ისე ვარ მიღებული. ასეთი დედა-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს. თუ შეიძლება, შენი სულის ჭირიმე, ნინო, საალდგომოდ გამომიგზავნე, ვიცი, რომ გიყვარვარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მაგრამ ჩემი სიყვარული გაგაბედვინებს“. [1])

ს. ჩაიკოვსკაიასს უძღვნა პოეტმა ორი ლექსი — „სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი“ და „უცხო ქვეყნის ყარიბ მთქმელსა“. ამ სიყვარულს, გარდა ამ ლექსებისა, მგონი არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და პოეტი მელანქოლიურად დაასკვნის:

სჩანს, ოდითვე დანიშნულა
სამარტოოდ ჩემი გული!

---

[1]) ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს წერილები სიმ. ხ უ ნ დ ა ძ ი ს პუბლიკაციით. „მნათობი“, 1933 წ. № 8—9, გვ. 270.

ილიამ უნივერსიტეტში დაჰყო 1861 წლის 12 ოქტომბრამდე და იგი დაითხოვეს მეოთხე (უკანასკნელი) კურსიდან.

სტუდენტობისას ილია ჭავჭავაძე გატაცებული იყო მ[illegible] პოლიტიკური ამბებით. განსაკუთრებით მას აინტერესებდა [illegible]ნულ-რევოლუციურ მოძრაობა. იყო მომენტი, როდესაც ილია აპირებდა ცნობილი პატრიოტისა და დემოკრატის, იტალიის განმათავისუფლებელისა და გამაერთიანებელის გარიბალდის რესპუბლიკურ-დემოკრატიულ რაზმში მოხალისედ ჩაწერას.

ილიას გარიბალდის სიყვარული სიცოცხლის დასასრულამდე გაჰყვა. ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბეში" ივი ბეჭდავს დობროლუბოვის სტატიას — „მამა გავაცი და მისი ქადაგებანი", რომელშიაც ფართოდ არის გადმოცემული იტალიის ამბები და ცეცხლოვანი სიტყვები ამ გარიბალდიელისა. 1882 წ. ილია აღნიშნავს გარიბალდის დასაფლავების სიდიადეს და უწოდებს მას „დიდებულ გმირს იტალიისას" (ტ. VI, გვ. 250), ხოლო 1886 წელს, იხსენიებს რა იტალიის გაერთიანების გმირებს, ამბობს: ამ შეერთების განმახორციელებელი ორი კაცი იყო: ერთი კავური და მეორე გარიბალდი. პირველი იყო ჭკუა და მ ე ო რ ე ხ მ ა ლ ი ი ტ ა ლ ი ი ს ა. (ტ. X, გვ. 129). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ი. მეუნარგიას მოწმობით, ილიას კაბინეტში ჰქონდა (80 — 90 წლებში) გარიბალდის ბიუსტი. გარიბალდი, როგორც ცნობილია, მარქსის ინტერნაციონალის (I) წევრი იყო.

გარიბალდისავე ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას შეეხება ილიას ცნობილი ლექსი (1860 წ.):

> მესმის, მესმის სანატრელი
> ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
> სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
> დასათრგუნად მონობისა".
>
> და სხვა.

ილია საერთოდ არ იყო გატაცებული მარტო ევრეთწოდებული „აკადემიზმით", ე. ი. მხოლოდ საუნივერსიტეტო საგნების სწავლით და ბევრს გარეშე წიგნს კითხულობდა. როგორც ნ. ნიკოლაძე მოწმობს, ილია 1861 წლამდე, ე. ი. წამოსვლამდე პეტერბურგის სტუდენტობაში უეჭველი ავტორიტეტი იყო. მაშინ არსებობდა ევრეთწოდებული სათვისტომოები, რომლებშიაც სტუდენტები ჯგუფდებოდნენ ან ტერიტორიის, ან ეროვნული წარმოშობის მიხედვით. სათვისტომოებს ჰქონდათ სალარო, ბიბლიოთეკა, ეხმარებოდნენ გაჭირვებულ სტუდენტებს. ჰყავდათ არჩეული გამგეობა და სხვა. ასეთი სათვისტომოები (სხვათა შორის. ქართულიც) არსებობდა რუ-

სეთის უნივერსიტეტში რეკოლუციამდე. აღსანიშნავია, რომ ჯერ 60-იან წლებში გამხდარა სადაოდ ის საკითხი, რომელიც ბევრად ქართველი სტუდენტების გამთიშველი იყო 1908 — 12 წლებშიაც.

ნიკო ნიკოლაძე ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „წესდების შედგენის დროს უთანხმოება ჩამოვარდა. ერთნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ სალარო და განსაკუთრებით ბიბლიოთეკა — წმინდა ქართული უნდა იყოსო; მეორენი კი უმჯობესად სცნობდნენ მთელ ორგანიზაციას საერთო-კავკასიური ხასიათი მისცემოდა. ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავს ევლებოდნენ მას. ესენი ამტკიცებდნენ, რომ მიზანშეწონილია დაარსდეს რამდენიმე კავკასიური სათვისტომო — ქართველებისა, სომხებისა, რუსებისა, ლეკებისა და სხვათა და მათ შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირიო. ნიკოლოზ ღოლობერიძეც იცავდა ამ აზრს და ამ აზრმა გაიმარჯვა. [1]").

ილია ჭავჭავაძე, რ[illegible] გორც ჩანს, რუსეთში დაახლოვებით ისე გრძნობდა თავს, როგორც ტურგენევის ცნობილი რომანის „Накануне"-ს გმირი ინსაროვი. იგი იქ ემზადებოდა იმ ბრძოლისათვის, რომელსაც საბოლოოდ მისი ქვეყნის განთავისუფლება ჰქონდა მიზნად.

დასასრულ მოვიყვანთ იმავე ნიკო ნიკოლაძის მოწმობას, თუ როგორ უყურებდა ილია ჭავჭავაძეს მისი დროის პეტერბუოგის სტუდენტობა. ერთერთი მათგანი ასე შესჩიოდა ავტორს:

— სანამ ილია ჭავჭავაძე იყო აქ, მსჯელობას და ლაპარაკს ქე მაინც გაიგონებდა კაცი მამულის სიყვარულზე. ის წავიდა და ახლა რაუზერზე და გოზეზე (პირველი ტანისამოსის მკერვალი იყო, მეორე — მეწაღე. ქ. რ.) თუ გაიგონებ სჯას, მეტზე არაფერზე.

დამახასიათებელია აგრეთვე სიტყვები, რომლებითაც მიმართავს ერთერთი „ავტორიტეტი" ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძეს, როდესაც წაასწრებს ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის „სოვრემენნიკის" კითხვაზე.

— გაიხსენე ჩემი სიტყვაო, — მითხრა, — თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონის და ვალტერ-სკოტის კითხვის მეტს არას აკეთებდა და, დაესხა თავსლა-

---

[1]) ნ. ნიკოლაძე. „მოგონებანი სამოციან წლებზე". რჩეული ნაწერების I ტომი, გვ. 95.

ფი, ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა: უდიპლომოდ წაბრ-ძანდა... აბა, ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?[1])

მივუბრუნდეთ ახლა ისევ კოხტა აფხაზის მოგონებას ილიას სტუდენტობის შესახებ. მასში მოთხრობილია აგრეთვე იმის მიზეზი, თუ რატომ მოუხდა ილიას უ-ტის მიტოვება.

„უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა, — ამბობს კ. აფხაზი... წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნს. მოახლოვდებოდა ეგზამენები და ილია... დღე-ღამეში ხშირად 18 — 20 საათს მუშაობდა. რამდენჯერ დამინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია... მეც და ილიაც იძულებულნი ვიყავით უნივერსიტეტის მეოთხე კურსიდან გამოვსულიყავით და სამშობლოში დავბრუნებულიყავით. ეს მოხდა ეგრეთწოდებულ მატრიკულების წყალობით, რომლებიც შემოღებულ იქნა პეტერბურგის გენ.-გუბერ. იგნატიევის წყალობით და მეცადინეობით. ჩვენ თითქმის ყველა სტუდენტმა ამის შესახებ პროტესტი გამოვაცხადეთ. მართალია არც მე, არც ილია სტუდენტების კრებას არ დავსწრებივართ (მე ვერ მივუსწარი კრებას, როდესაც მივედით, კრებისთვის უკვე პოლიციას და ჯარს ალყა შემოერტყა), მაგრამ მაინც გამოგვიცხადეს, ვინც მატრიკულებს არ დაემორჩილება, პეტერბურგიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა წავიდეს თავის სამშობლოშიო. ჩვენც წამოვედით. პეტერბურგში ვცხოვრობდით მომეტებულ ნაწილად ვასილიევის კუნძულზე (Средний проспект, у Калгиной) ზაფხულობით ჩენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს. ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიყავით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქ-ნ დადიანისას, სამეგრელოს მთავარის ასულს (?) ქ. დადიანისამ გამოიტანა, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთნაწერი. ეს ლექსები იყო: „ბედი ქართლისა“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელ ერთ კვირას ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილზე. ჩვენი სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზე, ისე ჩვენს დაბეჩავებულ სამშობლოს მომავალზე“[2]) და სხვა.

---

[1]) ნ. ნიკოლაძე. სტუდენტობის პირველი დრო, რჩ. ნაწერები. ტ I, გვ. 63 და 67.

[2]) „ლიტერ. მემკვიდრეობა“, გვ. 563 — 564.

საყურადღებოა აგრეთვე პოლონელი სტუდენტების — გავლენა ქართველებზე. ლ. პანტელეევის მოწმობით ილიას დროს, პეტერბურგის უნივერსიტეტში დაახლოებით 400—500 პოლონელი სტუდენტი ყოფილა. იურიდიკულ ფაკულტეტზე არსებობდა რამდენიმე სპეციალური კათედრა, რომლებიც პოლონელ პროფესორებს ეჭირათ და ლექციებსაც პოლონურ ენაზე კითხულობდნენ. განსაკუთრებულად პატივს სცემდნენ თურმე პოლონელ პროფესორს ჩაიკოვსკის. „არა მარტო უეჭველ მეცნიერულ ღირსებათათვისო, დასძენს პანტელეევი, არამედ მხურვალე პატრიოტიზმისათვისაც: მან ოც წელიწადს დაჰყო პეტ. უნივერსიტეტის პროფესორად და თავის რუს კოლეგებს მხოლოდ ფრანგულად ელაპარაკებოდაო“. იგი იხსენიებს აგრეთვე პოლონელ სტუდენტს ვლადისლავ ხოროშევსკის, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა სხვა ეროვნების სტუდენტებზედაც. ეს ხოროშევსკი უნდა იყოს ის ხ...., რომელიც ასე სიმპათიურად ჰყავს გამოყვანილი გიორგი წერეთელს („იხ. ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა“). ილია ჭავჭავაძეც, უეჭველია, ხვდებოდა პოლონელ სტუდენტებს, ეცნობოდა თვიმპყრობელობის მიერ მათი სამშობლოს ჩაგვრის ამბებს. განსაკუთრებით ეს ხდებოდა, ალბათ, პეტერბურგის ახლო სააგარაკო ადგილას — პავლოვსკსა და ტიარლევოში, სადაც ბლომად იყრიდნენ თავს გაკვეთილებზე თუ დასასვენებლად გასული სტუდენტები.

რუსეთში ყოფნამ და სწავლამ უდიდესი კვალი დაამჩნია ი. ჭავჭავაძის პიროვნებას და მსოფლმხედველობას.

მართალს ამბობდა თვითონ ილია რუსეთში გატარებული ოთხი წლის შესახებ: „ეს ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელესა და სიხათლის შუა ბედისგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს“.

საქართველოს კარიბჭეებზე იგი ხვდება ცნობილ მოხევეს, რომლის სიტყვები მთელმა წერა-კითხვის მცოდნე საქართველომ იცის. რატომ შეჰნატრის მოხევე ლელთ ღუნია ძველ დროს? იმიტომ რომ იქ ეგულება ერობა, პირვანდელი სახის დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი, როდესაც თავის საქმეებს თვითონ ხალხივე სწყვეტდა. მას სრულიად არად მიაჩნია „მშვიდობიანობა“, „უხმარს სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცისო“. კიდევ იმიტომ მოსწონს მოხევეს წარსული, რომ „ა დ რ ი ვ ა ა ვ ა დ თ უ კ ა რ გ ა დ ჩ ვ ე ნ ჩ ვ ე ნ ი . თ ა ვ ი ჩ ვ ე ნ ა დ ვ ე გ ვ ე ყ უ დ ნ ე ს“.

თვითონ ილიას იდეალიც ხომ დაუდეგარი თერგია, რადგან ძმ/ იცის, რომ „მოძრაობა და მარტო მოძრაობაა — ქვეყნის ლონისა და სიცოცხლის მიმცემი“. ხოლო მოხევეზე იგი ამბობს: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი“. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა“.

ილია თავიდანვე გარკვეული პროგრამითა და მებრძოლის აფრიალებული დროშით შემოდის საქართველოში და ამ დროშაზე აწერია: ბატონყმობის მოსპობა, დემოკრატიზმი და ეროვნული განთავისუფლება. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ საქართველოს პოლიტიკური აზრი თითქოს მიძინებული იყო და მხოლოდ ილიას სახით გამოცოცხლდა იგი: „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“ — ე. ი. განთავისუფლება თვითმპყრობელობის კლანჭებისაგან, აი, რა პოლიტიკური ლოზუნგი წამოაყენა ილიამ. არსებითად სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა იგი და მისი ჯგუფი სხვადასხვა საშუალებით, სხვადასხვა გზით, ხან შეტევით, ხან მოჩვენებითი ლოიალობით, მაგრამ ეს საბოლოო მიზანი მუდამ თვალწინ ჰქონდა, ყოველთვის გზას უნათებდა და მთავარ ღერძს წარმოადგენდა.

ილია 1861 წელს რუსეთიდან შემოვიდა სავსებით ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით, ნამდვილი „თერგდალეული“ და საბრძოლოდ გამზადებული.

აღსანიშნავია, რომ პოეტური პროდუქციის თვალსაზრისით ილიას სტუდენტობა ფრიად ნაყოფიერი გამოდგა. 1857 წლიდან ვიდრე 1861 წლამდე მას დაუწერია 86 თავისი ნაწარმოები, მათ შორის: „აჩრდილი“, „დედა და შვილი“, „კაკო ყაჩაღი“, დაუმთავრებელი დრამატიული პოემა „ირაკლი“, 62 ლექსი და უთარგმნია 20 ნაწარმოები. ამ დროს ნაწერებში ჩვენ უკვე ვხედავთ მომწიფებულ და სავსებით ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას, რომლის ღერძია, ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლება.

ილია უკვე 1858 წ. აცხადებს: „გუთნის დედაში“:

რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდებაო.

იმავე წელს იგი მიჰმართავს „ქართვლის დედას“:

აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,

შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1860 წელს ილია სწერს თითქმის ზედიზედ ორ ლექსს „ეროვნულ ენაზე“ (12 ივლისს) და „პოეტს“ (23 ივლისს). მისი გზა უკვე სავსებით გარკვეულია:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღეროო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

გავიხსენოთ აგრეთვე ვარიანტი „ქართველ სტუდენტების სიმღერისა“, დაწერილი იმავე 1860 წელს:

დედამ რომ შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო!
ცართან ძმობას არ ვკადრულობთ,
მაგრამ ვნატრობთ გლეხთანაო.

ილიას ხანდახან იტაცებს ძველი საქართველოს რომანტიკა, მაგრამ იგი ყოველთვის წინ იყურება და არა უკან. თუ იგი წარსულის გმირულ სახეებს წარმოგვიდგენს, ეს მხოლოდ სააგიტაციო მასალაა დუხჭირი აწმყოს უარსაყოფად და ბრძოლის აღსაძვრელად. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია, რომ მის „დედასა და შვილს“ აქვს რემარკა: „სცენა მომავალი ცხოვრებიდანო“.

საერთოდ ახალგაზრდა ილიას აქაც უკვე სავსებით გარკვეული აზრი აქვს. იმავე „ქართვლის დედაში“ იგი ამბობს შესანიშნავ საპროგრამო სიტყვებს:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

ისეთი ძლიერი პათოსით, როგორც ეს „აჩრდილშია“, ქართულ ლიტერატურაში იშვიათად გამოუხატავს ვისმე დამონებულთა უბედურება. აბა, გაიხსენეთ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას...
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად
და წრფელსა გულში ღვარძლს ჩაასხმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.

ილიამვე გამოაცხადა ქართულ ლიტერატურაში შრომის განთავისუფლების აუცილებლობა:

შრომისა ახსნა, ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრვის-ო.

გავიხსენოთ აგრეთვე „კაკო ყაჩაღი“, სადაც არსებითად შექებულია ტეროორისტული აქტი ბატონების წინააღმდეგ, რადგან

რა გავაგრძელო, თავადისშვილი,
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!

რასაკვირველია, შემცდარი ვიქნებით, ყველაფერი ამის გამო ილია ჭავჭავაძე, თუნდაც 60-იანი წლების ჭაბუკი, სოციალისტად და რევოლუციონერად წარმოვიდგინოთ, თუმცა როგორც აქ, ისე ზოგიერთ მერმინდელ მის ნაწარმოებში, მოიპოვება ელემენტები სოციალიზმისა. ილია იყო ტიპიური წარმომადგენელი 60-იანი წლების პროგრესული და დემოკრატიული იდეებისა. იგი არ მისულა კლასთა ბრძოლის აღიარების აუცილებლობამდე და ეს არც საკვირველია. ილია ჭავჭავაძეს კი არა, 70-იანი წლების რევოლუციონერებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ამ საგანზე!

რასაკვირველია, ილიას ზემოხსენებული ნაწარმოებები, მეფის სასტიკი ცენზურის გამო, მხოლოდ ნაწილობრივ იბეჭდებოდა. მაგრამ მათ ხელნაწერად ავრცელებდნენ, კითხულობდნენ ახალგაზრდათა წრეებში, სწავლობდნენ ზეპირად. ილიას ლექსები რომ თავიდანვე ძალიან პოპულარული იყო მოწინავე ახალგაზრდობაში, ამას მოწმობს ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძეს თავის წერილში („ივნისის დღეები ტფილისში“), რომელიც გერცენის არალეგალურ გაზეთ „კოლო-

კოლში“ დაიბეჭდა 1865 წელს, მოჰყავს ერთი სტრიქონი ილიას „მუშიდან“: „ბატონის მათრახისათვის ვერ გაუძლიათო“![1])

ილია ჭავჭავაძე, თავიდანვე ცდილობდა თავის ამნაირ ნაწარმოებთა დაბეჭდვას, მაგრამ ამაოდ. აი, როგორ შესჩივის ილია ლორთქიფანიძეს 1864 წელს „კაკო ყაჩაღის“ შესახებ. კ. ლორთქიფანიძე აპირებდა გამოეცა პეტერბურგში, სტუნდეტების სასარგებლოდ, კრებული ქართული პოეზიისა. ილია უგზავნის მას რამდენიმე თავის ნაწარმოებს და მერე დასძენს: „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგან

ილიას აღმზრდელი ს. ლოლაძე

ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდა როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს აგიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს“![2])

რაკი ილიას ნაწარმოებებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ აქვე მოვიყვანთ ერთ ფაქტს, რომელიც ნათლად ახასიათებს ილიას, რო-

---

[1]) რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 195.

[2]) ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს წერილები სიმ. ხ უ ნ დ ა ძ ი ს პუბლიკაციით, „მნათობი“, 1933 წ. № 8—9, გვ. 273.

გორც მხატვარ-რეალისტს. მას თავის ნაწარმოებთა სიუჟეტი თითქ
მის ყოველთვის რეალური ცხოვრებიდან აქვს აღებული და ზოგი-
ერთ მის პერსონაჟს თავისი პროტოტიპი ჰყავდა. ასეთი
თად, ილიას „კაკო ყაჩაღი“. კოხტა აფხაზი გადმოგვცემ

„კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლავთ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა ალაზნის ტყეში და გამვლელ-გამომვლელს სძარცვავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავს: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო? ბიჭს აუხსნია რომ კარდანახში თავის ნათესავს აფხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი, მხოლოდ დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებსო“![1]) განა ამის შემდეგ გასაკვირველია ახალგაზრდა ილიას სიტყვები:

ღრუბელო, ცაზედ მფრინავო,
სუ ემუქრები კაკოსა...
მე კისრად ვიღებ, ღრუბელო,
რაც იმას ემართლებოდესო.

ან კი სად უნდა დაებეჭდნა ილიას ისეთი მებრძოლი ხასიათის ნაწარმოები, როგორიც იყო „კაკო ყაჩაღი?“. მაშინ ერთადერთი დაჩაჩანაკებული ჟურნალი „ცისკარი“ არსებობდა. ამ ჟურნალმა თავისი პირველი რედაქტორის, გიორგი ერისთავის ხელში მხოლოდ ორ წელიწადს იარსება (1852 — 54 წ.); სამი წლის ხარვეზის შემდეგ იგი განაახლა ივანე კერესელიძემ. მან ძალიან დიდი შრომა გასწია, ბევრი გაჭივრება გადიტანა ჟურნალის ფეხზე დასაყენებლად, მაგრამ პატარა კაცი იყო და დიდ კაცებზე დამოკიდებული. მას არ ჰქონდა რაიმე გარკვეული პროგრამა. ჟურნალი საერთოდ კონსერვატორებს ჰქონდათ ხელთ, თუმცა იქ შემთხვევით იბეჭდებოდა ისეთი

[1]) „ლიტერ. მემკვიდრ“. გვ. 565.

ნაწარმოები, როგორიცაა დ. ჭონქაძის — „სურამის ციხე“, აგრეთვე „მოლაყბის წერილები“. თვითონ ილიასაც ჭაბუკობისას მოსწონდა სალაყბო ფურცელი (იხ. მისი წერილი 1858 წ. გ. სულხან-ბაბა-ს სადმი). [1])

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცისკრის“ მუდმივი და უახლოესი თანამშრომელნი იყვნენ: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, მიხ. თუმანიშვილი, ლ. არდაზიანი, ნ. ბერძენოვი, დიმ. ყიფიანი, დიმ. ბაქრაძე, ბარბ. ჯორჯაძე და სხვანი. რასაკვირველია, გარედანაც ბევრი იღებდა მასში მონაწილეობას (გრიგოლ ორბელიანი, ს. ალექსი-მესხიშვილი, რაფ. ერისთავი და სხვ.), როგორც ერთადერთ ქართულ „სიტყვიერებითს ჟურნალში“.

რადგან სხვა ორგანო არ იყო, „ცისკარშივე“ ბეჭდავდნენ თავის ნაწარმოებთ ახალგაზრდებიც. ილიას პირველი ლექსიც, რუსულიდან ნათარგმნი — „ჩიტი“ „ცისკარში“ დაიბეჭდა (1857 წ. იანვარს). ილია თავიდანვე გრძნობდა „ცისკრის“ ჩამორჩენილობას, რეტროგრადობას და ნაკლებშინაარსიანობას. უკვე 1858 წელს იგი ასე მკაცრად ახასიათებს ხსენებულ ჟურნალს: „იანვრის ცისკარში ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა? აი, გინდოდა ჩემი ლექსები გენახა ცისკარში და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურვებოდა, არც მაგას დავაბეჭდინებდი, იმიტომ რომ ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა“ [1]).

და აი, ასეთ ვითარებაში, ბატონყმურ საქართველოში, რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიად ქცეულ საქართველოში ბრუნდება ილია, ბრუნდება თერგდალეული, ე. ი. ისეთად, რომელსაც შეთვისებული აქვს რაც კი რამ კარგი, მოწინავე იყო მაშინდელ რუსეთის პოლიტიკურ ვითარებაში.

V

ილიას ჩამოსვლა. 60-იანი წლების საქართველო. პირველი ლაშქრობა ძველთა წინააღმდეგ „ცისკარში“. ილიას ჯგუფი.

გულის ჩრქოლვით მოდის ილია საქართველოსაკენ. თავდაპირველად იგი თითქმის ოდნავ ეჭვიანობს: „შევიძლებ კი, რომ მას (სამშობლოს!) ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვსწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?... და, ბოლოს იგი ამაყად ამბობს: შევიძლებო. ეპოქაც ისეთი დგებოდა, რომ მოქმედების იმედს იძლეოდა.

---

[1]) „მნათობი“, 1933 წ. № 8—9, გვ. 267.

[2]) „მნათობი“, 1933 წ. № 8—9, გვ. 271. წერილი ნ. აფხაზთან.

სამოციანი წლები ღირსშესანიშნავი ხანა იყო როგორც მთელი მაშინდელი რუსეთის, ისე საქართველოს ცხოვრებაში. ყირიმის ომში დამარცხებამ საბოლოოდ ცხადჰყო მეფის რეჟიმის სიდამპლე-სიმავნე, მოუსადეგრობა. გლეხთა გაძლიერებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ იძულებული გახადა როგორც თავად-აზნაურობა, ისე მეფის მთავრობა — ეზრუნათ გამოსავალის გამოსანახავად. საგარეო დამარცხებამ სახელმწიფოს სიმტკიცე შეარყია და ყველა შეგნებული ელემენტი დიდი ცვლილებების მოლოდინში იყო. მართლაც, დაიწყო ეპოქა ეგრეთწოდებული „დიდი რეფორმებისა". 1861 წელს რუსეთში ბატონყმობა ოფიციალურად გადავარდა.

რანაირი იყო მაშინდელი საქართველოს ვითარება? თავის შესანიშნავ წერილში — „საქართველო" („ზოგი რამ"), რომლის პირველი ესკიზი ჯერ კიდევ 1866 წელსაა დაწერილი, ილია გულისტკივილით სჩივის: „ქართველი — ჩვენი ტომის საერთო სახელი აღარ არის... განთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასოასო დავიჭერით", იმერელი — იმერელია, გურული — გურულია, ქართლელი — ქართლელია, მათი შემკრებელობითი ცნება კი — საქართველო, არ არსებობსო.

მართლაც ასე იყო და ამ მდგომარეობის შეცვლა ჩვენში სწორედ სამოციანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ბატონყმობა მოისპო (1864 — 66 წლებში) და ხალხის ძალებს ასე თუ ისე მოქმედების უფრო ფართო ასპარეზი მიეცა.

ასეთ საქართველოში ჩამოსვლისას ილიას თავდაპირველად მოუხდა შეტაკება ძველი თაობის წარმომადგენლებთან. 1861 წლის „ცისკრის" აპრილის ნომერში იბეჭდება ი. ჭავჭავაძის პირველი სტატია: „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას-ძის ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის" თარგმნაზედა". ილია აქ. თავისებური დაუზოგავობით ამათრახებს მთარგმნელს, უკიჟინებს უვიცობას და გზადაგზა ბევრ „ერუდიკულს" მოსაზრებას გამოსთქვამს — პოეზიაზე, ენაზე, ჩახრუხაძეზე, შავთელზე და სხვა. მაგრამ ძველი თაობის წარმომადგენელთა გულგასაგმირად და თავზარდასაცემად — ი. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურაში თავიდანვე შემოიჭრა როგორც რეფორმატორი და მის ყურაღებას არ გამოჰპარვია ორთოგრაფიული საკითხებიც კი: თავის პირველსავე სტატიაში მან უარჰყო ქართული ანბანის დრომოჭმული ხუთი ასო (ტ, უ ᲩᲩ, ᲫᲫ, ᲬᲬ, ᲭᲭ).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილია როგორც ამ წერილში, ისე საერთოდ, განიცდის ბელინსკის დიდ გავლენას. იგი სასტიკად ილაშქრებს კოზლოვის წინააღმდეგ და ამბობს: „მართლა-და საკვირველია! თუ კაცს რუსულიდგან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერ-

მონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წერ-
ლია! თუ კაცს რუსულიდგან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერ-
რატური სკოლების — ცრუკლასიციზმის, რომანტიზმისა და სენტი-
მენტალიზმის წინააღმდეგ და ასაბუთებს იმ რეალიზმს, რომელიც
ერთერთი ფუძემდებელი და განმავითარებელიც ის შეიქმნა ქართულ
ლიტერატურაში. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. ასათიანი,
„კოზლოვის შემოქმედების შეფასების დროს ჭაბუკ ილიას ბევრი რამ
აქვს აღებული იმ რეცენზიიდან, ბელინსკიმ ი. კოზლოვის ლექსთა
კრებულის მესამე გამოცემასთან დაკავშირებით რომ დაწერა (1840
წ.). [1]) გზადაგზა ილია 60-იანი წლებისთვის დამახასიათებელი სტი-
ლით ამბობს: „ჩვენს სტატიაში ნუ ელოდებით ესთეტიკურ კრიტი-
კასა: ვინ ჩვენ და ვინ ესთეტიკური კრიტიკა!“ განა ეს არ მოგვაგო-
ნებს დობროლუბოვის ცნობილ ფრაზას, რომლითაც იგი იწყებს
ტურგენევის რომანის „Накануне“-ს გარჩევას — Эстетическая
критика сделалась теперь принадлежностью чувствительных
барышень?“.

ილია უწუნებს რევ. ერისთავს ენას და დასძენს: „სხვისა არ
ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობ-
ლიური ენის მიწასთან გასწორებასო“.

ილიას წერილმა, მისმა გაბედულმა კილომ და მსჯელობამ, ახალ-
მა აზრებმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია მაშინდელ წყნარად მთვლე-
მარე საზოგადოებაში. და აი, მის წინააღმდეგ გამოდის ძველთა წარ-
მომადგენელი ბარბარე ჯორჯაძისა, პოეტი-ქალი. იგი აღშფოთე-
ბულია ი. ჭავჭავაძის რეფორმატორობით და სწუხს, რომ ილიამ არ
იცის „ყოვლის მწერლისთვის საჭირო და აუცილებელი თეორეტიკა,
ანუ ჰსწავლა ხელოვნებითი სიტყვიერებისა“, თორემ ძველ ასოებს
არ უარჰყოფდაო.

ბარბ. ჯორჯაძისას ძალიან ეშინია პოლემიკისა და საღმრთო
წერილსაც იშველებს: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“,
„შევიმაგროთ დედისერთა ჟურნალიო („ცისკარი“)“, „თუ რომ უფ.
ჭავჭავაძეს ჰსურს ახალის ენის დაბადება, ეს კი არ ვიცითო“. მეო-
რეგან აღნიშნავს — „აკი მოგახსენეთ, რომ ახალის ენის დაბადება
უნდა“[2]) „პასუხის პასუხში“ პოეტი ქალი გულმტკივნეულად სჩივის:
„უთანხმოება არის მიზეზი ყოვლის ბოროტისა“, მან დაღუპა რომი,

---

[1]) „მნათობი“, 1936 წ. № 7, გვ. 167.

[2]) „ცისკარი“, 1861 წ. მაისი. გვ. 58.

სპარსეთი:," „უფ. ჭავჭავაძის პასუხი შორავს ზრდილობას და ეშვერობით დაუბადებია ახალი ენაო"[1]).

ბ. ჯორჯაძისას მიჰყვნენ გიორგი ბარათოვი და ს. [illegible]ეხიევი[2]). ეს უკანასკნელი დინჯად უხსნის ილიას, რომ „ეკონ სამი სამგვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალი. არ ვიცი ამ სამში რომელს მიეთვისება თქვენი კალამი", რადგან„ სადაგსიტყვაობაში (პროზაში) ასე უწყალოდ ამახინჯებთ და ამდაბლებთ ქართულ სიტყვიერებასო".

ილიას უსაყვედურებდნენ ისეთი სიტყვების ხმარებას, როგორიც არის: ესთეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვა. აკრიტიკებდნენ თვითონ ი. ჭავჭავაძის უკვე გამოქვეყნებულ ლექსებს და დანაშაულად უთვლიდნენ, რომ „ფარის მაგივრად ბელინსკის ტომები" ეპყრა ხელთ. ილიამ კვლავ მკაცრად უპასუხა ყველას. შესავალში იგი სამართლიანად აღნიშნავდა იმ აურზაურს, რომელიც მისმა პირველმა წერილმა გამოიწვია: „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც ააღებინე; ვისაც მართალი სიტყვა, პირდაპირ ნათქვამი, თავის დღეში არ გაუგია, იმას მართლის თქმით გული აუმღვრიე; ვისაც „შინიდამ ფეხი კარში არ გამოუდგამს" და რაღაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს რა, ისიც კი აალაპარაკე თეორეტიკის გარე საგანზედ" და სხვა[3]). ბოლოს ასკვნიდა: „ცისკარი უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითაო".

ძალიან საყურადღებოა, რომ „ცისკრის" რედაქციამ ილიას პასუხის თითქმის ყოველ ფურცელს თითო-გვერდი შენიშვნები გაუკეთა. რედაქცია აღნიშნავს: ავტორი ბელინსკის მიმდევარია. ბელინსკი თუმცა „უპირველესი კრიტიკი იყო რუსეთში, მაგრამ, როგორადაც სნეული და ზაფრიანი კაცი, ყოველთვის ილანძღებოდა და ამ მიზეზით მისი ბაძვა არ არის მოსაწონიო" (გვ. 183). „ბელინსკის გავლენა ყოველს სიტყვაში ჰსჩანსო" (184) და სხვა.

რასაკვირველია, ეს სალიტერატურო შეტაკება შედარებით მკრთალი გამოხატულება იყო იმ ღრმა და მკაცრი ბრძოლისა, რომელიც მაშინ სწარმოებდა ძველსა და ახალ თაობას შორის. ერთი მხრივ იყვნენ ძველი წყობილების, ბატონყმობის დამცველნი, მეორე

---

[1]) „ცისკარი", 1861 წ. სექტ. გვ. 90.

[2]) იხ. პირველისა — „წერილი რედაქტორთან შესახებ თ. ილ. ჭავჭავაძისა". (1861 წ. მაისის და ივნისის „ცისკარი"), ხოლო მეორისა — „უსტარი ანტიკრიტიკული თ. ილია ჭავჭავაძისადმი" „1861 წ." ივნისი.

[3]) „ცისკარი", 1861, წ. ივნისი, გვ. 181 — 3.

ბრივ — ბატონყმობის მოსპობის მომხრენი, ქართული ენის უფლებათა დამცველნი, ევროპული განათლების მქადაგებელნი. ეს მოპირდაპირობა ცოტა ხანს შემდეგ უფრო რელიფიურად გამოიხატა „საქართველოს მოამბის“ გამოსვლისას, მერე კი ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შეტაკებაში.

ილია ჭავჭავაძეს ზემოხსენებული „პასუხის“ შემდეგ უკვე საშუალება აღარა ჰქონდა პოლემიკა განეგრძო, მაგრამ მას წამოეშველნენ სხვა თერგდალეულები პეტერბურგიდან და სხვა ადგილებიდან (სტუდენტები — კირ. ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და შემდგომ აკაკი წერეთელი). პოლემიკა გრძელდებოდა. გორისელმა წერეთელმა ექვთიმემ (გიორგის მამამ) 1862 წელს მოათავსა წერილი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ილიას გამოესარჩლნენ ს ა მ ნ ი თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ნ ი (1862 წ. აპრილისა და მაისის „ცისკარში“).

ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამნივ თერგდალეულთაგანი.
მე გახლავარ, გორისელო,
ერთი ამ სამ ძმათაგანი...

მაგრამ ილია უკვე ემზადებოდა თავისი საკუთარი ჟურნალის გამოსაცემად. მის გარშემო უკვე შეკრებილი იყო ახალგაზრდების ჯგუფი. ისინი მართავდნენ კრებებს, აარსებდნენ წრეებს და საზოგადოებაში აგიტაციას ეწეოდნენ იმ ახალი იდეების სასარგებლოდ, რომლებიც რუსეთის მოწინავე მოაზროვნეთაგან ჰქონდათ შეთვისებული. ჩვენს ხელთ არის იმ ხანების (1863 წ.) პირადი წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა გურამიშვილისადმი, რომელიც შემდგომ ცოლად შეირთო. ეს წერილები მეტწილად ინტიმური ხასიათისაა, მაგრამ ზოგი საინტერესო შტრიხიცაა. მაგალითად, ერთერთ წერილში (№ 18) ილია სწერს საცოლეს: „ელენე (ჩოლოყაშვილთან) გაიმართება სალიტერატურო საღამო, რომელზედაც ახალგაზრდები წაიკითხავენ სხვადასხვა თხზულებებს. სთხოვე მას (ლიზას), რომ შენც წამოგიყვანოს იქ, მე ჩემი ამხანაგებით მართლა ამ კვირია მასთან შევიკრიბებით და მე, შენი პატარა რედაქტორი, რაღაცას წავიკითხავ“.

ილია ჭავჭავაძის ჯგუფის მუშაობაზე მოგვითხრობს თხუთმეტი წლის შემდეგ გ. წერეთელიც („კვალი, № 46, 1897 წ.). თუმცა იგი პოლემიკური სიცხარით ლაპარაკობს ხსენებული ჯგუფის დასაცირებლად (ამ ხანებში ილია და გ. წერეთელი ერთმანეთს ძალიან დაშორებულნი იყვნენ), მაგრამ ილიას პირველ ნაბიჯებს მაინც სწორად აღნიშნავს. ლაპარაკობს რა დასთა წარმოშობაზე, გ. წერე-

თელი ამბობს: 1861 წლიდან „ილია ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ასტეხა ჯერ კიდევ. „ცისკარში“ და „ვარს“ შემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე.... ამათ შემოიღეს კერძო [illegible] დაც კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე თავისი ახალდაწერილი ლექსებისა და „გლახის ნაამბობის“ თავების კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს და წრის გარეშეც არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში. აი, ამ წრემ ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსცა „საქართველოს მოამბე“ 1863 წელს. ჟურნალში მიიღეს მონაწილეობა მაშინდელმა საუკეთესო მწერლებმა“...

„საქართველოს მოამბე“ ისეთი დიდი მოვლენა იყო მაშინდელ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ იმაზე უფრო ვრცლად შევჩერდებით.

VI

„საქართველოს მოამბის“ გამოცემისათვის მზადება. ვის ეშინოდა. „საქ. მოამბე“ და მისი თანამშრომელნი. რა იბეჭდებოდა ჟურნალში. პოლემიკა „ცისკართან“. ნ. ნიკოლაძის მოწმობა. ცენზურის სისასტიკე.

როგორც კი ხმა გავარდა, ილია ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო, ძველების ბანაკი შეიძრა... და შეშინდა კიდეც. ჯერ სიამტკბილობით უნდოდათ შეხვედრა, რაც უფრო მეტი ქართული ჟურნალი გვექნება, მით უკეთესია, ამბობდნენ, ეფიქრებოდათ, ახალმა ჟურნალმა არ გაგვაკრიტიკოსო. აი, რას სწერდა 1863 წლის 13 აპრილს „ცისკრის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე პოეტ რაფიელ ერისთავს, რომელთანაც კარგი პირადი განწყობილება ჰქონდა: „ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი ს ჟ უ რ ნ ა ლ ი ს (ხაზი ჩვენია. ქ. რ.) შესახებ მწერ. თუ შენ კარგა მყევხარ, მე არავისი მეშინიან. ისეთი პარტია შევიდგინე, რომ მოგეწონება. ოთხნი შეგერთდით ერთად: მე, ბაქრაძე, ბერძენოვი და არდაზიანი. ერთად მივჰყავით ხელი, ყიფიანიც (დიმიტრი. ქ. რ.) ჩვენი წინამძღვარია და დიდი თანამშრომელი, ხვალ სადილად ჩემთან იქნებიან. იმათ ვინა ჰყავთ, რა აქვთ! ჩვენი გაწყობილი ტიპოგრაფია პირველია. ე ს ს უ ლ კ რ ი ტ ი კ ე ბ მ ა კ ი ქ ნ ე ს შ ა რ შ ა ნ დ ლ ე ბ მ ა (ხაზი ჩვენია. ქ. რ.) მახლას, რაც მოხდება, ის იქნება“. [1])

მაგრამ მეორე წერილში (1862 წ. 27 დეკემბერს) ივ. კერესელიძე უკვე შეშფოთებულია. მას ჰგონია, რომ ახალი თაობა პირადად მისი

---

[1]) ი ვ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ი ს წერილები რაფ. ერისთავისადმი — შ. რ ა ფ ი ა ნ ი ს პუბლიკაციით“. „ლიტერატ. მემკვიდრეობა“, გვ. 541.

წინააღმდეგია და სდევნის. ეს წერილი იმდენად საყურადღებოა და ისეთ ცნობებს შეიცავს „საქ. მოამბის“ გამოცემისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ, რომ ჩვენ იქიდან მოზრდილ ამონაწერს მოვიყვანთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყოველ ფეხის გადადგმაზედ მემტერებიან, უნდათ ჩემი წახდენა და დაცემა. ბევრი ხელის მომწერნი ჰყვანან. ყველგან კაცები ჰყვანან დაჭერილები. ჯერ ოთხასამდინ ასულა და ჩემი ასამდინ ძლივს არის. ამას კი გეტყვი, ჩვენი ჟურნალი, ღვთით, ხუთი იქნება (გამოსული) და ამათი ერთიც ვერა: პირველი ხომ ათ თაბახზედ ნაკლები არ გამოვა ჩვენი. პირველი ნომერი თოთხმეტი თაბახი იქნება. მეორე ეს, ვინც რიგიანი მწერლები არიან, ჩვენ ჟურნალში არიან. გუშინ ჩემთან იყვნენ და სტატიები ამოვარჩიეთ იანვრისთვის... მაგრამ ხელის მომწერნი სუსტობენ. კარგად იცი ანდაზა: „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასაო“... ბაბალე მწერდა (ალბათ ბ. ჯორჯაძისა!), კახეთში ხმა დააგდეს, ჭავჭავაძემ ისეთი რამ უნდა გამოსცეს, ჯერ არც ენახოს ქვეყანას და ვერ ჩამომავლობამ ნახოსო!... მე იმასა გთხოვ, ეგები ქუთაისში ნაცნობი ვინმე გყავდეს, დაგვეხმაროს ხელის მომწერთათვის. ილია მამაცაშვილი და გ. ლო-

ილიას მოანაგე მამიდა მაკინე

ლობერიძე ქუთაისში ძლიერა ცდილობენ ჭავჭავაძისათვის. ჯერ ორმოცი თუმანი გამოუგზავნიათ... რაც უნდა კარგი რამ იყოს (ჩვენი ჟურნალი), ისეთი ხმა დაუგდეს ჭავჭავაძის პარტიამ იმათ, რომ ჩვენ ჟურნალს, რომ ჩვენი ჟურნალი სულ გაჰყინაო" [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი, გამოვიდა 1863 წლის იანვარს. იგი წარმოადგენდა მოზრდილ წიგნს, რომელშიაც მრავალი განყოფილება იყო. „ცისკრისაგან" იგი გარეგნადაც განირჩეოდა: შრიფტიც უკეთესი იყო და ფორმატიც. ამ გარეგნობასაც მიაქცია ყურადღება ბებერმა „ცისკარმა" და უსაყვედურებდა: „საქ. მოამბემ" „სოვრემენნიკს" (ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ჟურნალის) ფერი კაბა ჩაიცვაო.

რასაკვირველია, თავიდანვე არ მომხდარა მაშინდელი ახალგაზრდობის ისეთი მკაცრი დიფერენციაცია, როგორც ამას მდგომარეობა მოითხოვდა. ძველებში დარჩნენ ისეთნი, როგორნიც იყო, მაგალითად, ანტონ ფურცელაძე, რომელიც „ცისკრის" მხრივ უმთავრესი პოლემისტი გახდა თერგდალეულთა წინააღმდეგ. მაგრამ სულ მალე ორი ბანაკი ერთმანეთს დაუპირდაპირდა. თვითონ ილია კარგად გრძნობდა ამას და თავის საცოლეს ოლღა გურამიშვილისას სიხარულით სწერდა: „იქნება ჩვენი ჟურნალი ხვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა და იმედია, რომ თორმეტ საათამდინ ქვეყანას ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე". აბა, კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან: за нами всегда будет истина святая" [2].

„საქ. მოამბეში", თვითონ ილიას გარდა მონაწილეობდნენ: გიორგი წერეთელი, ვახტ. თულაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. ჩიქოვანი, დავ. ყიფიანი, პ. ნაკაშიძე, ლევ. ჯანდიერი, პ. უმიკაშვილი, მიხ. ყიფიანი და სხვანი. ჟურნალში იბეჭდებოდა, გარდა ორიგინალური ნაწარმოებებისა, თარგმანებიც: ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი", ცნობილი ანარქისტის პრუდონის „სიღარიბე", ბელინსკის სტატიები, დობროლუბოვის „მამა გავაცი და მისი ქადაგებანი". ეს უკანასკნელი წარმოადგენს იტალიის განმათავისუფლებელის გარიბალდის ერთერთი მიმდევარის იდეებისა და სიტყვების პოპულარიზაციას. დობროლუბოვის ეს სტატია დაბეჭდილია „საქ. მოამბის" პირველ ნომერში. საგულისმოა, რომ დობროლუბოვის სიცოცხლეში იგი არ გაუშვა ცენზურამ „სოვრემენნიკში" დასაბეჭდად და პირვე-

---

[1]) იქვე, გვ. 540 — 42.

[2]) წერილი № 58.

ლად მხოლოდ თხზულებათა კრებულში დაიბეჭდა (ნ. ჩერნიშევსკის რედაქციით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ის განმარტებანი ზოგიერთი უცხო სიტყვისა, რომელსაც „საქ. მოამბეს“ რედაქცია ურთავს დუბროლუბოვის სტატიის ტექსტს. აქ პირველად განიმარტება ისეთი ცნებები, როგორიც არის კონსტიტუცია, რესპუბლიკა, რევოლუცია, ობსკურანტიზმი. მოვუსმინოთ, თუ რა არის რესპუბლიკა: „რესპ. ჰქვიან იმ ქვეყანას, სადაც არ არის ხელმწიფე და სადაც მართებლობა არის ხალხისაგან არჩეული პირების ხელში“ (გვ. 91), „რევოლუცია არის აღდგომა წინააღმდეგ მართებლობისაო“ და სხვა.

თარგმანთაგან აღსანიშნავია აგრეთვე „ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ — თერგდალეულისა [1]) (№ 11). როგორც რედაქცია ამბობს, მას განზრახული ჰქონია ჰ. ბიჩერსტოუს ცნობილი რომანის, „ბიძია თომას ქოხის“ დაბეჭდვა (ეს რომანი, როგორც ვიცით, მიმართულია ამერიკის ზანგთა მონობის წინააღმდეგ!) და რათა იგი მკითხველებისათვის გასაგები გახდეს, საჭიროდ ვცანით ჯერ ისტორიული წერილის დაბეჭდვა ამ მონობის წინააღმდეგო; აქაც უმთავრესად საყურადღებოა რედაქციის შენიშვნები და განმარტებანი ისეთი სიტყვებისა, როგორიცაა: პარლამენტი, დემოკრატია, ფეოდალიზმი და სხვა. პარლამენტზე და კონსტიტუციაზე ვრცლადაა ლაპარაკი (გვ. 38 — 40), დემოკრატია განმარტებულია ასე: „დემოკრატიაა — ხალხის მართებლობა, ე. ი. იმისთანა მართებლობა, რომელშიაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ხალხსა“ (გვ. 43). ჟურნალში იბეჭდება აგრეთვე შინაური მიმოხილვანი ვ. თულაშვილისა, და დ. ავ....-ისა (ავალიშვილისა?). დავ. ყიფიანის პირით ჟურნალი ჰქადაგებს თავისუფალი შრომის პრინციპს, ე. ი. ჰგმობს ბატონყმობას, რომელიც მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ არსებობდა.

დ. ავ...ი, ლაპარაკობს რა იტალიის მოძრაობაზე, ამბობს: „ჩვენს დროში ერთმა დიდმა აღრეულობამ იტალიისამ რაღაც ნაციონალობის, ხალხობის აზრი წამოაყენა, რომლის მოთხოვნილებასაცა, მკითხველო, ჭეშმარიტი თერგდალეულობა ეტყობა. ყოველ საზოგადო სახალხო აღრეულობასა, საკვირველია, რომ

[1]) ამ ფსევდონიმით, როგორც ჩანს თვითონ ილიაც სწერდა თავის ჟურნალში. მაგალითად, № 11 — ძველ სარჩევს ახალი აქვს გადაკრული და იმ წერილს, რომელიც დაბეჭდილია ილიას ხელმოწერით („რედაქციისაგან“) ძველ სარჩევში აწერია „თერგდალეული“.

უთუოდ ამგვარი რამე მოსდევს ხოლმე ნა-
ნა“ (№ 5. გვ. 76).

ჟურნალს ცენზურა ძალიან აწუხებდა. ჯერ კიდევ ამავე №5-ში სხვადასხვა ამბავში ვკითხულობთ: „ლიტერატურა კარგად-გამოსულა თავის ვალდებულებასა, რომ შენა, მკითხველო, ყოველმა ამ-ბავმა ფიქრები და აზრები მოგივლინოს ხოლმე... მაგრამ... მაგრამ სად არის შეძლება ჩვენი სურვილის აღსრულებისა? ამასა მოუსვენ-რობად მიიღებენ, შეგვიმუსრავენ ხოლმე ყოველგვარ სურვილსა“ (გვ. 73).

მიუხედავად ამისა, ჟურნალში დაიბეჭდა ილიას ისეთი მკვეთრი სატირა თავად-აზნაურობაზე, როგორიც იყო „კაცია-ადამიანი?“. ვულგარული „სოციოლოგები“ ამ მოთხრობას თავად-აზნაურობის გამოსასწორებელ შინაურ ბაასად სთვლიდნენ: ეპიგრაფად მოთავ-სებული „მოყვარე“ თავად-აზნაურობა იყოვო. მაგრამ ილია რო-გორც აქ, ისე სხვაგან ყოველთვის მიმართავდა ქართველ ხალხს, და არა რომელიმე წოდებას „ის სიავეს ქართვლისას ამბობდა“. და განა საერთოდ დამახასიათებელი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძეს არც ერთი დადებითი ტიპი არა ჰყავს თავადის ან აზნაურისა, ხოლო მისი გმირები — გაბროები, კაკოები, ზაქროები არიან? განა ლუარსაბს არ მიმართავდა პოეტი: „რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველ დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა?... უწინ კაცი ამშვენებდა ცხენ-საც და თოფსაც. ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს ამშვენებს. კარგი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: „ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდას!“..

„საქ. მოამბეშივე“ დაიბეჭდა „გლახის ნაამბობის“ პირველი ხუ-თი თავი და შესანიშნავი სიტყვები: „რა ვიცოდი სულელმა, რომ უმცროს-უფროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“ (III თავი). მას-შივე იბეჭდებოდა ნაწყვეტები „აჩრდილიდან“, „კაკო ყაჩაღიდან“ ის ნაწილი, სადაც შექებული არიან კაკო და არსენა, როგორც ჩაგ-რულთა და გლეხების მოსარჩლენი და მოსიყვარულენი. ეს იყო უდი-დესი პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ, რანაირიც კი შესაძლე-ბელი იყო იმ დუხჭირ პირობებში.

ჩვენ აქ ვერ შევეხებით იმ პოლემიკას, რომელიც „საქ. მოამბესა“ და „ცისკარს“ შორის გაჩაღდა და რომელიც პირველის მოსპობის შემდეგაც გრძელდებოდა. „ცისკრელები“ უწუნებდნენ ჟურნალს ენას, დაცინვით მის თანამშრომლებს „სტუდენტებს“, „წვეროსნებს“ უწოდებდნენ, ეუბნებოდნენ: ჩვენში „ჩერნიშევსკობა და დობროლუ-

ლოვობა არ გამოგვადგებაო". მეშჩანურ წრეებში კი, როგორც ი. ბა-
ენარგიას გაუგონია, „საქ. მოამბეზე" ხმა გავრცელდა თურმე (ა-
ტონიშვილ ერეკლეს გადასხვაფერებული სიტყვა) — „[illegible]
ჩესკი ჟურნალი გამოვიდაო [1]). ერთერთი თერგდალეული (როგორც
ჩანს, გ. წერეთელი ან კ. ლორთქიფანიძე) „წვეროსნობის" შესახებ
ასე მწარედ უპასუხებდა ბიძია თორნიკეს (ლ. არდაზიანს): „რას
ჩასცივებიხარ ჩვენს წვერებს და ულვაშებს? მითომ რა კარგია, რომ
შენ არც წვერი გაქვს და არც ულვაშები, საჭურისს რომ დამსგავ-
სებიხარ".

ჟურნალი დასცინის აგრეთვე: „ცისკარი შვიდი წელიწადია სტი-
რის საქართველოს სიყვარულის გამო და ვერ უსწავლია თავისი მა-
მულის სწორი სახელი! (ამბობს—„ქართველთ-იმერთ საზოგადოებაო")
საქართველო: ქართლი, კახეთი, იმერეთი და სხვა... ხომ ასეა?! (№6).

ძველები აფორიაქდნენ, მაგრამ ახალგაზრდობა აღტაცებული
იყო. ქუთაისიდან ნ. ნიკოლაძე სწერდა კ. ლორთქიფანიძეს: „ჭავ-
ჭავაძის ჟურნალმა აქ ფუროორი მოახდინა ჯერჯერობით. გენაცვალე,
კირილე, რამე სტატია გაგზავნე დასაბეჭდავად. უსათუოდ გაგ-
ზავნე"[2]).

ისეთი მოღვაწენიც კი, როგორიც არის გ. თუმანოვი, რომელ-
საც ხშირად დაუნდობლად ამათრახებდა პოლემიკაში ილია, შემდეგს
ამბობს „საქ. მოამბის" ეპოქაზე: „ეს იყო დიდი იმედების დროება...
მეც კი, 8 წლის ბიჭი, დავინტერესდი ჟურნალით. ჭავჭავაძის ჟურ-
ნალიდან პირველად გავიგე ბელინსკის და დობროლუბოვის, პრუ-
დონისა და ბასტიას არსებობა... მე ამ შემთხვევაში გამონაკლისი რო-
დი ვიყავი. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებს გატაცებით კითხულობდა
ეთელი მაშინდელი საზოგადოება. ახალგაზრდობა აღმერთებდა მას"[3])

ნიკო ნიკოლაძე ათი წლის შემდეგ ასე ახასიათებდა იმ ხანას:
„1863 წ. ი. ჭავჭავაძემ დაიწყო „საქ. მოამბის" გამოცემა. ვის არ
ახსოვს ეს წელიწადი, როცა, ერთი მხრით, ჩვენი ცხოვრება უწინდელ
კალაპოტს სცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა... და როცა, მეორე
მხრით, ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობასა, ე. ი. ახალ ცხოვ-
რებას და ძველ კაცობას, ე. ი. ძველ წესსა და სჯულს შუა?

„დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ თუ რას ნიშნავდა „საქ. მ". საქმე,
მაგრამ არც 1863 იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძნობდა,

---

[1]) „მნათობი", 1936. № 5—6, გვ. 235—6.

[2]) გ. წერეთლის თხზ. კრებული, 1931 წ. გვ. 403.

[3]) Характеристики и воспоминания. წ. III. გვ. 178 და 182.

ყველამ იცოდა, რომ „საქ. მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრ-
დობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეე-
ქმნა ახალი სასიყვარულო მიზანი—მამულის, საზოგადოების
და ღირსება. ის მწვავი სიტყვებით დაღვიდა და ჰკლავდა
ზოგადოების უმეცრებას და გულგრილობას საზოგადო საქმისათვის
და მაშინ, როგორც ახლა, ყოველ პატიოსან კაცს მიაჩნდა, რომ მისი
უპირველესი ვალი იყო ამ სიტყვის გავრცელება და მისი ძლიერების
მომატება ახალგაზრდობაში“ [1]).

მაგრამ „საქართველოს მოამბის“ მდგომარეობა მძიმე იყო. მძიმე
იყო, ჯერ-ერთი, ფინანსურად, მეორე მხრივ პოლიტიკურ-საზოგა-
დოებრივად. ჟურნალს ხელისმომწერნი თუმცა „ცისკარზე“ მეტი
ჰყავდა, მაგრამ მაინც უმნიშვნელო (500—600) რაოდენობა. მთავა-
რი კი ის იყო რომ მას საკუთარი სტამბა არა ჰქონდა; ხოლო ეს
მაშინ ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება იყო. ჩვენ ვიცით, რომ
სანამ ახალთაობის ერთმა ჯგუფმა სტამბა არ შეიძინა — გაზეთი
„დროების“ გამოცემა ვერ მოხერხდა, თუმცა მისი დაარსების იდეა
ილია ჭავჭავაძემვე წამოაყენა „საქართველოს მოამბის“ შეწყვეტის
შემდეგ.

„საქ. მოამბის“ ფინანსურ გაჭირვებას მოწმობს იგივე ივანე კე-
რესელიძე, რაფიელ ერისთავისადმი კერძო წერილში. „ჯერ ამათ
(ე. ი. „საქ. მოამბეს“) ასოები არა აქვთ მოსული. ესენი იბეჭდებიან
ენფიანჯიანცის ტიპოგრაფიაში; წელიწადში მორიგებიან ასსამოც
თუმანს მარტო ბეჭდვაში, ქაღალდს და სხვას გარდა. იმათ რომ ჰყავ-
დეთ ათასი და მე ხუთასი (ხელისმომწერი), მე იმათზედ უკეთ და
დიდი უნდა გამოვსცე, რადგან მე მოწყობილი ვარ“ [2]), ე. ი. სტამბა
მაქვსო)“.

მაგრამ ყველაზე მეტად საქმეს აბრკოლებდა ცენზურა. თითქმის
ოცი წლის შემდეგ ილია დაცინვით სწერდა ცენზურაზე: „ეს წვრილ-
ფეხობაა რალაცა, დაუჟინია და ჰყვირის: „იდეა იმისთანა რამ არისო,
რომ ვერც ხმალი მოერევა, ვერც თოფი.“ სტყუიან თქვენმა მზემ!
ერთი უბრალო მაკრატელი და მისი ჯანი!“

„საქართველოს მოამბის“ მდგომარეობა ამ მხრივ განსაკუთრე-
ბით აუტანელი იყო. რედაქცია ერთერთ უკანასკნელს თავის ნომერ-
ში რედაქტორის პირით ასე სჩიოდა: „ჟურნალის საქმეში ზოგი იმის-
თანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა სძლიოს რედაქციამ და რომ-

---

[1]) „კრებული“ 1872 წ. X — XII, „ჩვენი მწერლობა“ ნ. სკანდელისა, გვ. 152 და 154.

[2]) ივ. კერესელიძის წერილები რაფ. ერისთავისადმი — შ. რა-
ღიანის პუბლიკაციით. „ლიტ. მემკვ“. გვ. 543.



სახლი ყვარელში, სადაც დაიბადა ილია ჭავჭავაძე.

ლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია. დრონი მეფობენ". შემდეგ რედაქტორი აღნიშნავს, რომ ბევრ შემთხვევაში ეროვნული ვერ შეასრულა თავის პირდაპირი დანიშნულება სწორედ ამ გარეგანი დაბრკოლებათა გამო. 1864 წლისათვის ჟურნალმა ითხოვა პროგრამის გაფართოვება, მაგრამ უარი უთხრეს. იგი ცდილობდა არაპირდაპირ და გადაკვრით შეეხებოდა საჭირბოროტო საკითხებს და ამის საშუალება წაართვეს, დარჩა ერთი მხატვრული სიტყვა, ისიც შეკვეცილი, არტახებში ჩაჭედილი. და ასეთ პირობებში სიცოცხლეს „საქართველოს მოამბემ" სიკვდილი არჩია. ასრულდა რედაქტორის წინასწარმეტყველება: „ჩვენ დავჩუმებულვართ და სვინდისისათვის კი არ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი სჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა — ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და კვლავაც ისე მოვიქცევით — თუნდ რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლო მოელოს" (№ 1, ილიას წერილი — „რედაქციისაგან").

და მართლაც, 1864 წელს იგი უკვე აღარ გამოსულა. ბურთი და მოედანი ლიტერატურაში დროებით ძველი თაობის წარმომადგენლებს დარჩათ. მაგრამ ჟურნალმა ერთი წლის არსებობით მაინც უდიდესი როლი ითამაშა. მან შეამჭიდროვა თავის ირგვლივ მაშინდელი ახალგაზრდობა, დარაზმა იგი და გარკვეული მიზანი დაუსახა. ამიტომ სავსებით სამართლიანად ამბობდა ათი წლის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე: „რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარს" და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბეს" და „ცისკარს" შუა, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში" (1873 წ. „კრებული").

VII

ილია და ოლღა გურამიშვილი. შეყვარებული ილია. ილიას შეხედულება თავის აწმყოსა და მომავალზე. ქალის პატივისცემა. დაქორწინება.

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ ცოლად შეირთო ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილისა, რომელმაც ერთგული მეუღლეობა გაუწია პოეტს და ყველას მოწმობით, მუდამ მის თვალ-წარბში შემყურე იყო. მან 20 წელიწადს იცოცხლა მგოსნის ტრაგიკულად

დალუპვის შემდეგ. როგორც აღმოჩნდა, იგი მოწიწებით ინახავდა თავისი სახელოვანი მეუღლის სულ უმნიშვნელო ბარათებსაც და ახლა ისინი ჩვენ თვალწინ აწყვია — ილიას მშვენიერი ხელით ნაწერი და მზრუნველობით აქამდე ჩინებულად დაცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გადავათვალიერეთ ეს იშვიათი წერილები ამხ. პავლე ინგოროყვას დახმარებით. ესაა სავსებით ინტიმური ხასიათის ბარათები. რამდენი რამ არის აქ დამახასიათებელი ილიას პორტრეტის და მთელი მისი ცხოვრების ფართო ტილოსათვის! ჩვენ კი აქ მხოლოდ ზოგიერთ შტრიხს თუ გადავცემთ მკითხველებს.

აი, წერილები საცოლესთან, 1863 წლისა. ილია სწერს სატრფოს ყოველდღე და თუ ყოველდღევე პასუხი ვერ მიიღო, შფოთავს. შეყვარებულთ საქმე უკვე გადაწყვეტილი აქვთ, მაგრამ დაბრკოლებაა ქალის მამის მხრივ. ეტყობა, შეძლებულ თადეოზს არაფრად ეჭაშნიკება „სტუდენტი“ სიძე. წერილებში ამაზე ხშირად არის ლაპარაკი. ოლღა უპასუხებს, უფრო იმავე ქალალდზე, რომელზედაც ილია სწერს. თავდაპირველად მიმოწერა რუსულად არის, მაგრამ ოლღა მალე გაიწაფება ქართულშიც, ასე რომ ილიას, ამ „პატარა რედაქტორს“, როგორც თვითონ უწოდებს თავს (ეტყობა, ოლღას დაურქმევია საალერსოდ ეს სახელი), უკვირს კიდეც საცოლის ბეჯითობა. და დინჯი, თავშეკავებული, „ცივი“ ილია — უცნაური გეჩვენებათ ამ ბარათებში! იგი სწერს უმთავრესად ღამე — 2—3 საათზე. დატებს იშვიათად აღნიშნავს, საათს კი ხშირად. „სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს? „ილიას თვითონაც უკვირს და ირონიულად სწერს ოლღას: „ვინ მე და შუალამისას ქალთან წიგნების წერა ვინაო“.

საინტერესოა და 60-იანი წლებისთვის ფრიად დამახასიათებელი ის პირდაპირობა, რომლითაც მიმართავს ილია თავის მომავალ მეუღლეს. ქალი მას მიაჩნია სავსებით მამაკაცის თანასწორად და ამიტომ წინასწარვე ატყობინებს, თუ როგორ წარმოუდგენია თავისი მომავალი ცხოვრება. ილია რამდენიმეჯერ აღნიშნავს, რომ იგი არა თუ შეძლებული არ არის, არამედ ღარიბია.

„მე თვითონ განვიკუთვნე თავი ჩემი სილარიბისა და შრომისათვის. მართალია, არც ერთი, არც მეორე მე არ მაშინებს, მაგრამ იქნებ მაფი თქვენ შეგეშინდეთ?“ ეკითხება იგი სატრფოს (წერილში № 2). იცოდე ეს და ცოლად გამოყოლა ისე გადასწყვიტეო. რამდენიმე ხნის შემდეგ ილია კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და ამბობს: „იცოდე, სილარიბე ბრძოლაა, სიმდიდრე განცხრომაა, — განცხრომა კი, ჩემის მოხევისა არ იყოს, საფლავშიაც გვეყოფა“.

ილია საცოლეს სიხარულით ატყობინებს ჟურნალის გამოსვლას, უზიარებს თავის მოსაზრებებს, უგზავნის პირველ ეგზემპლარებს. მას იგი დაჰყავს იმ სალიტერატურო საღამოებზე და წაიკითხავს, დაც თვითონ ილია და მისი ამხანაგები კითხულობენ თავიანთ ნაკეთებ სხვა ნაწარმოებს, მსჯელობენ თანამედროვე საჭირბოროტო საკითხებზე.

მაგრამ როგორც ჩანს, თადეოზ გურამიშვილი კარგა ხანს ყოყმანობდა და ახალგაზრდათა შეუღლების ბედი ბეწვზე ეკიდა. რამდენიმე კაცმა სცადა მასთან მოლაპარაკება, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს საქმე გამოურკვევია ვინმე ხეჩო დარჩინოვს. შეიძლება შემთხვევით, მაგრამ ბოლოს თადეოზის თანხმობის ამბავი პირველად იმისგან შეუტყვიათ ილიას და ოლლას. რა აღტაცებულია ილია! მაგრამ აქაც ირონიას და ხუმრობას ურთავს და სატრფოს სწერს: „როგორა გგონია, გარიბალდი უფრო მაღლა დგას თუ დარჩინოვი? მე მგონია — ეს უკანასკნელი. ყოჩაღ ხეჩო!“

ილიას ჯვარი დაუწერია სამების ეკლესიაში 1863 წლის 10 აპრილს. როგორც მეტრიკული ჩანაწერიდან ჩანს, ოლლა მაშინ იყო 20 წლისა, ე.ი. 6 წლით ილიაზე უმცროსი ყოფილა. საინტერესოა, თუ ვინ იყვნენ მექორწინეთა ეგრეთწოდებული „მეჯვარეები“ (მოწმენი!). ილიას მხრივ ესენი იყვნენ — „საქ. მოამბის“ თანამშრომელი დავით ყიფიანი და ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ხოლო ოლლასი — პოდპოლკოვნიკი ილია ჩოლოყაშვილი და სულხან თუმანიშვილი.

ილიას დაქორწინებით ფრიად გახარებული იყო მისი აღმზრდელი და მოჭინახულე მამიდა მაკინე. მოხუცებულობისაგან აკანკალებული ხელით იგი სწერს საყვარელ ძმისწულს: „ღმერთმან ყოვლის შემძლებელმან გაბედნიეროთ ორნივ ცოლ-ქმარნი, როგორც ორისავე სურვილი იყოს თქვენი და ჩემი გულიც იმეტებდეს თქვენთვის, უსაყვარლესო შვილო. აღგავსოთ ღმერთმან ბედნიერებითა და შვილიერებით... რადგან ღმერთმან აქამდის მომაღწევინა, რომ ილიას კარგს ცოლს მოვესწარ, აღარაფერს მწუხარებას გავიგონებო“ და სხვა.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა ტემპით იცვლებოდა თადეოზ გურამიშვილის დამოკიდებულება „სტუდენტ“ სიძესთან, მაგრამ ცხადი კია, მალე უნდა მიმხვდარიყო, რომ ილიას სახით ჩვეულებრივ მომაკვდავთან არ ჰქონდა საქმე. ოლლა კი ხომ ყოველთვის პირდაპირ აღმერთებდა თავის მეუღლესა და მეგობარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ქუთაისში. ილია დუშეთის მომრიგებელი შუამავალი. ილია მოსამართლე. ილია და ბატონყმობა. ილიას შეტაკება ბატონყმებ მომხრეებთან. ილიას ბამული ყვარელში.

„საქართველოს მოამბის“ დაკეტვის შემდეგ ილიას, რასაკვირველია, არ შეეძლო „ცისკარს“ დაჰბრუნებოდა. ლიტერატურას მოშორებული ილია ცდილობს ცხოვრების გარეშე არ დარჩეს და აი იწყება მისი ეგრეთწოდებული მოხელეობის, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, „ჩინოვნიკობის“ პერიოდი. ილია რჩეობს ისეთს თანამდებობას, სადაც მას შეუძლია რაიმე სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანას და უშუალო ურთიერთობა ჰქონდეს ხალხთან.

თანახმად ფორმულარული ნამსახურობითი სიისა და „ავტობიოგრაფიისა“, ჩვენ გვაქვს ილია ჭავჭავაძის მოხელეობის შესახებ შემდეგი ცნობები: 1864 წლის 10 აპრილს იგი დანიშნულია მეფის ნაცვლის სამმართველოს ბრძანებით იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მონდობილობათა მოხელედ. ილიას აქ დავალებული აქვს მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობის გამორკვევა, რაც ბატონყმობის მოსპობის შემზადებისთვის იყო საჭირო. იმავე წლის ნოემბრის 8 იგი დაუნიშნავთ მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში. 1868 წლის 1 თებერვალს, როდესაც კავკასიაშიაც მოხდა სასამართლოს რეფორმა (ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მაინც არ შემოუღიათ!), ი. ჭავჭავაძე დანიშნეს მომრიგებელ მოსამართლედ დუშეთშივე. ამ თანამდებობაზე იგი რჩება 1874 წლამდე, როდესაც ტფილისს გადმოდის ბანკის სამსახურში.

არის მრავალი მოწმობა, რომ ი. ჭავჭავაძე ძალიან პოპულარული იყო ხალხში, დიდი სახელი ჰქონდა მიუდგომელი მოსამართლისა და ჩაგრულთა მოსარჩლისა. მისი ჭკუისა და სამართლიანობის შესახებ ადგილობრივ მოხუცთა შორის ბევრი დამახასიათებელი გადმოცემაა დარჩენილი. მაგრამ აქ შევეხებით უმთავრესად იმას, თუ რა მონაწილეობა მიიღო ილიამ გლეხთა განთავისუფლების საქმეში.

როგორც ცნობილია, რუსეთში ბატონყმობა გადავარდა 1861 წელს, ჩვენში კი რამდენიმე წლით უფრო გვიან (1864 აღმოსავლეთ, ხოლო 1866 წ. დასავლეთ საქართველოში). ვიდრე რეფორმას მოახდენდნენ, მთავრობა არკვევდა გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობას. დაარსეს აგრეთე თავად-აზნაურთა კომიტეტი იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ უნდა მომხდარიყო გლეხთა განთავისუფლება: უმიწოდ თუ მიწიანად.

თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი თავზარდაცემული იყო. ამ უმრავლესობის აზრს გამოხატავდნენ მათი თელაველი მოძმენი, როცა სჩიოდნენ: „ჩვენ არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანი ჯდომა, არც ხვნა, ბოსტნის ბარვა და თოხნა, არც საქონლის და ცხვრის დევნა... ხოლო გლეხი... შობილია ამ გვარის მდაბიო ცხოვრებისათვის“ და ამიტომ დეე ისევ მან იშრომოსო.

თავად-აზნაურთა აზრს რეფორმის სასურველი სახის შესახებ მაზრობრივ აგროვებდნენ. ასეთი აზრი წარუდგენია, სხვათა შორის, თელავის მაზრის 9 მემამულესაც. მათ მოუთხოვნიათ გლეხთა უმიწოდ განთავისუფლება. დიდი ხნის განმალობაში ამ 9 მემამულის განცხადება მომარჯვებული ჰქონდათ იმ ვულგარიზატორებს, რომელნიც ცდილობდნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, დაემტკიცებინათ, რომ ილია ჭავჭავაძე მუდამ ბატონყმობის... მომხრე იყო. ზემოხსენებული დოკუმენტი დაწერილია ერთის ხელით და ხელს სულ არავინ აწერს. ჩამოთვლილი არიან ისინი, ვისიც აზრია ვითომ გადმოცემული. და აი, ამ სიაში მოხსენებულა ვინმე „კნიაზ ილია ჭავჭავაძე“. ილიას მთელი მოღვაწეობა და მაშინდელი მისი საერთო პოზიცია რომ არ მივიღოთ მხედველობაში, საიდან ჩანს, რომ ეს „კნიაზი“ — ჩვენი პოეტი არის და არა სხვა ჭავჭავაძე? ან რატომ აუხვიეს განგებ გვერდი და თვალი დაიბრმავეს ამ ვულგარიზატორებმა იმაზე, რომ ხსენებულ 9 მემამულეთა შორის მოხსენებულია აგრეთვე „კ ნ ი ა ზ ნ ი კ ო ლ ო ზ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე?.. ჩვენ კი დოკუმენტი გვაქვს, რომ ამ ნიკოლოზ ჭავჭავაძემ გლეხთა განთავისუფლების პროექტი მარცხნიდან სასტიკად გააკრიტიკა. სწორედ ეს მემარცხენე ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ჭავჭავაძეა, რომ ილიას, როგორც თავისი ახლობელი მეგობარი, დაქორწინების დროს ეგრეთწოდებულ „მეჯვარედ“ ამოურჩევია. რატომ ამ შედარებით უცნობ პირზე არ შეიტანეს იჭვი და მოინდომეს ილია ჭავჭავაძის დასამცირებლად ყურითმოთრეული „არგუმენტების“ გამოყენება? მხოლოდ ძალად დაბრმავებულს შეეძლო ვილაცის ნაჯღაბნი ილიას გამაბახებელ „ურყევ“ დოკუმენტად მიეჩნია.

თავად-აზნაურობის უმრავლესობა თავზარდაცემული იყო, მაგრამ ხარობდა ახალგაზრდობა. ამ შემთხვევაში მისი თანაგრძნობა მთავრობისაკენ იყო — წინააღმდეგ მებატონეებისა. ეს არც საკვირველია. გერცენმა, ცნობილმა რევოლუციონერმა, 20 წლის ემიგრანტმა გერცენმა, როდესაც გლეხთა განთავისუფლების ამბავი გაიგო, მეფე ალექსანდრეს მიმართა ცნობილი სიტყვებით: „შენ გაიმარჯვე, გალილეველო!“ ამიტომ იყო, რომ მაშინდელი ახალგაზრდობა პირველ ხანად გაეშურა სამსახურში და უნდოდა უშუალო მონაწილე-

ობა მიეღო რეფორმების მოხდენაში. მალე მას იმედები გაუცრუვდა, მაგრამ პირველი გრძნობა — სიხარულისა და მუშაობის საჭიროების გრძნობა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორ უყურებდნენ ილიას და მის ამხანაგებს მაშინდელი თავად-აზნაურნი, ამას, მოწმობს ი. ჭავჭავაძის ერთი წერილი მეუღლისადმი. 1864 წლის 22 მაისს ილია სწერს ოლღა თადეოზისასულს ქუთაისიდან, სადაც ილია სამსახურში იყო გამწესებული: „ამას კი მოგწერ, რომ ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ: აი, ესენი არიან ჩვენი დამღუპავები, უმების წამრთმევები“. ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან“, ეს ვიღა გადამთიელი მოთრეულაო.

რეფორმის შემამზადებელმა თავად-აზნაურთა კომიტეტმა, როგორც იქნა, დიმიტრი ყიფიანის მეთაურობით, მოათავა თავისი მუშაობა. შეიკრიბა თავად-აზნაურთა საგანგებო ყრილობა, რომელსაც კომიტეტის პროექტი უნდა განეხილა და აგრეთვე გადაეწყვიტა საკითხი—უმიწოდ თუ მიწიანად უნდა განეთავისუფლებინათ გლეხები. ამ კრებას ილია ჭავჭავაძეც დაესწრო. შეხლა-შემოხლა დიდი იყო და მასში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ როგორც ილია, ისე მისი ამხანაგები. აი, როგორ გადმოგვცემს ამ საყურადღებო კრების ამბავს ქრისტ. მამაცაშვილი:

„ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა აღაშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა, ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და კრებიდან ძლივსძლივობით გაიყვანეს. მე გომბორში ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა ტფილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარს შემოვერტყათ და ბატონყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა, მათ შორის ანტ. ფურცელაძე და წერილის ავტორიც მუდმივ შორიახლოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი. მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენერალ-ლეიტენანტმა ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა: უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავად-აზნაურობა მიემხრობა, მიწიანად კი — მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, თავისკენ მიაბრუნა და ჰკითხა: ვინ არიან ეგ

კაცუნებიო. მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შესცდა და რამდენიმე კაცუნას მაგივრად უნდა ეთქვა რამდენიმე კაცი".[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვიცით, საკითხი ბოლოს არსებითად ილიაზეა ... მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ გადაწყდა. გლეხები ჩვენში განთავისუფლეს, მაგრამ მიწა მათთვის საკუთრებად არ მიუციათ, არამედ ეგრეთწოდებულ „ნადელებად". ყოფილ ყმებს მხოლოდ უფლება მიეცათ გამოესყიდათ თავისი მიწები და შეიქმნა ეგრეთწოდებული დროებით ვალდებული გლეხობა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იხდიდა სანადელო ფულს. მხოლოდ რევოლუციის წინა ხანს (1912 წ.) მოისპო ეს დროებითი ვალდებულება და სამოციან წლებში დაწყებული რეფორმა ფორმალურად ნახევარი საუკუნის შემდეგ მოთავდა.

როგორ მოიქცა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე თავისი მამულის და იქაური გლეხების მიმართ? მისი მამული კახეთის სოფელ ყვარელში იყო. ილიამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე გლეხების მიერ ხმარებული საკომლო, სახლკარის მიდამო, მათი ხვედრი ვენახები უ ს ა ს ყ ი დ ლ ო დ დ ა უ თ მ ო, ხ ე ლ შ ე უ ხ ე ბ ე ლ ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ დ ა უ მ ტ კ ი ც ა და ამით მოსპო ყოველგვარი ბატონყმური დამოკიდებულება თავისსა და ყოფილ ყმებს შორის:[2] ამნაირად, ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებშივე მოიქცა ისე, რასაც შემდეგომ ხანებშიაც მოწინავე თავად-აზნაურებს დიდ პროგრესისტობად და რევოლუციონერობადაც კი უთვლიდნენ!

IX

ილიას მარტობა დუშეთში. ილიას იმდროინდელი მონაწილეობა ჟურნალ-გაზეთებში. „კრებული". ტფილისს გადმოსვლის ცდა. „გამოცანები" და შეტაკება გრიგოლ ორბელიანთან. „ალაკი წერეთლის გამოსარჩლება.

ილია თითქმის მთელ ათ წელიწადს მსახურობდა დუშეთში, „დამპალ დუშეთში", როგორ იგი სწერს თავის მეუღლეს. ადვილად წარმოსადგენია, თუ რაგვარად უნდა ეგრძნო თავი ილიას, ამ ლომს, ამ პატარა გალიაში! იგი სწუხს, ხანდახან შფოთავს, ხან მწარედ ახასიათებს, დასცინის თავის მდგომარეობას.

---

[1]) კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება". გვ. 67.
[2]) თხზულებანი, IX, გვ. 189 („ნუთუ?").

1873 წელს იგი სწერს მეუღლეს: „გაზილა[1]) ისეთი ბრძენი ძაღლია, რომ პლატონ იგნატიჩ იოსელიანს ეხლავ ჰსჯობიან ფილოსოფიაში. ბევრი რაღაც შტუკები ისწავლა. ჩემი შესაქცევარი და დროს გამტარებელი გაზილა არის. სანატრელია ის ქვეყანა, სადაც კაცის შექცევა ძაღლზე არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ჭავჭავაძე 70-იან წლებში.

დამოკიდებული. უჰ, რა ყრუ რამ არის ეხლა ჩემთვის ეს დარბაისელი დუშეთი“. (ხაზი ჩვენია. ქ. რ.).

რასაკვირველია, სამსახური და მერე ისეთ მივარდნილ კუთხეში, როგორც დუშეთი იყო, ილიას ხელს უშლიდა ლიტერატურული მუშაობა გაეწია. ერთერთ წერილში პეტრე უმიკაშვილისადმი იგი აღნიშნავს:

---

[1]) ილიას საყვარელი ძაღლი, რომელსაც პოეტი კერძო წერილებში ხშირად ახსენებს.

„ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წელიწადსათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ეჭვიანობენ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვეუბნებვარ ამგვარ მდგომარეობისთვის, მაგრამ შველა არსით არი. ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რითი ვიცხოვრო?.. ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა-პურის შოვნის დევნაში, სამსახურს რომ თავი დავანებო“. [1])

მიუხედავად ამისა, ილიას იმხანად სრულიადაც არ გაუნებებია თავი მწერლობისთვის, როგორც ზოგიერთნი აღნიშნავენ. პირიქით, იგი ფრიად დიდ მონაწილეობას იღებდა „დროებაში“, განსაკუთრებით კი გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის ჟურნალ „კრებულში“ (1871 — 73 წ.), სადაც დაიბეჭდა მისი „გლახის ნაამბობი“ (მთლად), „აჩრდილი“, „კაკო ყაჩალი“ და მრავალი წვრილი ლექსი. მოხელეობა ილიასათვის ვარდუვალი ტვირთი იყო, მაგრამ როდესაც 1864 წელს პეტერბურგში მყოფი კირ. ლორთქიფანიძე მიმართავს — მომაწოდეთ რამე ქართველ პოეტთა ლექსების კრებულისათვისაო, ილია უპასუხებს: „ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს მაგისთანა საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა... გთხოვთ ყოველთვის და ყველგან მიგულვო სულით და გულით გამზადებულიო“, უგზავნის თავის ნაწარმოებთ და ჰონორარზედაც უარს ამბობს. [2]).

ილია გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას. მაგალითად, ის ძალიან შეშფოთებულია, რომ ხმები გავრცელდა — „კრებული“ ველარ გამოვაო. „კრებული უნდა არსებობდეს უსათუოდ“, სწერს ილია 1872 წ. დუშეთიდან იმავე პ. უმიკაშვილს. თავის თავზე იგი ამბობს: „მე უნდა სამსახურს გარეთ ვიყო. სამსახურისთვის თავდანებება ჩემთვის ამჟამად დიდი არაფერია. და თუ სამსახურიდან გამოვალ, მხოლოდ იმისთვის, რომ ჟურნალი გაშოვსცე... თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს მწერალზედ იმედი მექნება, ანუ უკეთ, მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონ გალავანზედა“.

ამავე წერილში ილია გამოსთქვამს მწერალთა კლუბის დაარსების იდეას: „იქნებ მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, ამბობს ის, რომ მწერლებს, ჟურნალის გარდა, სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ. მაგალითად, რომ ქალაქში იმისთანა სახლი მოხერხებულიყო საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვა

---

[1]) „მნათობი“, 1933 წ. № 8—9, გვ. 278.

[2]) იქვე, გვ. 272.

თანამგრძნობელთ ერთად თავისმოყრა თვითეულის გონების საუ-
ჯის აღებმიცემობისთვის".[1]).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ილიამ დიდხანს ვერ მოახერხა ვერც ქალაქს გადმოსვლა, ვერც ჟურნალის გამოცემა. მაშინდელი ახალგაზრდობაც მძაფრად განიცდიდა ტფილისში ილიას უყოლობას. ეს ახალგაზრდობა იმის ფიქრში იყო, ილიასათვის შეექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ პოეტს შესძლებოდა თავისი ძალ-ღონის შესაფერისი მონაწილეობა მიეღო ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აი რას ამბობს ნ. ნიკოლაძე ამაზე: ილია ჭავჭავაძე „დუშეთში ცხოვრობდა, საცა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყოველი მაშინდელი ახალ თაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე — დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871 — 1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვად" ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი". [2]).

ილიას ტფილისს გადმოსვლა ვერ მოხერხდა 1874 წლამდე. მაგრამ, როგორც ვთქვით, იგი შორიდანაც დიდ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ჭავჭავაძის სასტიკი შეტაკება თავად-აზნაურობის ისეთ კოლორიტულ წარმომადგენელთან, როგორიც იყო გრიგოლ ორბელიანი. ამ შეტაკებაში, რომლის ლიტერატურული ძეგლები დაგვრჩა (ი. ჭავჭავაძის „გამოცანები" გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა" და ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი"), ნათლად ჩამოყალიბდა ძველ და ახალ თაობათა მისწრაფებანი და განსხვავება. საქმე ასე იყო.

ილია ჭავჭავაძემ 1871 წლის დეკემბერს დასწერა „გამოცანები", რომლებშიაც მკაცრად არიან დახასიათებულნი ძველი თაობის ბურჯები: რ. ანდრონიკაშვილი, გ. კ. მუხრან-ბატონი (რომელიც ამტკიცებდა, რომ დიდმა ერებმა პატარები უნდა ჩაყლაპონო და რომელზედაც ილიამ მოხდენილად სთქვა: Лишь право сильного раб свято почитает — მონა მარტო ძლიერის უფლებას ეთაყვანება მოწიწებითაო), პ. იოსელიანი, გრიგოლ ორბელიანი, გრაფი მ. ლორის-მელიქოვი (შემდგომ მინისტრი), მიხეილ თუმანიშვილი, ლევან მელიქიშვილი და სხვანი. ყოველი დახასიათება თავდებოდა სიტყვებით: „მაგრამ ერიც და ქვეყანაც იმას ფეხებზე ჰკიდია".

---

[1]) „მნათობი", 1933 წ. № 8—9, გვ. 279.

[2]) იქვე, გვ. 279.

საბაბი ამოცანების დაწერისა შემდეგი გარემოება იყო: 1871 წელს საქართველოში უნდა ჩამოსულიყო მეფე ალექსანდრე II. თავად-აზნაურობა ზეიმით ემზადებოდა მის დასახვედრად: საჭირო ადრესიც უნდა წარედგინათ მეფისთვის და ზოგი რამ ეთხოვნათ. თავად-აზნაურთა საგანგებო ყრილობამ ახალგაზრდათა ჯგუფის ზეგავლენით — დაადგინა, მოეთხოვნა ტფილისში უნივერსიტეტის გახსნა. უკანასკნელ წუთებში თავად-აზნაურთა მაღალ ფენებს შეეშინდათ ასეთი „მოთხოვნისა". მეფის ნაცვალთან შეთანხმებით თავად-აზნაურობის წინამძღოლმა რევ. ანდრონიკაშვილმა შესცავალა ადრესი და უნივერსიტეტის მაგივრად მოითხოვეს ტფილისში... კადეტთა კორპუსის (სამხედრო სასწავლებლის) დაარსება. ამ საქმეში ერთი თერგდალეული ბეს. ღოლობერიძეც მოჰყვა და ამით აიხსნება ილიას მკაცრი გალაშქრება მის წინააღმდეგ, რადგან მისი მაშინდელი საქციელი ღალატად მიაჩნდათ. ძველებმა ძალიან იწყინეს ახალთა თავხედობა. მათმა ყველაზე ავტორიტეტიანმა წარმომადგენელმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა დასწერა თავისი შესანიშნავი „პასუხი შვილთა", სადაც ახალთაობას უსაყვედურებდა ენის წახდენას, ღვთის გმობას, ცრულიბერალიზმსა და სხვ.

ილიაზე იგი ამბობდა „იმ ლიბერალსა, ბურთივით მრგვალსაო". როგორც ჩანს, თავისი გარეგნობის დახასიათება ილიას მოსწონებია და ცოლთან წერილებში ხუმრობით შემდეგ ხშირად იხსენიებს ასე თავის თავს.

ილია ჭავჭავაძემაც უპასუხა ცნობილი ლექსით. ეს უკანასკნელი იმდენად დამახასიათებელია მაშინდელი განწყობილებისა და თვითონ ილიასთვის, რომ არ შეგვიძლია თვითონ ლექსის ნაწყვეტიც არ მოვიყვანოთ.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: ახალი თაობის წარმომადგენლებს, თუმცა რუსეთი მოუვლიათ, მაგრამ ძველებისგან განსხვავებით, თავისი ქვეყანა ჩინებზედ არ გაუცვლიათ, ერი ჯვრებზე არ გაუყიდიათ, ლიბერალ-პატრიოტობა სალანძღავად არ გაუხდიათ. „თქვენ ნაცარმქექნო და გულნამცეცნო", რატომ არის, რომ „ძირს უთხრით ღარიბთ ერთობასო". თქვენ ურჯულოებას გვწამებთ. ერთი მხრივ ეს მართალიაო:

ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის და მძარცველობის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.
ხოლო გვწამს ღმერთი, უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;
ყოველთა ძმობის, თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული.
ძლიერთ დამბმელი, უძლურთ ამხსნელი,
თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-დევნული.

ენა ახალმა თაობამ შეინახა, რადგან ძველნი—„შიშით არც კარში და აღარც სახლში მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენადო".

რასაკვირველია, ასეთი რისამე დაბეჭდვა შეუძლებელი იყო. ილიას ლექსი დადიოდა ხელნაწერად ჩვენს მაშინდელ საზოგადოებაში, ბრძოლის ცეცხლს უნთებდა ახალგაზრდობას და ლახვრად ხვდებოდა ძველს თაობას. აი, რას სწერდა ამაზე სერგეი შესხი 1872 წლის 26 იანვარს კირილე ლორთქიფანიძეს: „ტფილისში ჰყვავის... ლიტერატურა. ორი ისეთი ხელნაწერი პამფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა. ერთია „გამოცანები", რომელშიაც აწერილი არიან (ან უკეთ ვთქვათ, გალანძღული არიან კარგა ლაზათიანად) გრ. ორბელიანიო" დ მერე ჩამოთვლილია ყველას გვარი.[1])

ამ კამათს, სხვათა შორის, გამოეხმაურა აკაკი წერეთელიც, რომელსაც გ. ორბელიანი უწოდებდა: „აკაკიები, ბაკაკიებიო". აკაკიმ ახალთაობის სახელით დასწერა „იარანალი ხარაბუზა", სადაც ილია ჭავჭავაძეზე ნათქვამია:

იმ ლიბერალს, ბურთივით მრგვალს,
რად უპრაწავ მრისხანედ თვალს?
ის გიხდით ვალს და თქვენსა კვალს,
არ აღირსებს თავის ნავალს;
თქვენებრ ვერსად წაიკუზა,
იარანალო ხარაბუზა[2]).

ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს აკაკის ეპიგრამა: „ტყეში შეველ, დათვი ვნახე ორ ბელიანიო".

---

[1]) „მნათობი" № 8—9, 1932 წ. გვ. 202.

[2]) ეს ლექსი მთლიანად დაიბეჭდა პოეტ ი. გრიშაშვილის პუბლიკაციით „ლიტ. გაზეთში", № 5, 1935 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ უნდა აღინიშნოს, თუ როგორ გამოეხმაურა ი. ჭავ-ჭავაძე პარიზის კომუნის დაცემას. 1871 წლის მაისის 29 თარიღით დაწერილ შესანიშნავ ლექსში იგი ასე აფასებს კომუნარების ბრძოლას:

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

ამნაირად, ი. ჭავჭავაძე იმხანად კვლავ ავიდა მწვერვალზე და მაშინდელი ახალი თაობის ღირსეული ბაირაღტარი გახდა.

X

თავად აზნაურთა ბანკი. ილიას მონაწილეობა წესდების შედგენასა და დამტკიცებაში. ილია — ბანკის გამგეობის თავმჯდომარე. დ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი და ი. ჭავჭავაძე ბანკის საკითხში.

როგორც ცნობილია, თავად-აზნაურობას მთავრობისგან მიეცა განსაზღვრული თანხა გლეხთა განთავისუფლების დროს. ეს იყო არსებითად სახელმწიფოს მიერ ხალხის ხარჯზე მიწის გამოსყიდვა. ეს თანხა უნდა დაერიგებინათ მემამულეთათვის. მაშინდელი მოწინავე პირები შეეცადნენ ამ თანხის ნაწილი მაინც ისეთ საქმეს მოხმარებოდა, რაიც რაიმე სარგებლობას მოუტანდა მთელ ქართველ ხალხს და არა მარტო ერთ რომელიმე წოდებას. ასეთ საქმედ მიაჩნდათ ბანკის დაარსება, რომელიც კრედიტს გასცემდა და ქვეყნის ეკონომიურად მოლონიერებას ხელს შეუწყობდა. დიდი მეცადინეობის შემდეგ მოხერხდა, რომ ბანკის ძირითად თანხად გამოჰყვეს 180 ათასი მანეთი, რომელიც მალე 240 ათასამდე ავიდა.

ბევრი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ დ. ყიფიანის და ილია ჭავჭავაძის რჩევით გადაწყდა დაეარსებინათ საადგილ-მამულო ბანკი და წესდების შესადგენად აირჩიეს კომისია, რომლის ერთერთ წევრად ილიაც იყო. წესდება შეადგინეს და თავად-აზნაურობის კრებამ იგი მოიწონა. მისი „ნიშნობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განარჩევს-ამბობს ილია ჭავჭავაძე „ავტობიოგრაფიაში“, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა, რაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ხმარდება ამერეთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი, თავად-აზნაურთა, არამედ მიწათმომქმედთა საერთო საჭიროებას“.

ილია ჭავჭავაძე მესამე დასელებთან კამათის დროსაც ამ ბანკის ღირსებად იმას სთვლიდა, რომ იგი წოდებრივ მიზნებს არ ისახავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1873 წელს ილია ჭავჭავაძეს დაავალეს პეტერბურგს წასვლა ბანკის წესდების დამტკიცებისთვის. პეტერბურგიდან მეუღლესთან გამოგზავნილი იმდროინდელი წერილები აღსავსეა იმის აწერილობით, თუ რამდენ დაბრკოლებას უქმნიდა თვითმპყრობელობა ამ ბანკის დაარსებას. რამდენიმეჯერ საქმე თითქმის გადაწყვეტაზე იყო მიმდგარი, მაგრამ გამოჩნდებოდა რაიმე ახალი საბაბი გადადებისა და ილიაც იძულებული იყო ელოდნა ბიუროკრატების ხრიკების დასასრულისათვის. ხანდახან პოეტი სასოწარკვეთილებასაც კი ეძლევა და სწერს ოლღა თადეოზის-ასულს: „ალბათ არაფერი გამოვა, ამდენ ტანჯვას ის გვერჩევნოდა, ვგდებულიყავით იმ ჩვენ

ილიას მეუღლე ოლღა ახალგაზრდობაში

დამპალ დუშეთშიო". ილიასთვის მაშინ ნუგეში იყო ივ. მაჩაბელ-თან ერთად „მეფე ლირის" თარგმნა. ილია ძალიან კმაყოფილია ამ თარგმნით და ცოლს სწერს: აქ წავიკითხეთ ერთ შეკრებაში ... ქალებმა ბევრი იტირეს, დამაცა, მანდ ჩამოვალ, გატირებთ. ვერც ერთი რუსული თარგმანი ვერ შეედრება ჩვენსასაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, წესდება დაამტკიცეს და ბანკმა მოქმედება დაიწყო 1875 წლიდან. უნდა ითქვას, რომ იმდროინდელი ილიას წერილები მეუღლესთან დიდ მასალას მისცემს იმას, ვინც ხსენებული ბანკის და ეგრეთწოდებული „ბანკოვიადის" საკითხის ვრცლად გაშუქებას მოინდომებს.

ბანკის წმინდა მოგება მართლაც ხმარდებოდა საზოგადოებრივ დაწესებულებებს: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას (შემდგომ ქართულ გიმნაზიას), რომელშიაც სხვა წოდების შვილებიც სწავლობდნენ და 1900 წლებიდან უმეტესობასაც შეადგენდნენ: წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლას, ქართულ თეატრს, წერა-კითხვის საზოგადოებას და ბევრ სხვა ქართულ კულტურულ დაწესებულებას.

ბანკის დაარსებიდან 1875 წლიდან 1905 წლამდე, ე. ი. სრულ 30 წელს, ილია ჭავჭავაძე იყო მისი გამგეობის არჩეული თავმჯდომარე. ამ ხნის განმავლობაში მას ბევრი ბრძოლა და უსიამოვნება გადახდა ბანკის გამო და ბანკის საკითხების ირგვლივ. ილია ჭავჭავაძის თანამდებობა ისეთი იყო, რომ არ შეიძლებოდა ბევრი მადლიერი და მომდურავი არ ჰყოლოდა. ილია სასტიკი მომხრე იყო ბანკის წესების განუხრელად შესრულებისა. ეს აზრი მან თავიდანვე, 1875 წელსვე გამოსთქვა საჯაროდ. „ბანკი თავად-აზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულის ერთი გროშიც არ დაიკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს, ზოგი კიდეკ ღარიბთ გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულაღმა წვანან, გულზე ფაფუკი ხელები დაუკრეფიათ, პირი დაუღიათ ღა ყვირიან, მასვით და მაჭამეთო" [1]).

ასე ესმოდა ილია ჭავჭავაძეს ბანკის დანიშნულება და, ამ-ტომ ამტკიცებდა შემდგომ, ჩვენი ბანკი წოდებრივი, დაწესებულება არაა

---

[1]) არჩ. ჯორჯაძე. ტ. V, გვ. 169.

ბგი მთელ ერს ემსახურებაო. თვითონაც სწორედ ამიტომ იყო გულმოდგინე დარაჯი ზემოხსენებული დაწესებულებისა.

ბანკზე საუბრის მოსათავებლად მოკლედ შევეხებით იმ [illegible] კებებს, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს მოუვიდა ჯერ ნიკ[illegible] ძესთან (1876 წ.), შემდგომ დიმიტრი ყიფიანთან (1883 წ.), ბოლოს კი ივანე მაჩაბელთან. როგორც სამართლიანად აღნიშნავს განსვენებული სიმონ ხუნდაძე, ნ. ნიკოლაძე ბანკს, გარდა სამრეწველო მიზნებისა, „უტოპიური გეგმების განხორციელებასაც ავალებდა. ერთი მხრივ იგი ფულის „მოზიდვასა", მრეწველობისა და აღებ-მიცემობის განვითარებას აკისრებდა, მეორე მხრივ, ვაჭრობისა და თავისუფალი ეკონომიური საქმიანობის შეზღუდვას ავალებდა".[1]) ილია ჭავჭავაძეს კი უფრო რეალურ საქმედ მიაჩნდა „აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპის" დაცვა, რადგან, მისი აზრით, ბანკს მხოლოდ იგი შეიძლებოდა საფუძვლად სდებოდა.

ნ. ნიკოლაძე სხვა უფრო ფართო მიზნებსაც უსახავდა ბანკს (სოციალისტური ხასიათისას), ილიას კი უტოპიურად მიაჩნდა იმდროინდელ პირობებში ეს პროექტები და გადაჭრით უარჰყოფდა.

უტოპიურსავე მიზნებს (ოღონდ უკვე თავად-აზნაურობის დახმარებისაკენ განხრით!) უსახავდა ბანკს დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც მის დაარსებას დიდი ღვაწლი დასდო. იგი აღნიშნავდა, რომ ბანკს უნდა ეხსნა თავად-აზნაურობა, როდესაც „უკიდურეს განწირულებაში ვიყავით", მან ვერ გაამართლა იმედები და ქალაქის მცხოვრებთ უფრო ეხმარებოდაო. ილია ჭავჭავაძე უპასუხებდა: ბანკი კომერციული დაწესებულებაა და არა საქველმოქმედო; სესხის ამღები, რა წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს, ვალდებულია დროზე გადიხადოს ვალი. ისე ბანკი უეჭველად დაიღუპება, როგორც კომერციული დაწესებულებაო.

რაც შეეხება ივ. მაჩაბლის ბრძოლას ილიას წინააღმდეგ და „ბანკოვიადას", მასზე ჩვენ მხოლოდ ცოტა ხანს შევჩერდებით. ამ საგანზე ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ დღემდე მაინც გაურკვეველი რჩება, თუ რა მიზნებს ისახავდა ის ოპოზიცია, რომელსაც ივ. მაჩაბელი უწევდა მეთაურობას. ჩვენის აზრით, ამის ზუსტად დადგენა თითქმის შეუძლებელიცაა. საქმე ისაა, რომ ივანე მაჩაბლის გარშემო იმ დროს თავს იყრიდა ძალიან მრავალფეროვანი ხალხი, დაწყებული კონსერვატორ მიხ. მაჩაბლითა და ექიმ გ. გაბაშვილით

---

[1]) ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. რჩ. ნაწერები, ს ი მ. ხ უ ნ დ ა ძ ი ს გამოკვლევა ნ. ნიკოლაძეზე, გვ. 84.

და გათავებული ახალგაზრდების ერთი ნაწილით, რომელნიც ილიას ებრძოდნენ სრულიად არა საბანკო საკითხების გამო. ამ სიტყვებით აიხსნება, რომ ამ ჯგუფმა ვერ ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი. გიორგი თუმანოვი, რომელიც ერთხელ უკვე მოვიხსენიეთ, ... მელიც ილიას ებრძოდა 90-იან წლებში, აღნიშნავს: ბანკის საკითხში და ივ. მაჩაბელთან ბრძოლის დროს მე ილიას მომხრე ვიყავი, რადგან მისი პოზიცია უფრო პრინციპულ და იდეურ პოზიციად მიმაჩნდაო.[1]) ამასვე ამბობს გ. ლასხიშვილი.

ჩვენის აზრით, ივ. მაჩაბელი არსებითად ისეთსავე უტოპიურ ნიადაგზე იდგა, როგორადაც დიმ. ყიფიანი. იგიც ბანკს უფრო საქველმოქმედო დაწესებულებად სახავდა თავად-აზნაურობის გადასარჩენად, ვიდრე საფინანსო დაწესებულებად. ამიტომ ილია ჭავჭავაძის პოზიცია არსებითად მისაზე უფრო პროგრესული იყო ამ ეპოქისთვის და ბანკის ინტერესებსაც უფრო შეეფერებოდა. ი. მაჩაბელი საბოლოოდ დამარცხდა 1896 წელს.

უნდა ითქვას, რომ „ბანკოვიადის" დროს დიდი ენერგია იხარჯებოდა ორივე მხრივ. მაშინდელ საბანკო კრებებს აუარებელი გარეშე ხალხი ესწრებოდა, იყო პარტიობა, კენჭობია და სხვა. ხალხს კიდევ ის უფრო იზიდავდა, რომ როგორც ილია, ისე ვანო მაჩაბელი შესანიშნავი ორატორები იყვნენ. მათი პაექრობა ფრიად საინტერესო იყო და, როგორც მაშინ ამბობდნენ, ეს კრებები გარეგნად იმდროინდელ „პარლამენტს" წარმოადგენდა.

საერთოდ კი ტფილისში გადმოსვლამ, ბანკში სამსახურმა ილიას უფრო მეტი საშუალება მისცა სხვა საზოგადოებრივსა და სალიტერატურო საქმეებში მონაწილეობა მიეღო. მაგრამ მაინც სამწუხაროა, რომ ილია ჭავჭავაძის ჭკუა, ცოდნა-გამოცდილება, მჭევრმეტყველება, მხნეობა იმნაირ შედარებით პატარა საქმეში დაიქსაქსა და შთაინთქა როგორიც ბანკია. დრო იყო ისეთი, რომ ილია ჭავჭავაძისთანა ადამიანი იძულებული ხდებოდა ამ წვრილმანებისათვის შეელივნა თავისი ბუმბერაზული ძალღონე.

---

[1]) Характ. и воспоминания ნ. III.

ილია საზოგადო მოღვაწე. როგორი იყო 70-იანი წლების საქართველო. წერა-კითხვის საზოგადოება. დრამატიული საზოგადოება. გალაშქრება კატკოვის წინააღმდეგ. ილია მოითხოვს ერობისა და ხალხის მსაჯულთა სასამართლოს. გალაშქრება იანოვსკის წინააღმდეგ, „დედების საქმე". ებრაელთა საკითხი. ილია — ცენტრი მაშინდელი ქართველი საზოგადოებისა.

ილია ჭავჭავაძეს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა ქართველ საზოგადოებაში თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამიტომ საკვირველი არაა, რომ გარდა სალიტერატურო საქმიანობისა და ბანკისა, მას უხდებოდა უახლოესი მონაწილეობა მიეღო ყველა ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულების მუშაობაში, ან თვითონ იგი იყო მათი ინიციატორი და დამფუძნებელი.

ასეთი დაწესებულებანი კი უკვე ნელნელა ჩნდებოდა ბატონყმობის უღლისაგან განთავისუფლებულ საქართველოში. ეს განთავისუფლება, როგორც ცნობილია, არ იყო ისეთი, როგორიც გლეხებისა და მაშინდელი მოწინავე პირებისთვის იყო სასურველი.

მაგრამ განთავისუფლებას პიროვნული დამოკიდებულებისაგან ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ გლეხობა ნაწილობრივ ახერხებდა მამულის გამოსყიდვას და დამოუკიდებელი მეურნეობის მოწყობას. რადგან მიწა არ ჰყოფნიდა, იგი იძულებული იყო იჯარით აეღო მიწები ბატონებისაგან, საამისოდ მას ფული სჭირდებოდა. და აი, გლეხი თავის სოფლის გარეშე ეძებს სამუშაოს, რათა დამოუკიდებელი მეურნეობის მოწყობა შესძლოს. სოფლიდან ქალაქად ლტოლვა თანდათან ძლიერდება და ხელს უწყობს გლეხობის გათვითცნობიერებას. იგი ნელნელა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის. როგორც წოდება, თავად-აზნაურობა, რომელსაც ჩვენი ერის მესაჭედ მიაჩნია თავი, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიექანება სრული ეკონომიური და საზოგადოებრივი გაკოტრებისაკენ.

სწორედ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, 70-იან წლებში გრძნობს საქართველო ერთ მთლიან ერად თავს და სამოციანი წლების მოღვაწენიც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ამ მთლიანობის შეგნების გამაღვივებელნი არიან. ამ ფაქტს შესანიშნავად ახასიათებს დიდი **სტალინი** 1913 წელს დაწერილ წერილში — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი". ეხება რა საქართველოს, ამხანაგი სტალინი ამბობს: „რეფორმების წინადროინდელი ქართველები ცხოვრობდნენ ერთ ტერიტორიაზე და ლაპარაკობდნენ ერთ

ენას; მიუხედავად ამისა, ისინი, მკაცრად თუ განვსაზღვრავთ, არ შეადგენდნენ ერთ ნაციას... სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ეკონომიური დაქსასულობის გამო. საქართველო, როგორც ნაცია, მოგვევლინა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყმობის გადავარდნამ და ამ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზათა და მიმოსვლის საშუალებათა განვითარებამ და კაპიტალიზმის აღმოცენებამ — შრომის დანაწილება დაამყარეს საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყიეს სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ,ისინი ერთ მთლიან ერთეულად შეჰკრეს." [1])

ყველაფერ ამას მოჰყვა მთელ რიგ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა დაარსება, რომლებშიაც ი. ჭავჭავაძე მუდამ მხურვალედ მონაწილეობდა.

უპირველესად ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დაარსებული 1879 წლის 31 მარტს. მეფის რეჟიმის შავ-ბნელ ხანაში ამ საზოგადოებამ უდიდესი როლი ითამაშა, როგორც ქართული სკოლების მესვეურმა და შემდგომ როგორც ქართული წიგნის გამომცემელმა. მისი სკოლები ერთადერთი იყო, სადაც ბავშვები დაწყებითს ცოდნას დედაენაზე ღებულობდნენ. მას ჰქონდა აგრეთვე სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. მარტო 1905 წლამდე მან გამოსცა 150 წიგნზე მეტი, დაახლოებით ნახევარმილიონი ტირაჟით. მაშინდელ მასშტაბს თუ მივიღებთ მხედველობაში, ეს დიდი ციფრია, რადგან მაშინ წელიწადში სულ ასი წიგნი თუ გამოვიდოდა (ისიც მხოლოდ 1900 წლების შემდეგ!) ესევე საზოგადოება იყო თითქმის ერთადერთი ინიციატორი და შემსრულებელი ყველა კულტურული საქმისა. ისეთისაც კი, როგორიც იყო, მაგალითად, ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება. თუ რაოდენ დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, ვთქვათ, ამ უკანასკნელს (ბარათაშვილის გადმოსვენებას), ამას ნათლად მოწმობს ჟანდარმთა სამმართველოს მაშინდელი მოხსენება პოლიციის დეპარტამენტისადმი (1894 წ.). პოეტის ნეშტისთვის ხალხის პატივისცემა ჟანდარმებს რუსეთისაგან ჩამოშორების, სეპარატისტულ მისწრაფებად მიაჩნიათ. „კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. სწერს ჟანდარმთა სამმართველო, და არამც თუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს წასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოყვანათ თავისი პა-

[1]) И. Сталин. Марксизм и нац.-колон. вопрос. 1934 წ. გვ. 5—6.

ტარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუ-
ბოს, როგორც წმინდანის ნეშტს". და ყველაფერი ეს მოხდა წერა-
კითხვის საზოგადოების თაოსნობითა და შემწეობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება ქართველ-
გამომცემელი და გამავრცელებელი იყო და ჰქონდა საამისო
კუთარი მაღაზიები. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იგი
წარმოადგენდა ერთგვარ სახელგამს თვითმპყრობელობის
უღელში გაბმული ქართველი ხალხისათვის. და აი, ამ საზოგადოე-
ბის გამგეობის თავმჯდომარედ იყო ილია ჭავჭავაძე 1886 წლიდან
სიკვდილამდე და უმისოდ იქ არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი
არ გადაწყვეტილა.

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

როდესაც თავად-აზნაურობაში უკმაყოფილების ხმა გაისმა, რა-
ტომ უნდა ეხმარებოდეს ფულით ჩვენი ბანკი წ.-კ. საზოგადოებას,
რომელიც გლეხების შვილებს ზრდის თავის სკოლებშიო, ილია
ჭავჭავაძემ სასტიკად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. „ჩვენი უბედუ-
რება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ
ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, ძმად
და შვილად არ მიგვაჩნია. ზემოხსენებულ
საზოგადოებას სახეში აქვს მთელი ქარ თ-
ველობა (ხაზი ჩვენია. ქ. რ.), თავად-აზნაურობა კი გამოსულა და
იძახის, მეო და არა სხვაო". [1])

თვითმპყრობელობის პირობებში თეატრს ჰქონდა არა მარტო
კულტურული გასართობის, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური მნიშ-
ვნელობაც. ტყუილად როდი ამბობდა ილია: „ჩვენში დიდებისთვის
ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარე-
ბისთვის სკოლასო". ბევრი პიესა აქ „უფრო კარგად გვიქადაგებს
ადამიანთა თანასწორობას, ვიდრე განგებ ამ აზრის განსამარტებ-
ლად შეთხზული ფრაზებიო". [2]).

---

[1]) ტ. VII, გვ. 294.
[2]) ტ. VII, გვ. 311.

გარდა ამისა, დევნილი ქართული ენა თეატრში ჰპოვებდა თავშესაფარს და იქიდან ხშირად მოისმოდა ეროვნულ-რევოლუციური შეგნების გამაღვივებელი ხმა. როდესაც 1882 წელს პირველად დასდგეს დავ. ერისთავის „სამშობლო“ და მესამე აქტში [illegible] ალდა საქართველოს დროშა, ყველა მაყურებელი ფეხზე [illegible] და თეატრის დარბაზში გაისმა ხმამაღალი ქვითინი. ეს დროშები რეაქციულმა გაზეთებმა „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“ მაშინ საცინლად აიგდო — ქართველებს ურჩევნიათ იგინი ცირკს მიჰყიდონ, რადგან ბევრი ხარჯი მოუვიდათო. მთელი ქართველობა აღშფოთებული იყო. ილია ჭავჭავაძე გაბედულად გამოესარჩლა როგორც ქართულ თეატრს, ისე ქართულ დროშას (იხ. „კატკოვის პასუხად“) და მედგრად დაჰგმო საზოგადოების შეურაცხმყოფელნი.

საერთოდ ილიას ყოველთვის ძალიან ეინტერესებოდა თეატრის და დრამატურგიის საკითხები. თუმცა სპეციალურად სასცენო პიესა არ დაუწერია, მაგრამ ხშირად დგამდნენ მის „დედასა და შვილს“, „გლახა ჭრიაშვილს“. 80-იან წლებში, როგორც პოეტმა ი. გრიშაშვილმა აღმოაჩინა, ილიას ნატო გაბუნიას საბენეფისოდ გადაუკეთებია ერთი ეპიზოდი „კაცია-ადამიანიდან“ (ლუარსაბის დაქორწინება) „მაჭანკლის“ სათაურით. ზოგჯერ თვითონ ილიაც გამოდიოდა სცენაზე, როგორც საკუთარი და სხვის ნაწარმოებთა დეკლამატორი. საყურადღებოა ერთი ასეთი გამოსვლა საქველმოქმედო სალიტერატურო საღამოზე 1875 წ. ტფილისში. ამ საღამოში მონაწილეობდნენ: დიმ. ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და რაფ. ერისთავი. ილიას აქ წაუკითხავს, საკუთარ ნაწარმოებთა გარდა, გრიგ. ორბელიანის ცნობილი ლექსი „ონიკოვის დარდები“.

როდესაც 1879 წ. მუდმივი ქართული დასი, ხოლო 1880 წ. ქართული დრამატული საზოგადოება დაარსდა, ილია რამდენიმეჯერ იყო მისი გამგეობის თავმჯდომარედ. ყოველთვის ეინტერესებოდა რა თეატრის ბედი და დრამატურგია, ილიას არა ერთი ფრიად საყურადღებო შენიშვნა აქვს გამოქვეყნებული როგორც პირველ, ისე მეორეზე.

ილია ჭავჭავაძე ფრიად ენერგიულად იცავდა აგრეთვე ჩვენში იმ რეფორმათა განხორციელების საჭიროებას, რომლებიც თვითმპყრობელობამ საქართველოს დააკლო. ეს იყო, ერთი მხრივ, ერობა, მეორე მხრივ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ი. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის მეთაურობით თავიდანვე ენერგიულად იბრძოდა ამ ორი რეფორმისათვის, რომ-

ლებიც შიდარუსეთში ეგრეთწოდებული „დიდი რეფორმების“ ეპოქაში განხორციელდა.

70 იანი წლებიდან მოკოლებული ხშირად იმართებოდა ...ბები, კრებები, მთავრობა ნიშნავდა კომისიებს ვითომდა „გამოსაკვლევად“, ხამდვილად კი მის დასაბრკოლებლად. მთავრობის წარმომადგენელნი აცხადებდნენ, რომ ქართველი ხალხი არ არის მომზადებული ერობისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის. ილია ჭავჭავაძე, და მთელი მაშინდელი მოწინავე საზოგადოება, რასაკვირველია, ამტკიცებდნენ საწინააღმდეგოს, მაგრამ ამაოდ.

ილიას საქმარისად არ მიაჩნდა მარტო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება. აუცილებლად საჭიროა იგი უსათუოდ ადგილობრივ ენაზე, ქართულად სწარმოებდესო, სწერდა ილია. მაგრამ არა თუ ილია ვერ მოესწრო ხსენებულ რეფორმებს, არამედ ცარიზმი ისე დაამხო რევოლუციამ, რომ ჩვენს ქვეყანას არც ერობა ჰქონდა, არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ილია ჭავჭავაძე მედგრად და გამუდმებით იბრძოდა აგრეთვე ქართული ენის უფლებათათვის ჩვენს სკოლებში. ამ ნიადაგზე მას ხშირი შეტაკება ჰქონდა მთავრობის უმაღლეს წარმომადგენლებთან, როგორც წ. კ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს. მთავრობის მოხელეები ხშირად ლამობდნენ ქართული ენა შეევიწროებინათ ხსენებული საზოგადოების სკოლებშიაც. იყო ხოლმე შემთხვევები, რომ გამგეობის ზოგი წევრნი თანახმანი იყვნენ ერთგვარი კომპრომისისა, საზოგადოებას არა ევნოს რაო. ილია ყოველთვის მედგრად ილაშქრებდა ამის წინააღმდეგ და თავისი გაჰქონდა.

მაგრამ იგი ქართული ენის უფლებებს მარტო წ.-კ. საზოგადოების სკოლებისათვის როდი იცავდა. თავისი ბასრი პუბლიცისტური კალამი ილიას ყოველთვის მიმართული ჰქონდა ყველა იმ შემთხვევის გამომჟღავნებისაკენ, როდესაც ქართული ენა იდევნებოდა და ფეხით ითელებოდა. მრავალთა შორის გავიხსენოთ ილიას შეტაკება კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკისთან, ცნობილ რეაქციონერ პობედონოსცევის მიერ წარმოგზავნილ უმაღლეს მოხელესთან. იანოვსკის განკარგულებით სწავლა პირველდაწყებით სკოლებში რუსულ ენაზე უნდა წარმოებულიყო, ხოლო ქართული სრულიად—გამოედევნა. მოკლე, მაგრამ დასაბუთებულ წერილში ილია ჭავჭავაძე პედაგოგიური ავტორიტეტების მოშველიებით და საღი მოსაზრებებით არღვევს იანოვსკის იმ დებულებებს, რომლებიც მას ...ამოუთქვამს მთავრობის გაზეთ „კავკაზში“ (1881 წ.). ილიას მოჰყვა

ცნობილი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის წერილები იანოვსკის წინააღმდეგ, შემდგომ დიმ. ყიფიანის გალაშქრება. თუმცა მთავრობამ თავისი გაიტანა, მაგრამ ამ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად და დასაბამად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია აგრეთვე. ილიას წერილები ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ („დედათა საქმე“ — 1888 წ.), აგრეთვე ანტისემიტიზმის წინააღმდეგ („ებრაელთა საკითხზე“, ტ. VIII, გვ. 307). არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხი, რომელზედაც ილიას თავისი სიტყვა არ ეთქვას.

საერთოდ ილია ჭავჭავაძე ჩვენი ცხოვრების ყოველ მოვლენას გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს და არ იზარებდა არც ცალკე საკითხთა შესწავლას, არც მათზე ვრცლად ლაპარაკს, რაგინდ გარეგნად მოსაწყენი ყოფილიყო. მოწინააღმდეგისადმი ილია დაუნდობელი იყო. გაიხსენეთ მისი „აი ისტორია“, მიმართული რუსულ ჟურნალ „Северный Вестник“-ში დაბეჭდილ ი. ჯაბადარის (ნარ-დონის) წერილის წინააღმდეგ. ილიამ მარტო ამ წერილისთვის გადაიკითხა დიდძალი ლიტერატურა (1889 წ.) და მოგვევლინა, გარდა უებარი პოლემისტისა, როგორც მსოფლიო და საქართველოს ისტორიის ღრმად მცოდნე. გავიხსენოთ აგრეთვე მისი „ქვათა-ღაღადი“, მიმართული სომხის იმ „მწიგნობართა“ წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ ქართველობის „სახელის გატეხას“. რა შესანიშნავად აქვს ილია ჭავჭავაძეს განმარტებული ის საუბედურო გავლენა, რომელიც მოჰყვა საქართველოს სამეფოსათვის სამხრეთით სომხეთის დაცემას. ამ მწიგნობრებზე კი ამბობს:“ ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა მთელ ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ — მეცნიერთ ეკუთვნისო“.

ილია მონაწილეობდა ტფილისის ქართული გიმნაზიის საქმიანობაშიაც, იყო მისი სასკოლო კომიტეტის წევრი მრავალი ხნის განმავლობაში, თვალყურს ადევნებდა აგრეთვე წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლას, რომლის გახსნაზედაც წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა (1883 წ.).

ბანკის გარდა, ილია მონაწილეობას იღებდა სხვა სამეურნეო დაწესებულებებშიაც. 1877 წლიდან იყო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და, როგორც თვითონ აღნიშნავს „ავტობიოგრაფიაში“, „იღებდა მონაწილეობას ხან მიწვევით, ხან არჩევით თითქმის ყოველ კომისიაში, რომელიც არკვევდა ჩვენი მეურნეობისა და სხვა საჭიროებათა საგნებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი.

1864

ოკტომბერი.

წელიწადი მეოთხე.

წოდება თხზულებათა:

I — განცხადება, 1865 წლის ცისკრის გამოცემისათვს რედ.ბ.
II — მასკარადი (ლერმანტოვისგან. დრამა.—) დასასრული. გრ. წანაძისაგან.
III — 1, პასუხი ბ. ბ. ჯ. (ლექსი) თ. ა.ბ. წერეთელისა
2, ეედრება. (ლექსი.) მისივე
IV — მეფქალაქე დაბალ ლალოს, ტარტერებზე (მეფეებზე) ხუბარი გრ. წანაძისაგან.
V — ქრისტეფორე კოლუმბი.—ბ. დიდებულიძისა.
— სხვა და სხვა ანბავი (ახალი მეორე გვერდზედ)

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

ილია ჭავჭავაძე თავისი დროის ქართველი საზოგადოების ბუ-
ნებრივი ცენტრი იყო. ჩამოვიდოდა ვინმე უცხოელი საქართველო-
და ქართველი ხალხის გასაცნობად და უეჭველად ილია ჭავჭავა-
ძეს უნდა გაეწია მისთვის როგორც მასპინძლობა, ისე ხელძღვა-
ნელობა. მისი მეოხებით არტურ ლეისტმა (შემდგომ ი. ჭავჭავაძის
დიდმა მეგობარმა) ისწავლა ქართული და გერმანელებს შეძლები-
სამებრ გააცნო საქართველო და ჩვენი მწერლობა. ილიას დახმა-
რებით ოლ. და მარ. უოდროპებმა სთარგმნეს ინგლისურად „ვეფხის-
ტყაოსანი", „განდეგილი" და სხვ.

ილიას ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ მას ხშირად მიმარ-
თავდნენ ცალკე პირები, უფრო ხშირად წერილობით თავისი კერ-
ძო, პიროვნული ხასიათის კითხვებით და რჩევა-დარიგების თხოვ-
ნით. მისი არქივი სავსეა ათასგვარი ასეთი მომართვითა და თხოვნით
და, ეტყობა, ილია ყველაფერ ამას ათვალიერებდა და ყველას ჯე-
როვან პასუხს აძლევდა.

XII

როდის დაიწყო ილიამ წერა? ილიას ლიტერატურული მუშაობა სტუდენტობისას. „ივერია". ილიას წერილი აკაკისთან. „ივერიის დაკეტვა მთავრობის მიერ. რა სთქვა „კვალმა" „ივერიის" განახლების გამო. ილიას ჟურნალისტობა და მისი ენა. როგორ დასწერა „ოთარაანი ქვრივი". ილია უცხო ენებზე. ილიას ფსევდონიმები.

როდის დაიწყო ილიამ წერა? როგორც მისი გამზრდელი სალ.
ლოლაძე და კ. აფხაზი მოწმობენ, ილიას ბავშვობაშივე ჰყვარებია
ლექსები და თითონაც გამოუთქვამს, თუ უწერია. კერძოდ კ. აფხაზი
გადმოგვცემს ერთ შემთხვევას, რომელიც იმდენად საყურადღებოა,
რომ მთლად მოვიყვანთ მის ნაამბობს.

„ილია იქნებოდა ესე 11 წლისა, ამბობს კ. აფხაზი. ჩვენს სო-
ფელში, კარდანახში ვიყავით (ორივენი გიმნაზიელები). კვირა დღე
იყო და ერთი ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამი-
თადი ჰქონდა. ჩვენც იქ წავედით. მთელ დღეს ვუცქეროდით გა-
ხურებულ მამითადს. საღამოთი შინისკენ დავბრუნდით და კარდა-
ნახამდე რომ ასე 7 ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირული წვიმა
დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნ-
დით ახლო მდებარე სოფელში ჩალაუბანში და ღამეც იქ გავათი-
ეთ. მაგრამ მთელ ღამეს არ მოგვითვლემია. ერთს გლეხკაცის სახლ-
ში ვიწექით და ღამე იმდენი მკბენარი (რწყილი) დაგვეხვია, რომ
გათენებისას გამოვვარდით გარეთ ლოგინებითურთ და ერთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლისა ფოთლები

1863

№ V. მაისი

ყაზბეგი პირველი

ტფილისი

გამოცემელ მწერალთაგან ტ. ილარიონ ენგოიანცის ხარჯითა

დიდ კაკლის ქვეშ გავშალეთ და ცოტა იქ გამოვიძინეთ. აი სწორედ აქ დაწერა ილიამ თავისი პირველი ლექსი „რწყილები“ (47 — 48 წ.). საუბედუროდ ეს ლექსი არ შენახულა, და არ ვიცი, რა უყო ილიამ. მახსოვს კი, რომ ამ ლექსში დიდი ოხუნჯობითა და ძალიან კომიკურად იყო აწერილი რწყილებთან ჩვენი ბრძოლა და ლექსმა ბევრი გვაცინა“. [1]).

ილია 50-იან წლებში უკვე სისტემატურად სწერდა ორიგინალურ ლექსებს, აგრეთვე სთარგმნიდა. 1850 წლებში დაწერილ ლექსებს მიეკუთვნება დაახლოვებით ცხრა ლექსი. რუსეთს ყოფნისას (1857 — 61 წ.) მან დასწერა 86 ნაწარმოები, მათ შორის „აჩრდილი“, „ქართლის დედა“, „კაკო ყაჩაღი“, 62 ლექსი და გადმოთარგმნა 20. საქართველოში დაბრუნებიდან 1861-დან 1894 წლამდე (1894 წ. შემდეგ მხატვრული თითქმის არა დაუწერია რა!) მოგვცა 22 ნაწარმოები, რომლებშიაც შედის: „დიმიტრი თავდადებული“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, 18 ლექსი, 2 თარგმნილი ლექსი.

ილიას პირველი ლექსი დაიბეჭდა 1857 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (იანვარს) და მერეც, ვიდრე ხსენებულ ჟურნალთან შეტაკება მოუვიდოდა, თავის ნაწარმოებთ იქ ბეჭდავდა. შემდეგ მისი ნაწარმოებნი იბეჭდებოდა „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ.), გაზეთ „დროებაში“ (1886 — 1885) გ. წერეთლისა და და ნ. ნიკოლაძის ჟურნალ „კრებულში“ (1871 — 73), მისი რედაქტორობით გამოცემ ჯერ ჟურნალ, შემდეგ კი გაზეთ „ივერიაში“, ჟურნალ „მოამბეში“ (1893 — 1905).

„ივერია“ გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით 1877 წლიდან თავდაპირველად როგორც ყოველთვიური ჟურნალი. მან იარსება თითქმის 33 წელიწადს. 1880 წელს ის უერთდება გაზეთ „დროებას“, გამოდის ი. ჭავჭავაძისა და ს. მესხის რედაქტორობით. წელიწადში ოთხჯერ, ხოლო 1882 წლიდან ილიას და ი. მაჩაბლის რედაქტორობით — თვეში ერთხელ. 1886 წლიდან „ივერია“ გამოდიოდა ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით ყოველდღიურ გაზეთად 1902 წლამდე, როდესაც მისი რედაქტორობა გადავიდა ალ. სარაჯიშვილის ხელში. ამ გაზეთმა სხვადასხვა პირთა ხელში იარსება 1909 წლამდე. იბეჭდებოდა 1900 წლამდე დაახლოვებით 1500 ცალი რაც მაშინ მცირე ტირაჟად არ ითვლებოდა.

საყურადღებოა ჟურნალ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების გარემოება. 1885 წ. გაზეთი „დროება“, რომელსაც 1883

---

[1]) „ლიტ. მემკვ“. გვ. 563.

წლიდან (ს. მესხის შემდეგ) ივ. მაჩაბელი რედაქტორობდა. „მაგრამ მიმართულებისთვის“ მთავრობამ დაჰკეტა; ქართველი მკითხველი უგაზეთოდ ვერ დარჩებოდა და შეუდგნენ ახალი გაზეთის გამოცემისთვის მზადებას. ილიამ აიღო სათანადო ნებართვა და დაიწყო თანამშრომელთა შეკრება. მაგრამ საჭირო იყო გაზეთ „დროების“ საქმეების ლიკვიდაცია. აი, როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს „დროების“ მაშინდელი, თანამშრომელი, ს. მესხის ძმა — დავით (დათიკო) მესხი: „როცა „დროება“ აკრძალეს და ვანოს დიდი ვალები თავს დაატყდა, ილიამ ტფილისში ქართველ მოღვაწეთა მეთაურებს თავი მოუყარა და გამოუცხადა, რომ გაზეთის ვალებით ერთი ადამიანი არ უნდა დაიჩაგროს... საზოგადო საქმისთვის მომხდარი ზარალი საზოგადოებამვე უნდა აანაზღაუროსო. იმხანად მე იმერეთისკენ მივდიოდი და ილიამ დამავალა — ქუთაისში მენახა კირ. ლორთქიფანიძე... რომ იმერლებსაც გაეღოთ წვლილი. კირილემ ქვა აისროლა, თავი შეუშვირა: ქუთაისში, იმერეთში ვის რა გააჩნია, ფულიანები იქ არიან და გადიხადონო. ილიას მივწერე ეს ამბავი და პასუხად ერთობ გულნატკენი წერილი მივიღე“ [1]).

ბოლოს შეადგინეს მომავალი გაზეთის რედაქციაც, მიმართეს თანამშრომლობისთვის სხვადასხვა გამოჩენილ პირთა, სხვათა შორის, ნიკო ნიკოლაძეს, აკაკი წერეთელს. აკაკისა და ილიას ურთიერთობისათვის ფრიად დამახასიათებელია ის წერილი, რომელიც ილიამ გაუგზავნა აკაკის და ამიტომ ჩვენ მთლად მოვიყვანთ ამ საყურადღებო დოკუმენტს.

„5 იანვარი. 1886 წ.

ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულისშვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსაძე ავგუნებიან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისათვის თავ-განწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი, სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალ წლის წინა ღამეს მო-

---

[1]) დ. მ ე ს ხ ი. მოგონებანი. „მნათობი“, 1935 წ. № 1, გვ. 156.

გიწვიე და პასუხად მომიტანეს, — ქალაქში არ არისო. დღეს ეს ვიტყე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდეც.

გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო, და როგორ გთხოვო, რაც ბანი ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან შორს უფლებიანობას ეკარებოდი: ეგ ჩემთვის თუმცა დახაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქრობდი, — იქნება ჩემი მიმართულება არ მოსწონს-მეთქი. ეს ისეთი სამართლიანი საბუთია, რომ ვერა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერ დასდებს, წინ ვერ აღუდგება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს, რაკი ეს ვიგულისხმე, მეც „კისრად ვიღე და დავდუმდი“.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენ წინაშე, რადგანაც ჩვენს ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნება, რაც ძველს ჟურნალსა ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ, გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი; გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმათ აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმა გავუძნელო და არასიცა-მეთქი.

მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ ვუმატებ, რო უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება, ეხლა შენ იცი. მაინც და მაინც გთხოვთ დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები.

შენის კეთილის მსურველი **ილია ჭავჭავაძე**“. [1])

აკაკი წერეთელი, თუმცა ხარვეზებით, მაგრამ თანამშრომლობდა ილიას გაზეთში და როგორც გ. ყიფშიძე მოწმობს, ჰონორარი ფელეტონებრივ ეძლეოდა.

რედაქციის მდივნად მიიწვიეს სწორედ ეს ჩინებული მოქართულე და ჟურნალ „იმედის“ ყოფილი თანამშრომელი — გრიგოლ (გიგა) ყიფშიძე.

ივერიის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1886 წლის პირველ იანვარს. ამ დროის გამოთქმული უნდა იყოს შემდეგი ექსპრომტი:

ამალამა იშვა ბავშვი,
ილიამ ჰრქვა „ივერია“,
მეტად დიდი გამოვიდა,
ხონელიც ვერ მოერია.

„ივერია“ იყო კარგა ხნის განმავლობაში ერთადერთი პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანო, რომლის ირგვლივ თავს იყრიდა

---

[1]) გაზ. „სიტყვა და საქმე“, № 9, 1934 წ. ქუთაისი.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. მასში ხშირად მონაწილეობ-დნენ რედაქტორზე ბევრად უფრო მემარცხენეებიც (გ. ლასხიშვილი, ნ. ჟორდანია, მ. ცხაკაია). მასშივე დაიბეჭდა ე. ნინოშვილის საუკეთესო მოთხრობები: „უცნაური სენი," „პალიასტომის ტბა" „არშიყნი" (სამივე 1891 წ.) „სიმონა", „ქრისტინე". საერთოდ, მთელი თავისი არსებობის განმავლობაში „ივერია" წარმოადგენდა ოპოზიციის ორგანოს და ასეთად სთვლიდა მას ხელისუფლებაც (კავკასიის საცენზურო კომიტეტის 1892 წ. მოხსენება ადგილობრივი გაზეთების შესახებ). იგი, მართლაც ერთგულ დარაჯად ედგა ქართული ენას, სკოლას და სხვა უფლებებს და ამათრახებდა ყველას, ვინც ხელს უშლიდა „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენას".

ცენზურა სასტიკად ეპყრობოდა „ივერიას". ამას მოწმობს ცნობები, თუ რამდენი სტატია აუკრძალავთ დასაბეჭდად. კავკ. საცენზურო კომიტეტის არქივში ამის შესახებ მრავალი ცნობაა, მოვიყვანთ ზოგიერთს.

1892 წ. მთლად აკრძალულია	16 სტატია
1894	71 „
1895	33 „

ამას უნდა დავუმატოთ, რომ 1896 წ. მთავრობის განკარგულებით „ივერია" სულ აკრძალეს. ი. ჭავჭავაძემ დიდი მეცადინეობით მხოლოდ ათი თვის შემდეგ მოახერხა მისი განახლება (1897 წლის 17 იანვარს). გაზეთის დაკეტვის საბაბად გამოიყენეს ი. ეკალაძის მოთხრობა, რომელშიაც აწერილი იყო ცნობილი რექტორის ჩუდეცკის დროის სემინარიის უმსგავსი რეჟიმი, სემინარიელთა მოძრაობა და სხვა. უმაღლეს სასულიერო წრეებში ამას დიდი აღშფოთება გამოეწვია.[1])

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ გ. წერეთლის „კვალი" „ივერიის" განახლებას დიდი სიხარულით შეხვდა. „მართალია ჩვენ ერთმანეთს ვკილავთ, მაგრამ ეს მოგვდის გულითადი გრძნობით, სიმართლის აღსადგენად... ვეგებებით სიხარულით „ივერიის" განახლებას და იცოდეს, რომ მისი მწუხარება და სიხარული არის ჩვენი და ჩვენი ხალხის მწუხარება და სიხარული",[2]) სწერდა ჟურნალი.

თვითონ ილია არ იყო ჟურნალისტი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. მას უფრო ფართო ამპლიტუდა, პუბლიცისტური გაქანება,

---

[1]) გ. ლასხიშვილი. მემუარები. გვ. 106—7.

[2]) „კვალი", 1897 წ. № 4, გვ. 95.

ჰქონდა, ვიდრე ყოველდღიური, ხშირად ძალიან წვრილმანი, ან სენსაციური ამბებისადმი ინტერესი. ილია გაზეთისთვის ბევრს სწერდა. მის კალამს ეკუთვნის „ივერიაში“ უამრავი მოწინავე წერილი, მიმოხილვები, ხან ხელმოწერით, ხან უმისოდ. მრავალი მოწმობა გვაქვს, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობით ამუშავებდა იგი საგაზეთო მასალას, რაოდენ შრომას სწევდა იმ თავის წერილებზე, რომლებიც ქართული პუბლიცისტური ენის შედევრს წარმოადგენენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთი, ილია ჭავჭავაძეს, გარდა ზარალისა, მატერიალურად სხვას არაფერს აძლევდა და როგორც გ. ლასხიშვილი მოწმობს, ილია თავის ჯიბიდან ადებდა გაზეთს ფულს [1]).

1883 წ. ილიამ დასწერა ერთერთი თავისი შესანიშნავი ნაწარმოები—„განდეგილი“, ხოლო 1887 წელს — უკანასკნელი თავისი მნიშვნელოვანი მოთხრობა — „ოთარაანთ ქვრივი“, ეს ქანდაკებისებური ქმნილება, რომლის ტოლიც მე-19 საუკუნის ლიტერატურაში არ მოიპოვება. საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ამაზე არტ. ლეისტი. „ოთარაანთ ქვრივი“ ილიას დაუწერია „ხუთ დღისა და ღამის განმავლობაში“. და ეს მაშინ, როდესაც ილია უკვე 50 წლისა იყო! საინტერესოა აგრეთვე, თუ როგორ აფასებდა ამ თავის შედევრს თვითონ ილია: „პირველ მოთხრობებში მე ვიბრძოდი გლეხების ნივთიერი თავისუფლებისთვის. ამ მოთხრობაში კი მე მინდა გავლენა მოვახდინო მათს ზნეობრივ თავისუფლებაზეო“,—უთქვამს მას არტ. ლეისტისთვის.

გარდა ორიგინალური ნაწარმოებისა, ილია ჭავჭავაძე ბლომადაც სთარგმნიდა. ახალგაზრდობაში მან სთარგმნა პუშკინი, ლერმონტოვი, ჰეინე, გიოტე, ა. შენიე, ვალტერ-სკოტი. ტურგენევის ვარდაცვალების წელს (1883 წ.) მან სთარგმნა მისი „ლექსნი პროზად“, ილიამვე დაბეჭდა თავის ჟურნალ „ივერიაში“ ებერსის ცნობილი რომანი „რამეთუ კაცი ვარ“ (1878 წ.), თავისივე ნათარგმნი. მანვე გადმოთარგმნა დიდტანიანი ფრანგული რომანი ბუვიესი „იზა“ და მრავალი წვრილი მოთხრობა—ესკიზები, რომელთა ერთი ნაწილი მოთავსებულია 1892 წ. ილიას თხზულებათა მესამე ტომში.

ილიას ნაწარმოებნიც ითარგმნებოდა ძველად სხვადასხვა ენაზე. მისი ლექსები, მაგალითად, სთარგმნა ტხორჟევსკიმ, აგრეთვე იბეჭდებოდა, როგორც ილია მოწმობს „ავტობიოგრაფიაში“, თარგმანები დიდ ჟურნალებში: „Русская Мысль“, „Живописное Обозрение“, „Вестник Европы“.

---

[1]) „მემუარები“, გვ. 105 და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივერია

1883

№ XII, დეკემბერი

თბილისი.
ძმათამეკ ხელაძის სტამბა.
1883

„განდეგილი“ ინგლისურად სთარგმნა მარჯორი უორდროუმ. შემდგომ ფრანგულად ელ. ორბელიანმა; გერმანული თარგმანები შესრულებულია ილიას მეგობრის არტ. ლეისტისაგან და [illegible] 1886 წ. ლეიფციგს გამოცემულ კრებულში „[illegible]“. ეს კრებული მეორედ გამოვიდა დრეზდენში 1900 წელს. მე-20 საუკუნეში „Универсальная библиотека“-ს ცნობილმა გამომცემლობამ გამოუშვა „გლახის ნაამბობის“ რუსული თარგმანი (გ. და ვ. ჯაფარიძეებისა) პროფ. ალ. ხაანაშვილის წინასიტყვაობით და სხვა მრავალი. მაგრამ, სრული და რიგიანი კრებული ჩვენი პოეტის ნაწარმოებებისა რუსულად მხოლოდ ახლა, საბჭოთა პირობებში გამოდის.

ქართულად ილიას თხზულებანი მრავალჯერ გამოცემულა, თუმცა არასრულად. 1891 — 92 წლებში ქართველთა გამომცემელმა ამხანაგობამ დაბეჭდა ილიას მხატვრული ნაწერები ოთხ ტომად, ხოლო 1914 წელს გამოვიდა მიხ. გედევანიშვილის ცნობილი გამოცემა. წ. კ. გამავრც. საზოგადოება ხშირად ბეჭდავდა სასკოლოდ ილიას ცალკე ნაწარმოებთ. 1925 წლიდან „ქართულმა წიგნმა“ გამოსცა მისი ნაწარმოებნი (პუბლიცისტურიც) ათ ტომად, მაგრამ დაუბეჭდავი კიდევ ბლომად დარჩა. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის საქმე ახლა უკვე საიმედო ხელშია და ჩვენ მივიღებთ 5 დიდ ტომად მის თხზულებათა სრულ კრებულს, როგორც მხატვრულს, ისე პუბლიცისტურს.

გარდა ზემოხსენებულისა, ილია ჭავჭავაძე ეწეოდა — სარედაქტორო-საგამომცემლო მუშაობასაც. „ავტობიოგრაფიაში“ იგი აღნიშნავს: „ვიღებდი მონაწილეობას „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის აღმდგენელ კომისიაში (გ. ქართველიშვილის 1888 წ. გამოცემისთვის. ქ. რ.), აგრეთვე შემდეგთა თხზულებათა რედაქტორობასა და გამოცემაში: „ლექსნი“ ვ. ორბელიანისა — ამ ლექსებს დართული აქვს ჩემი წინასიტყვაობა და ძველებური ქართული მოთხრობა „ვისრამიანი“.

ბარემ აქვე მოვიხსენიებთ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმებს, რომლებითაც იგი სწერდა სხვადასხვა დროს. ეს იყო: *** (სამი ვარსკვლავი), რომელსაც იგი აწერდა თავის პოეტურ ნაწარმოებს საკუთარ ჟურნალში; გარდა, ამისა, მისი ფსევდონიმებია — ლარიძე, ფირუზა, მ. ჯიმშერიძე, ზუმბერიძე და ახალ-მოსული.

ილია ჭავჭავაძე და უარმყოფელობა ჩვენში. „იმედის“ ჯგუფი. ილია და ტეტიათა მოტრფიალენი. ილიას გავლენა ფართო ფენებში. ილიას იუბილეს გადახდის განზრახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70-იანი წლებიდან ჩვენში თავს იჩენს მცირე ჯგუფი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობისა, რომელიც როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად რუსეთის რევოლუციურ ნაროდნიკებთან არის დაკავშირებული. თვითონ რუსეთში „სოციალ-რევოლუციური პარტიის“ მუშაობაში, რომელსაც მოჰყვა „ნაროდნაია ვოლიას“ დაარსება, ფრიად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველებიც (გიორგი ზდანოვიჩი, ივ. ჯაბადარი, ციციშვილი და სხვანი, რომელნიც გაასამართლეს ეგრეთწოდებული „50-ის პროცესით“). მიუხედავად ამისა, თვითონ საქართველოში ნაროდნიკები უფრო ერთეულებს წარმოადგენდნენ.

როგორც ს. მესხის კერძო წერილებიდან ჩანს, სამოციანი წლების მოღვაწენი ქართველ ნაროდნიკებს დაცინვით „კოსმოპოლიტებს“ უწოდებდნენ. ს. მესხი აღნიშნავს: ისინი „დროების“ პარტიას „აზნაურების პარტიას“ გვეძახიან. თქვენ აზნაურების მხარე გიჭირავთ და არა უბრალო ხალხისაო, ფეოდალები ხართო! არ გეცინება... რომ ამასაც კი გვწამებენ, რომ ამას აბრალებენ „დროებას“ და სხვა. [1])

უეჭველია, ნაროდნიკები ზემოხსენებული აზრისანი იყვნენ მთელი მესამოცე წლების მოღვაწეებზე და არა მარტო „დროებაზე“. მესამოციანნი პირველ რიგში აყენებდნენ საქართველოს ეროვნულ პრობლემას, რომლის გადაწყვეტისათვისაც ჰქადაგებდნენ ეროვნულ მთლიანობას. კლასთა ბრძოლა მათ საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლის ხელისშემშლელად მიაჩნდათ. ამ აზრს ბევრგან გამოსთქვამს ილია ჭავჭავაძე და ცხადია, რაკი ამ ნიადაგზე იდგა, იგი ვერ შეხვდებოდა თანაგრძნობით მათს იდეებსა და საქმიანობას. 1881 წლის მიმოხილვაში (ტ. VI, 117 — 135) ილია ეხება „მამათა და შვილთა“ ბრძოლას, რუსეთში აღჩენილ უარმყოფელობას. იგი აქებს ჩერნიშევსკის დროის „სოვრემენნიკს“, უწოდებს „სახელოვანს“ ჟურნალს, რომლის მიერ „ძველის უარყოფას დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება წინ მიუძღვოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო“. როდესაც თავი იჩინეს ტურგენევის ბაზაროვისთანა უარისმყოფელებმა, „სოვრემენნიკმა“, „თავის მოძ-

[1]) ჩემი წერილი „ს. მესხი“, „ლიტ. მემკვიდრეობა“. 458—66.

მედ არ მიიღო და ითაკილა“, „მიმზიდველმა, ლამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა პისარევმა კი ბაზაროვი გულში ჩაიკრა და თავისიანად მიიჩნიაო“. ჩვენ არ უნდა ავ-ყვეთ ამ განუკითხავ უარმყოფელობას. ჭეშმარიტი ლიტერატურული ისაა, რომ დავიცვათ „ჩვენი დაცემული ვინაობა“, ჩვენი „ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“ ამ ვინაობისა. ეს მიმართულებაა, რომელსაც ემსახურებოდნენ „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერიაო“.

აშკარა ლიტერატურული შეტაკება სამოციანი წლების მოღვაწეებსა და ხალხოსანთა ერთ ჯგუფს შორის მოხდა მაშინ, როდესაც გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი „იმედი“ (1881—83 წ. მიხ. გურგენიძის რედაქტორობით).

„იმედი“ იყო ქართველი რაზნოჩინცების, ანუ, როგორც აკაკი წერეთელმა დაცინვით უწოდა, „დიაკვნიშვილების“ ორგანო. მასში თანამშრომლობდნენ: სტ. ჭრელაშვილი, ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი), სოფრ. მგალობლიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, ლ. ასათიანი, ძველებიდან — ანტონ ფურცელაძე.

„იმედი“ ეკამათებოდა, ერთის მხრივ, „დროებას“. მეორე მხრივ, „ივერიას“ და მის რედაქტორ ილია ჭავჭავაძეს. მისი პოზიცია არ იყო სავსებით გარკვეული, თუმცა ორი ტენდენცია აშკარად ეტყობოდა: გლეხური დემოკრატიზმი, რომლის გამოც „იმედის“ ჯგუფს „ტეტიათა მოტრფიალენი“ შეერქვა და მეორე მხრივ — პოლიტიკურ და საგანმანათლებლო საკითხებთან ერთად ეკონომიური საკითხების წინწამოწევა.

ილია ჭავჭავაძე, ყოველთვის დიდი სიმპატიით ეპყრობოდა გლეხობას და თითქმის არც ერთი უარყოფითი ტიპი არ ჰყავს გლეხთაგან გამოხატული. მაგრამ იგი მაინც შორს იყო „ტეტიათა ტრფიალისაგან“. იგი მონატრული იყო ჩატეხილი ხიდის გამთელებისა და არჩილს ათქმევინა „ოთარაანთ ქვრივში“: „ჩვენ (ე. ი. თავად-აზნაურობა) დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი“... გიორგისთანა კაცური კაცი მხოლოდ მათ (გლეხების) თონეში ცხვებაო. მაგრამ ილიას არასოდეს არ დაუსახავს იდეალად ის ცხოვრება, რომელსაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰქმნის წვრილ მესაკუთრული სოფლის ცხოვრების იდიოტიზმი, თავისი წვრილმესაკუთრულივე ინტერესებით.

„მე გლეხკაცს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი, — ანგელოზია-მეთქი, ამბობს არჩილი. მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჭკუადამჯდარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახე-

ვარს... გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავისი გულითაც. ჩვენ კი უკეთესნი ვართ, ამ წმინდა და უმანკო სპეტაკ პერანგს ქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ?" — სჩანს ივანე არჩილი.

ხიდის გამთელება ილია ჭავჭავაძეს სჭიროდა ეროვნული ინტერესებისთვის, რომლის ოდნავ უგულებელყოფასაც არავის აპატიებდა.

ტეტიათა მოტრფიალეების, „იმედის" ჯგუფი მარტო ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა და მალეც დაიშალა. ამ ჟურნალის ისეთი თანამშრომელნი კი, როგორიც იყვნენ ნიკოლოზ ხიზანაშვილი და გრ. ყიფშიძე შემდგომ ილიას „ივერიას" შეეხიზნენ და მისი უახლოესი თანამშრომელნი იყვნენ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც. ილია ჭავჭავაძის გავლენა ქართველ საზოგადოებაში განუსაზღვრელი იყო, ამიტომ ყოველი ახალი საქმის დამწყებნი ცდილობდნენ ესარგებლნათ მისი ავტორიტეტით და რჩევა-დარიგებას თხოულობდნენ. ხოლო ისინი, ვინც ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდნენ მას, ცდილობდნენ სწორედ ამ მისი ავტორიტეტის შერყევას მკაცრი კრიტიკით. ამ უკანასკნელი ხასიათისა იყო, მაგალითად, დავ. კეზელის, ი. ხონელის, შ. დავითაშვილის ლაშქრობა ილიას წინააღმდეგ და სხვა. ბაგრამ ილიას ავტორიტეტი ჩვენში მაინც ურყევი რჩებოდა.

ილია ჭავჭავაძეს უდიდესი გავლენა და სიყვარული ჰქონდა, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დამდეგამდე, ჩვენი ხალხის ისეთ ფენებშიაც, რომელნიც ის-ის იყო გამოდიოდნენ ისტორიულ ასპარეზზე: ესენი იყვნენ მუშა-ხელოსნები. ჩვენ ვიცით, თუ რა მოწიწებით ეპყრობოდა ილია ჭავჭავაძეს, მაგალითად, მუშა-მგოსანი იოსებ დავითაშვილი, რომლის გასვენებაზედაც ილიამ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა. როდესაც იოსებ დავითაშვილმა ხელოსანთა არტელის წესდება შეადგინა, ეს წესდება, ილიასაც გადაუთვალიერებია და მოუწონებია. ასეთსავე ამბავს გადმოგვცემს გიორგი ლასხიშვილი.

„ციმბირიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, ამბობს ის, როდესაც ჩემთან მოვიდა მიხა ჩოდრიშვილი (შემდგომ მუშა-ბოლშევიკი და კომპარტიის წევრი. ქ. რ.) ...მაშინ იგი გატაცებული იყო ხელოსანთა არტელის თუ საზოგადოების დაარსების იდეით. წესდება შევადგინეთ და მე წერილებიც მოვათავსე ამ საქმის შესახებ „ივერიაში". მიხამ მითხრა, მოდი ერთი ილია ჭავჭავაძეს გავაცნოთ წესდება და ეს საქმეო. ზაფხულის თვეები იყო და ილია იმჟამად საგურამოში ცხოვრობდა. წავედით და იქ ვესტუმრეთ; წავუკითხეთ წესდება

ილიას და გავაცანით საქმე. ილია თანაგრძნობით მიეგება ხელოსანთა საზოგადოების დაარსების იდეას, მიუბრუნდა და უთხრა მიხას:

— მშვენიერი აზრია. დროა, კაცო, მოაშოროთ ჩარჩები მუშა-ხელოსანს და მომხმარებელსაც. მხოლოდ ერთი რამ არ [illegible] თქვენს წესდებაში: იქ სულ ხელოსანთა უფლებებზეა ლაპარაკი, მოვალეობაზე კი არაფერია. სადაც უფლებაა, იქ მოვალეობაც უნდა იყოსო. სათანადო შესწორება შევიტანეთ წესდებაში და, რამდენიმე საათის შემდეგ, ნასიამოვნები ილიას კარგი მიღებითა და საინტერესო ბაასით, ტფილისში დავბრუნდით". [1]).

ეს ის „ხელოსანთა კავშირ-ამხანაგობა შრომაა", რომელზედაც ლაპარაკობს თვითონ მიხა ჩოდრიშვილი. როდესაც არტელის წესდება ისე შეიცვალა, რომ იქ არახელოსნებსაც შეეძლოთ შესვლა, მის წევრებად ჩაწერილან: ილია ჭავჭავაძე, ანტ. ფურცელაძე და სხვანი. [2]).

იგივე მიხა ჩოდრიშვილი მოგვითხრობს, რომ 1878 წელს ქართველი „ნაროდოვოლცების" ჯგუფს გამოუცია რევოლუციური ფურცელი, რომელშიაც, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენაც ყოფილა მოთხოვნილი. ჯგუფის ერთერთ წევრს ვასილ რცხილაძეს ფურცლები გასავრცელებლად გადაუცია მ. ჩოდრიშვილისთვის, თანაც უთხოვნია: ერთი ფურცელი ილია ჭავჭავაძეს წაუღე, გავიგოთ, რა შეხედულებისა იქნება იგი ამ საგანზეო. რადგან ილია უკმაყოფილო დარჩენილა ფურცლის შინაარსისა, ვ. რცხილაძესაც, მისი გავრცელება შეუჩერებია. [3]).

90-იანი წლების დამლევამდეც ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტი და გავლენა ფრიად დიდი იყო. სხვათა შორის, 1898 წლის ნოემბერში გადასწყვიტეს გადაეხადნათ ილიასთვის 40 წლის სალიტერატურო მოღვაწეობისა და დაბადებიდან 60 წლისთავის იუბილე. აირჩიეს საიუბილეო კომიტეტი და იუბილეს დღედ დანიშნეს 1898 წლის 24 მაისი. მაგრამ იგი არ გამართულა, რადგან ილია ჭავჭავაძემ უარი სთქვა იუბილეზე. ამ დროს გამოვიდა მ. ნასიძის წიგნაკი („ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი"), რომელსაც აწერია: „მომზადებულია 24 მაისისთვის, როდესაც ქართველობას უნდა გადაეხადნა ი. ჭავჭავაძის ორმოცის წლის მოღვაწეობის იუბილე".

---

[1]) „მემუარები", გვ. 80—81.

[2]) „ჩემი თავგადასავალი", 1927 წ. სახელგამი, გვ. 115—117.

[3]) იქვე, გვ. 91—93.

ილია ჭავჭავაძე 90-იან წლების დამლევს. ილიას აზრი კერძო და საზოგადო საკუთრებაზე. ილიას საუბარი პროფ. ი. ჯავახიშვილთან ... ოპერაციაზე. ილია და მე-19 საუკუნე. შეტაკება მესამე დასველებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90-იანი წლების დამლევიდან ილიას ხშირი შეტაკება და ცხარე პოლემიკა ჰქონდა ლეგალური მარქსიზმის მოღვაწეებთან. ეს უკანასკნელნი ილია ჭავჭავაძეს დაეტაკნენ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ძველი თაობის უდიდეს ავტორიტეტს. და ილია, მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა, კვლავ გამოცოცხლდა და ლომივით, თავგამოდებით იბრძოდა ყველა იმ იდეათათვის, რომლებიც მისთვის სანუკვარი იყო.

სადაო კი ახალ თაობას ძველთან ბევრი რამ ჰქონდა. 90-იანი წლების დამლევს ილიას უკვე კარგად ესმოდა კაპიტლიზმთან დაკავშირებულ ზოგიერთ ახალ მოვლენათა მნიშვნელობა. წინააღმდეგ ვულგარიზატორ-„სოციოლოგებისა", ილია ჰქადაგებდა რა „გუთნისა და ხმლის" თეორიას, „გუთნად" ჰგულისხმობდა საერთოდ შრომას და არა მარტო სოფელს. კერძოდ 1897 წელს ეს თავისი აზრი ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად ჩამოაყალიბა ერთერთ თავის დიდი ექსპრესიით დაწერილ სტატიაში („რა გითხრათ, რით გაგახაროთ?"). წარსულზე იგი ამბობს: „წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია. ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მავთულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს, კიდევ ვიტყვი, ქვეყანა ეხლა მისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს". [1]).

მაშასადამე, ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა „ქარხნის ჩარხის", ე. ი. კაპიტალიზმის განვითარების მნიშვნელობა, აგრეთვე მნიშვნელობა „შრომისა" და „გარჯისა".

ჩვენში გაბატონებულია აზრი, თითქოს ილია ჭავჭავაძე მედგარი დამცველი ყოფილიყოს კერძო საკუთრების პრინციპისა ყველგან და ყოველთვის. ეს არ არის მართალი. ილია უფრო ფაქტს აღნიშნავს: „კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდს

---

[1]) ტ. VI, გვ. 12.

პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მიდგა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდებაო". [1]).

მაგრამ ეს კერძო საკუთრება მას არ მიაჩნია სამართლიანად. იდეალად. პირიქით, მას კარგად ესმის უდიდესი მნიშვნელობა, ეროვნული მიწის „სამსოფლო" მფლობელობისა და მისი უპირატესობა „საკომლოსთან" შედარებით. ამ საკითხს ეხება ილია ერთ პატარა, მაგრამ ფრიად საყურადღებო სტატიაში 1880 წელს. ამ წერილს სათაურად აქვს — „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ". [2]).

აქ ილია ჭავჭავაძე ჯერ აღნიშნავს: „ჩვენი ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია დაყენებული, თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია". შემდეგ ილია აყენებს საკითხს: როგორ გაუძლო ქონებრივად, ეკონომიურად საქართველომ იმ უამრავ გაპარტახებას, აოხრებას, რომლებიც ჩვენი ისტორიიდან ვიცითო და უპასუხებს: იმითი, რომ „მიწა", ესე-იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან".

რა იყო ამ წყობის თავისებურება, ი. ჭავჭავაძის აზრით?

„ჩვენს ეკონომიურ წყობაში ორგვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველა სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე, საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო (ხაზი ჩვენია. ქ. რ.), მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას, და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსენებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა, მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა".

ამისი ბრალიაო, ამბობს ილია, რომ „ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო". საქმე მაშინ წახდა, როდესაც ამ წესს გადაუხვიეს: „გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში არამცთუ კომლთა შორის, არამედ სოფელთა შორისაც". [3]).

---

[1]) ტ. IX, „ნუთუ?", გვ. 190.

[2]) ტ. V, გვ. 201—4.

[3]) იქვე, გვ. 204.

ილიას რომ ძალიან ეინტერესებოდა კოოპერატიულ-არტელური საწყისი ჩვენს ეკონომიკაში, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომელიც ცნობილ ტივცემულმა პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა გადმოგვცა 1907 წელს, ილია ჭავჭავაძეს, როდესაც ის ჩავიდა პეტერბურგს, როგორც



ილიას სახლი საგურამოში

სახელმწიფო საბჭოს არჩევითი წევრი, ერთერთი შეხვედრისას უთქვამს ივ. ჯავახიშვილისთვის: მე გადაწყვეტილი მაქვს დავწერო წიგნი კოოპერაციაზე და საამისო მუშაობას უკვე შევუდექი. მე მაინტერესებს, იყო თუ არა ამის მსგავსი რამ ჩვენს წარსულში. როდესაც ივ. ჯავახიშვილს უპასუხნია, რომ საამისო ისტორიული ფაქტები საკმაოდ მოიპოვება, ილიას უთხოვნია: იკისრეთ თქვენ ამ საერთო წიგნისთვის ისტორიული ნაწილის დაწერაო. ეს ყოფილა 1907 წ. ზაფხულს. პროფ. ივ. ჯავახიშვილი დათანხმებულა ხსენებული შრომის შესრულებას, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ილიას უკვე განუგმირეს გული ქართველი ხალხის მტრებმა.

დასასრულ, ილიას მსოფლმხედველობის ნათელსაყოფად გავიხსენებთ კიდევ ერთ მის სტატიას. ეს არის სტატია „მეცხრამეტე საუკუნე", რომელშიაც ილია ჭავჭავაძე აჯამებს ხსენებული საუკუნის შედეგებს. ეს შეჯამება თითქოს შეჯამებაა ილიას მთელი 40 წლის მოღვაწეობისა, აგრეთვე დასახვაა მომავალი პერსპექტივებისა. ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ შედარებით ვრცელ ამონაწერს ამ წერილიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ამომწურავად ახასიათებს ილიას მსოფლმხედველობის მთელ სირთულეს.

„ვინ მოსთვლის ყველა იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას, ამბობს ილია. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მ̣ოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივი სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელი და მშრომელი კლასებისა წარსამატებლად... ამ გზაზ̣ წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად... მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს. მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდეს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“ [1]).

ერთი რამ კიდევ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ჩანს, იცნობდა მარქსსა და მის მოძღვრებას. ნ. ჟორდანიასთან კამათის დროს იგი ბევრჯერ აღნიშნავს მარქსისადმი თავის პატივისცემას და უწოდებს მას „ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ს“. ეს მისი ეპიტეტი ისე დამახასიათებელია, რომ მოვიყვანთ ილიას თხზულებათა IX ტომიდან სათანადო ამონაწერებს.

„განა იგი „კაპიტალი“, ამბობს ილია, რომლის ახსნასაც ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ მ ა მ ა რ ქ ს მ ა სამი ტომი თხზულება მოანდომა და

---

[1]) ტ. VI, გვ. 5—8.

ეს საყველ-პუროდ ხსენებული „კაპიტალი“ ერთი და იგივეა? (ტ. 141). „ჩვენებური ბანკი და იგი დაწესებულება, რომელიც განაგებს სახელმწიფო შესავალ-გამოსავალს, ისე შორს არიან ერთმანეთზე, როგორც უმეცარი ჟორდანია და მ ე ც ნ ი ე რ ი მ ა რ ქ ს ი“ (ტ. 143). ასევე ლაპარაკობს ილია მარქსის შესახებ 131 — 132 გვერდზე და სხვაგან.

ასეთი იყო ზოგადად 90-იანი წლების დამლევის ილია ჭავჭავაძე. მას იმედი ჰქონდა „ადამიანის გონების წინსვლისა“ და „ზნეობის ალმატებისა“, მას ასეთივე უტოპიური იმედები ჰქონდა ქართველი ხალხის კლასობრივი ჰარმონიისა. და აი, ლეგალური მარქსიზმი, თუმცა გაუბედავად, მაგრამ მაინც მუშაობს „მარქსიზმის იდეების გაცნობის, შესწავლის და გავრცელების საქმეში!.[1]) ილიას კლასთა ბრძოლის იდეის ქადაგება თავისი ქვეყნისთვის მავნებლად მიაჩნია და ცხარე პოლემიკას ეწევა ამ ქადაგების წინააღმდეგ. რასაკვირველია, ამ ბრძოლაში იგი განწირულია დამარცხებისთვის, რამდენადაც მისი „კლასთა ჰარმონიის“ იდეები უტოპიური და ჩამორჩენილი იყო. მესამე დასელებთან შეტაკებამ ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტი შეარყია. მოდიოდა ახალი ძალა, პროლეტარიატი და ძველ თაობას გზა უნდა მიეცა ახალი ძალებისთვის.

მაგრამ იყო ზოგი საკითხი, რომლებშიაც ილია ჭავჭავაძეს უფრო სწორი და მემარცხენე პოზიცია ეჭირა, ვიდრე „მესამე დასის“ ლეგალურ მარქსისტებს. ასეთი იყო, მაგალითად, ჩაგრულ და კოლონიურ ერთა საკითხი. მესამე დასის წარმომადგენელი „ნოე ჟორდანია... ჯერ კიდევ 1898 — 1899 წ. წლებში... იცავდა კაპიტალიზმის ცივილიზატორული მისიის იდეას კოლონიური და ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის... ინგლისისა და ბურების ომთან დაკავშირებით ნ. ჟორდანია აშკარად ჰქადაგებდა სოციალ-იმპერიალისტურ თეზისს“ [2]).

ილია ჭავჭავაძე კი ყოველი ჩაგრული ერის მოსარჩლე იყო და ილაშქრებდა „ევროპის დიდი და პატარა ონავრების“ წინააღმდეგ, „მილიტარობის“ წინააღმდეგ — ირლანდიის, სპარსეთის, აზიისა, ოსმალეთის სომეხთა და სხვათა დასაცავად. გადაათვალიერეთ ილიას თხზულებათა X ტომი და ამაში ადვილად დარწმუნდებით.

რათა მოვათავოთ ლაპარაკი 90-იან წლებზე, საჭიროა აქ მოკლედ გავიხსენოთ, თუ რა პოზიცია ეჭირა ილია ჭავჭავაძეს ტფილისის ქა-

---

[1]) ლ. ბ ე რ ი ა. „ამ. კავკ. ბოლშევიკური ორგ-ბის ისტორიის საკითხისთვის“. 1935 წ. გვ. 60.

[2]) იქვე, გვ. 28—29.

ლაქის საბჭოს („დუმის“) არჩევნების დროს და რა ბრძოლას ეწეოდა იგი ხსენებულ დაწესებულებაში ქართველი ხმოსნების გასაყვანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო თვითმმართველობა ტფილისში შემოიღეს 1876 წელს. წინათ კი ქალაქის საქმეებს განაგებდა მოურავი და ადმინისტრაცია. საქალაქო დებულება ჰგულისხმობდა ხმოსნების არჩევას ეგრეთწოდებულ „საბჭოში“ (დუმაში). საარჩევნო ხმით სარგებლობდნენ მხოლოდ ისინი, ვინც ტფილისში უძრავი ქონების პატრონი იყო. ქონების სიდიდის მიხედვით ამომრჩევლები დაყოფილნი იყვნენ სამ კატეგორიად: პირველი ორი კატეგორიისაგანი (რიცხვით ყველაზე ნაკლებნი) ირჩევდნენ ყველაზე მეტს, ხმოსანთა ორ მესამედს, დანარჩენნი, შედარებით უმრავლესობა, — ერთ მესამედს. რადგან ტფილისში უძრავი ქონების პატრონი უმთავრესად სომხის ბურჟუაზია იყო, ამიტომ ხმოსანთა უმრავლესობა ყოველთვის მისგან შედგებოდა. მაგალითად, 1876 წელს 76 ხმოსანს შორის ქართველი იყო მხოლოდ 8; 1882 წ. ამავე რიცხვში — 4 ქართველი, 1886 წელს — 6 ქართველი და 57 სომეხი. ამავე 1886 წელს ტფილისში ხმის უფლება ჰქონდა სულ დაახლოვებით 4508 კაცს და ამაში ქართველი მხოლოდ 425 იყო, თუმცა ეს ციფრი არ შეეფერებოდა ეროვნებათა რიცხვობრივ შეფარდებას.

თავდაპირველად ცენზიან ქართველობასა და სომხობას შორის ურთიერთობა ნორმალური იყო და 1876 წელს ქალაქის თავად დიმიტრი ყიფიანიც კი აირჩიეს. მაგრამ მდგომარეობა თანდათან გართულდა. ტფილისის ცენზიანმა ქართველობამ და ინტელიგენციამ მოინდომეს თავისი რიცხვის შესაფერისი ადგილი მოეპოვებინათ ქალაქის საბჭოში და ამნაირად ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობა მიეღოთ. დაიწყო საამისო აგიტაცია, რომელსაც მალე ნაციონალისტური ხასიათი მიეცა. სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა უფრო მაგრად ჩაკეტეს თვითმმართველობის კარი. ქართველმა ამომრჩევლებმა მხოლოდ 1890 წელს მოახერხეს 22 ქართველის გაყვანა; არჩეულ იქნენ, სხვათა შორის — ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, მ. მაჩაბელი, ვლ. მიქელაძე, მაგრამ ამან უფრო გაამწვავა მდგომარეობა. შემდეგ არჩევნებში, 1893 წ. 1897, 1900 და 1903 წ. ქართველი ამომრჩევლები მუდამ მარცხდებოდნენ. 1893 წელს გააშავეს ისეთი კანდიდატები, როგორნიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვანი.

„ივერია“ და მისი რედაქტორი ამ საარჩევნო ბრძოლაში დიდ მონაწილეობას იღებდნენ. მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ მას ნაციონალური შუღლის ხასიათი მიეცა, თუმცა ბრძოლაში ორივე ერის მხოლოდ ზედაფენები იღებდნენ მონაწილეობას. ილია ჭავჭა-

ვაძე ფრიად გაცხარებული პოლემიკის დროსაც ყოველთვის ხაზს უსვამდა: ჩვენ ვილაშქრებთ „სომხის ცრუპენტელა „ლიბერალების“ და „მწიგნობართა“ წინააღმდეგ და არა სომხის ერის წინააღმდეგ, რომელსაც ვუსურვებთ „ბედნიერად ცხოვრებას, მაგრამ ისეთივე სხვისი ბედნიერებაც იწამონო“ და სხვა.

ილიას კაბინეთი ტფილისში

ამ ბრძოლის დროს როგორც ქართველთა, ისე სომეხთა წრეში იყენენ მორიგების მომხრენი („ცნობის ფურცლის“ ჯგუფი და „კვალი“ — გ. წერეთლის სახით), სომხების მხრივ გაზეთ „თარაზის“ ჯგუფი და სხვანი, მაგრამ ეგრეთწოდებული „დვორცოვიე ნომერას“ ჯგუფი (სომხის პლუტოკრატია) შეურიგებელი აღმოჩნდა და მთელ ამ გაწამაწიას პირველად მხოლოდ 1905 წელმა მოუღო ბოლო.

XV

ილიას ავადმყოფობა 1900 წელს. ილია საზღვარგარეთ.

1900 წელს ილიამ დაიწყო ხშირი ავადმყოფობა — აწუხებდა გული. ნიკოლოზ ჯანდიერმა, რომელმაც (იმ დროს ახალგაზრდა ექიმმა) ილია ერთერთი შემოტევის დროს გასინჯა, შემდეგი გადმოგვცა:

თვე დანამდვილებით კი არ მახსოვს, მაგრამ მგონი 1900 წლის იანვისის დამდეგი იყო. მე მაშინ პროვინციიდან ჩამოსული ვიყავი საქმეების გამო საგუბერნიო ექიმ ქიქოძესთან. მასთან ერთად შეშფოთებული ნიკო ცხვედაძე და უთხრა: ილია საგურამოში ავადა გახდა და ექიმი ვერ მიშოვნია, რომ წავიყვანოო. რადგან თვითონ ქიქოძეს არ შეეძლო, მე მომცა წინადადება სასწრაფოდ წავყოლოდი ნ. ცხვედაძეს. რასაკვირველია, სიამოვნებით დავთანხმდი. ჩავედით საგურამოში. ილიასთვის გულის ავადმყოფობის შეტევას უკვე გაევლო და შედარებით უკეთ იყო. ჩვენ რომ მივედით, იქ იყვნენ ველიჩკო თავისი მეუღლით და არტ. ლეისტი. ველიჩკო ბევრს ლაპარაკობდა და, როგორც შევატყე, ილიას აწუხებდა. დამახასიათებელია ერთი დეტალი. ველიჩკომ რიღაცის გამო დაცინვით მოიხსენია ვანო მაჩაბელი. თვალდახუჭულად მწოლიარე ილიამ ქართულად მითხრა: ნაგას ჰგონია, მაგით მასიამოვნებს. თუ ღმერთი გწამს, მომაშორე როგორმეო. მე ვუთხარი იქ მყოფთ, რომ ავადმყოფისათვის საჭიროა დასვენება და ყველანი გავიდნენ. ღმერთმა გიშველოს, ახლა კი გამსინჯეო, მითხრა ილიამ.

დავუწყე გულმოდგინედ სინჯვა. მას ჰქონდა ეგრეთწოდებული გულის ასთმა და სკლეროზი. ილია დინჯად მაკვირდებოდა და მითხრა:

— ნუ მეტყვი კატეგორიულად, ასე მოიქეც, ისე მოიქეც. ამიხსენი დაწვრილებით, თუ რად არის საჭირო ესა თუ ის რეჟიმი. მხოლოდ მაშინ შემიძლია დაგიჯერო და დაგემორჩილო, თუ მეც კარგა მექნება გაგებული მაგ რეჟიმის აუცილებლობაო. მე მაშინ 4 დღეს დავრჩი საგურამოს. სხვათა შორის ილიას ჰყავდა იქ ოთახის ძაღლი, რომელიც ძალიან ახალისებდაო, დასძენს ექ. ნ. ჯანდიერი.

ილიას განსაკუთრებით შეუყვარდა საგურამოს ყოფნა მას შემდეგ, რაც იქ ძველი უხეირო სახლის მაგივრად 1894 წელს ააგო ქვითკირის მოზრდილი სახლი. არტ. ლეისტი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „ყმაწვილური აღტაცებით... მითხრა: ისე მოხარული ვარ ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებისა, ამ მშვენიერი სახლისა, თითქოს ჩემს სიცოცხლეში ამის მეტი არა გამეკეთებინოს რა.

— დიაღ, ეს სახლი ერთ კარგ ლექსადა ღირს, მეტად არა! მივუგე მე.

— მეტად არა? ღიმილით მკითხა ილიამ.

— რასაკვირველია! პირიქით, მე მგონია, თქვენი „მწუხრი ალაზნის ველზე“ [1]) უფრო მეტად ღირს. როცა ამ სახლისა ქვაც კი აღარ

[1]) „საქ. გული“, გვ. 36. ზემოხსენებულ ლექსად, ალბათ, იგულისხმება „კაკო ყაჩაღის“ შესავალი.

დარჩება. ეს მშვენიერი ლექსი მაშინაც მოხიბლავს როგორც ქართველს, ისე უცხოელსა-მეთქი".

ექიმებისა და მეგობრების რჩევით ილია ჭავჭავაძე 1900 წლის ივნისში გაემგზავრა საზღვარგარეთ საექიმოდ. მან მოინახულა [illegible] ნია და ავსტრია, ბერლინში კი ეჩვენა პროფესორ ლეიდენს, [illegible] გორც მაშინდელ დიდ ავტორიტეტს. „ბერლინიდან ილია საღად და-



ილიას სამუშაო ოთახი საგურამოში

ბრუნდა, გადმოგვცემს ა. ლეისტი, მაგრამ არ ასრულებდა იმ რეჟიმს, რომელიც პროფესორმა ლეიდენმა დაუნიშნა... სიბერისგან განკურნება ილიას შეუძლებლად მიაჩნდა და ხშირად იმეორებდა შოთა რუსთველის სიტყვებს, სიბერე უკურნებელი ჭირიაო" [1]).

ბერლინში ილიას, სხვათა შორის უნახავს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ლემან-ჰაუპტი, წინააზიის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი. ხსენებული პროფესორი 1898 წელს ყოფილა საქართველოში, სწვევია საგურამოში ილიას და თავისი შთაბეჭდილებანი დაუბეჭდია ჯერ ჟურნალ „Die Hilfe"-ში, მერე ვრცელს მოგზაურობის აღწერაში კავკასიიდან ირან-მესოპოტამიაში. არტ-

[1]) „საქართველოს გული", 31.

ლეისტის სიტყვით, ლემან-ჰაუპტი „წრფელის მეგობრობის გრძნობით იყო ილიასადმი გამსჭვალული. ილიას ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ მან მოათავსა ბერლინის ერთ-ერთ დიდ გაზეთში ილიას ნეკროლოგი. ილიას პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ მანვე ცნობები დაბეჭდა ერთ თავის წიგნში“. [1]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი ლემან-ჰაუპტი ჩვენში იყო, უკვე ღრმად მოხუცებული, ფაშისტური გერმანიიდან გამოდევნილი, 1936/7 სასწავლო წელს იგი წინააზიის ისტორიაზე ლექციების წასაკითხავად მოიწვია ტფილისის უნივერსიტეტმა. შესავალ ლექციაში მან სიყვარულით გაიხსენა ილიასთან შეხვედრა როგორც აქ, საგურამოში, ისე ბერლინში.

ილიას ნაამბობის მიხედვით ა. ლეისტი შემდეგს გადმოგვცემს: ილია „დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და უკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებასა და კულტურას, მათი ყოველი წვრილმანი იქცევდა მის ყურადღებას. მაგრამ ღვიძლი სამშობლო საქართველო ძლიერ იზიდავდა თავისკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია, როცა ტფილისს მოუახლოვდა, ისე მოხიბლული იყო საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა. ამას განსვენებული ილია სრულიად მოურიდებლად მიამბობდა ხოლმე და თანაც დასძენდა: ყმაწვილობაშიაც გამომიცდია ნაღველი სამშობლოს მოშორებისა, მაგრამ არა ისე ძლიერი, როგორც ახლა, მოხუცებულობის დროსაო“.

ილია ამის შემდეგ მხოლოდ ორ წელიწადს მუშაობდა „ივერიაში“ და რამდენიმეჯერ გაიელვა მისმა სატირიკულმა და პოლემიკურმა კალამმა (არჩილ ჯორჯაძის, ი. გომართლის წინააღმდეგ და სხვა). მალე ილია ჩამოშორდა გაზეთს და გადასცა იგი ალ. სარაჯიშვილს; შემდეგ ცოტა ხანს ეს გაზეთი იყო გ. ყიფშიძის, მერე ფ. გოგიჩაიშვილის (1905—6 წ.), ბოლოს კი კ. თუმანიშვილის ხელში.

გაზეთს ჩამოშორებული ილია ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ველარ იღებდა წინანდელ მხურვალე მონაწილეობას. მას ერთგვარი სულიერი მოღლილობა დაეტყო, რაც, ალბათ, ფიზიკური დაავადების (გულის ავადმყოფობის) შედეგიც იყო. ასეთ მდგომარეობაში უსწრო მას 1905 წელმა და პირველმა რევოლუციამ.

---

[1]) „საქართველოს გული“, 31.

ილია ჭავჭავაძის წერილი პეტერბურგის სტუდენტებს. ილია და 1905 წ. რევოლუცია. ილია და ჟურნალი „საქართველო". ილია და საქართველოს პოლიტიკური ავტონომია. თავად-აზნაურობა. ილიას სიტყვა აგრარულ საკითხზე. ილია და რევოლუციური ... მწვავე ფორმები. ილია და საგურამო. ილია მკაცრად ჰგმობს თავადაზნაურთა შავ რაზმს. ილია და გურიის ამბები. ჟანდარმერიის აზრი ილია ჭავჭავაძეზე.

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად მნიშვნელობა აქვს ერთ წერილს, რომელიც მიმართულია პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისადმი. 1897 წელს, როდესაც კუნძულ კრეტოსზე ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებმა თურქების მპყრობელობის წინააღმდეგ აჯანყება მოახდინეს, პეტერბურგის სტუდენტებში დაიბადა აზრი მოხალისედ წასულიყვნენ აჯანყებულ ბერძენთა მისაშველებლად. მათ ეინტერესებოდათ ამ საგანზე ქართველი მოღვაწეების აზრი და, რჩევა უკითხავთ ილია ჭავჭავაძის, გ. წერეთლისა და სხვებისათვის. ილია ვრცლად უპასუხებს პეტერბურგელ სტუდენტებს. იგი არ ურჩევს სტუდენტებს შორს წასვლას. თქვენ აქ, ჩვენთვისვე ხართ საჭირონიო. მაგრამ გზადაგზა ილია გამოსთქვამს ფრიად საყურადღებო აზრებს. ჯერ-ერთი, ის აღნიშნავს „იმ ბრწყინვალე და დიდებულ გულთაძგერას, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი დავიწამე, რომ ამ კეთილშობილებით აღსავსე გულთაძგერამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით მიმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი გამოიდეს ხსნისათვისო". მერე ილია დასძენს: „კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე, მუშტისა ძალა, ხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ, რომ დრო მოვა, თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლახვარსა და წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი [1]).

და აი, ასეთი რწმენის პატრონი ილია. შეესწრო 1905 წლის რევოლუციას, როდესაც ქართველმა გლეხობამ და პროლეტარიატმა თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში უდიდესი რევოლუციური ენერგია გამოიჩინეს. ჭეშმარიტად, სწორედ მაშინ შეიძლებოდა ილიასივე

---

[1]) ჟურნ. „ნიშადური", 1908 წ. № 59.

სიტყვები გვეთქვა: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს და ეს ფიქრია ჩვენი ქვეყნის თავისუფლება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შეხვდა პოეტი ამ მოძრაობას? მას ჯერ კიდევ ბავშვობის გაზრდობაშივე კარგად ესმოდა რევოლუციის მნიშვნელობა. „რევოლუცია დაწყნარების სათავეა — ამბობდა იგი „მგზავრის წერილებში“ — ესეა ყოველიფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე“. ჩვენ ვიცით, რომ მან შესანიშნავი ლექსით გამოიტირა პარიზის კომუნის დაცემა 1871 წელს. 1905 წ. პირველ ხანებშიც ილიას ფრთა შეესხა. მან ყური სცქვიტა, როგორც ძველმა მებრძოლმა და გაიფიქრა: აი, დგება დრო, როდესაც უნდა განხორციელდეს ჩემი და ჩემი მოხევის წადილი — „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნესო“.

ფრიად საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს ძველი მოღვაწე თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა თავის მოგონებაში ილია ჭავჭავაძეზე. 1903 წელს პარიზში გამოვიდა ქართველი ავტონომისტების (შემდგომ სოციალისტ-ფედერალისტების) არალეგალური ორგანო „საქართველო“. თედო სახოკია, პეტრე ყიფიანი და ვალ. გუნია სწვევიან ილიას საგურამოს, გაუცვნიათ ჟურნალი „საქართველო“, მისი მიზნები და უთხოვნიათ შუამდგომლობა ცნობილი მრეწველის დავ. სარაჯიშვილის წინაშე ფინანსური დახმარებისთვის. ილიას ძალიან გახარებია ეს ამბავი და უთქვამს:

„ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარ იმ დროს, რომ ჩემი ახალგაზრდობის, შუახნის კაცობისა და, ბოლოს, მოხუცებულობის ნატვრამ ხორცი უნდა შეისხას; რომ მოვესწარ იმ დროს, როდესაც საქართველოს განთავისუფლების საკითხი საზღვარგარეთ ლაპარაკისა და აზრთა აღებმიცემობის საგნად გაუხდიათ. ვინ უწყის, შორს არ იყოს ის წუთიც, ოდეს ვიხილოთ ჩვენი ქვეყანა საკუთარ ფეხზე მდგარი... მე იქნება ვერ მოვესწრო ამ ბედნიერ დღეს, მაგრამ თქვენ ძაინც მოგასწროთ“ [1].

1905 წელს ძველ მოღვაწეთაგან ილია ჭავჭავაძე პირველი გაბედულად მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას. ინტელიგენციის გავლენით ის საკითხი დგება ტფილისის თავად-აზნაურთა კრებაზე. საჭიროდ მიაჩნდათ მეფისადმი — ძიმართულ ადრესში ჩართვა ავტონომიის მოთხოვნისა. ამ საგანზე 1905 წ. 31 მარტს გამართული კრება ისეთი მღელვარე იყო, რომ

---

[1]) თ. ს ა ხ ო კ ი ა ს მოგონება ი. ჭავჭავაძეზე. იბეჭდება — „მნათობის“ № 5-ში.

თავმჯდომარემ დახურა იგი. ამის შემდეგ იქვე დაიწყო თავად-აზნაურთა კრების მონაწილეების და ინტელიგენციის წარმომადგენელთა თათბირი, ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით. თათბირმა აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ავტონომიის, სხვადასხვა დემოკრატიულ მოთხოვნათა შესახებ რეზოლუციის შემუშავება. ამ კომისიაში შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ვას. ყიფიანი, გრ. დიასამიძე, ვას. რცხილაძე, ს. ვახვახიშვილი, მიხ. გედევანიშვილი და ა. ყანჩელი. კომისიამ იმ დღესვე შეიმუშავა სათანადო მუხლები და მეორე დღეს, 1 აპრილს წარუდგინა თავად-აზნაურთა კრებას. აქ კვლავ გაიმართა კამათი და შეხლა-შემოხლა. კრების ერთი ნაწილი — მიხ. მაჩაბლის მეთაურობით, ამტკიცებდა: რუსის მეფეებს ყოველთვის უყვარდათ საქართველო, ახლა სეპარატიზმის, რუსეთისგან ჩამოშორების გზის ადგებით; ამით ჩვენ ვაწყენინებთ მთავრობასაც და რუსის ხალხსაც. მაგრამ ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტულმა სიტყვამ გასჭრა და კრებამ მიიღო წარმოდგენილი პროექტი ადრესისა.

მოწინააღმდეგეებმა გადაწყვეტილება განასაჩივრეს: კრებას არა აზნაურნიც დაესწრნენ და ამიტომ მისი გადაწყვეტილება უკანონოა. მაგრამ ატმოსფერო უკვე ისეთი იყო, რომ ასეთი ხრიკებით ველარას გახდებოდნენ.

რა იყო მოთხოვნილი ილია ჭავჭავაძის მხურვალე მონაწილეობით მიღებულ ადრესში? ეს იმდენად საყურადღებოა და ილიას იმდროინდელი პოზიციისათვის იმდენად დამახასიათებელი, რომ მოვიყვანთ მიღებული ადრესის სათანადო ადგილს:

„სახელმწიფოს საერთო სარგებლობა და საჭიროებანი თავადაზნაურობას, ნათქვამია იქ, აიძულებს გამოსთქვას თავისი რწმენა, რომ ქართველი ხალხის კულტურული განვითარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რომელმაც ნება-ყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთის ბედსა, მიენიჭება უფლება იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებისაგან შემუშავებული და გამოცემული და თუ ამ კრებისათვის წარმომადგენლები საყოველთაო, პირდაპირის, საიდუმლო და ყველასათვის თანასწორი კენჭისყრით იქნებიან ამორჩეულნი“ [1]).

საინტერესოა ამ ადრესის ფინალი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტფილისის გუბერნატორის საშუალებით ოფიციალურად შეატყი-

---

[1]) „ივერია“, 1905 წ. № 43, 2 აპრილი. იმ დროს „ივერიის“ რედაქტორად ფ. გოგიჩაშვილი იყო.

ბინა თავად-აზნაურთა საკრებულოს: ჩვენ შეუძლებლად ვაცნობთ იმპერატორისთვის მოგვეხსენებინა თქვენი ადრესი და [illegible].

საყურადღებოა აგრეთვე ილიას გამოსვლა, იმავე წლის 6 მარტს თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე. გლეხობის ავრარული [illegible] ობა უკვე მწვავდებოდა და ლაპარაკი იყო სწორედ ამ საგანზე. ილია ჭავჭავაძემ ამ კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც დაბეჭდილია „ივერიის" 8 აპრილის ნომერში (№ 20), რასაკვირველია, შემოკლებით. ილია 9 მარტის ნომერში ასწორებს თავის სიტყვის ჩანაწერს. ჩვენ ამ საყურადღებო სიტყვას მოვიყვანთ გაზეთისა და — ილიას შესწორების მიხედვით.

„ივერიაში" ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ მიზეზი გლეხკაცთა მოძრაობისა სულ სხვა გარემოებაში უნდა ვეძიოთო და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმ უსამართლობისა, რომელიც მთავრობამ ჩაიდინა. „სახელმწიფოს ბევრი ადგილ-მამული აქვს, რომელიც მთავრობამ ჩვენს ქართველ გლეხს წაართვა, სხვა ტომის ხალხს მისცა და ზედ დაასახლაო... ბარიათინსკის დროს ჩვენ გვითხრეს, გლეხები განათავისუფლეთ, ადგილ-მამული მიეცით და ჩვენ ორი მილიონი დესეტინა გვაქვს და იმას მოგცემთო. ჩვენ მაშინ ჭკუა არა გვქონდა და ამაზედ არ დავთანხმდით. ეს იყო ჩვენი დიდი შეცდომა და ეხლა უნდა გამოვასწოროთ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მთავრობისაგან ეს ადგილები. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი გლეხკაცი ვერსად ვერ წავა, როგორც რუსი და სხვა ტომის ხალხი სჩადის. ის მიჯაჭულია იმ მიწაზე, რომელიც მისი სისხლით არის მორწყული და ეს სისხლით მორწყული ადგილები ქართველ გლეხს უნდა მიეცეს და არა გადმოსახლებულსო. ჩვენს გლეხს ადგილი არა აქვს, რომ თონე ჩააგდოს, იმის გვერდით კი გაშენდა გოლიცინო, სვეჩინო, ვორონცოვკა და სხვა მრავალი სოფელი. სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილები შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც სხვა ტომის ხალხს ასახლებენ. მოგვცენ ეს ჩვენგან წართმეული ჩვენი მიწა-წყალი, რომელიც ახლა ხაზინასა აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას ურიგებს, ქართველს გარდა და მაშინ იქნება ზოგმა ჩვენგანმა დაუთმოს გლეხკაცს თავისი ადგილებიდან... ისიც შესაძლოა, იმისთანა გლეხკაცნიც გამოჩნდნენ, რომ თვით მოინდომონ ჩვენი ქვეყნის სახაზინო მამულებში გადასახლება და დაბინავება, ოღონდ საკმაო მიწა-წყალი აუჩინონ და ის მზრუნველობა გაუწიონ, რასაც უცხოელებს უჩენენ, როცა ქართველის სისხლით მორწყულ მიწებს ურიგებენ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს, უნდა ავუხსნათ მთავრობას, რომ თუ არა ამ გზით, გლეხკაცობის მოძრაობას ვერც ძალა, ვერც მემამულეების მხრივ დათმობა, ვერაფერი შეაჩერებს. აი ჩემი აზრი.

ბოლოს ილიამ სთქვა: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ კანონები ჩვენთვის, რომლებიც ახლა პეტერბურგში იწერება, ადგილობრივ იწერებოდეს? ჩვენი ქვეყნისთვის [illegible] ნონები უნდა იწერებოდეს ჩვენი ქვეყნისა [illegible] მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან—მე ამას ვამბობდა კიდევაც ყველგან ვიტყვიო“.



კაკლის ხე საგურამოში

ილია მონაწილეობდა აგრეთვე მრავალ სხვა კრებასა და თათბირებში. კერძოდ იგი დაესწრო 1905 წ. 10 თებერვალს ქალაქის ხმოსანთა კერძო საგანგებო კრებას, რომელზედაც იყვნენ პრესის და უპარტიო ინტელიგენციის წარმომადგენელნი. კრების მსჯელობის საგანი იყო სომეხ-თათართა შეტაკება ბაქოში. ილია ჭავჭავაძეს აქ შეაქვს წინადადება: მომხდარი სამწუხარო ამბების გამოსაკვლევად დაინიშნოს გამომძიებელი საგანგებო კომისია, რომელშიაც შევა 1 სომეხი, ერთი მაჰმადიანი და ერთიც სამოსამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი. ამ კრებაზედვე აირჩიეს დელეგაცია (ილია ჭავჭავაძე, ალ. მელიქიშვილი და ქ. ვერმიშევი), რომელიც უნდა წარდგომოდა მეფის ნაცვლის მოადგილე ფენ. მალამას სომეხ-თათართა შეტაკების შესახებ მოსალაპარაკებლად [1]).

[1]) „ივერია“, 1905 წ. № 22.

საყურადღებოა აგრეთვე ერთი მაშინდელი კრება, გამართული 10 ივნისს ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. „ივერია“ ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „მაჰმადიანებს და ქართველებს შეერთებული ... ბა ჰქონდათ საადგილ-მამულო ბანკში. თავმჯდომარეობ... ი. ჭავჭავაძე, ამხანაგებად: მემედ-ბეგ აბაშიძე, გაზ. „კასპის“ რედაქტორი ბ-ნი თოფჩიბაშევი, მდივნად ვ. ყიფიანი. კრებას უნდა განეხილა მაჰმადიანთა და ქართველთა პეტიციები და შეემუშავებინა საერთო შეთანხმებული მოქმედების გეგმა; პეტიციების განხილვის დროს გამოირკვა, რომ ქართველებისა და მაჰმადიანების უფლებრივი შეხედულება თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთიმეორისაგან. მაგალითად, მაჰმადიანები თხოულობენ ცენზზე დაფუძნებულ საარჩევნო უფლებას, ქართველები კი უარჰყოფენ ცენზს. მაჰმადიანები ცდილობენ წოდებრივ უფლებისა და უპირატესობის დატოვებას, ქართველები კი წოდებას უარყოფენ და წოდებრივი პრივილეგიების მოსპობას მოითხოვენ“.[1]).

მ. თოფჩიბაშევი კრებაზე ასაბუთებდა, თუ რატომ იცავენ მაჰმადიანები საარჩევნო ცენზს. ქართველი ნაწილი, რასაკვირველია, არ დაეთანხმა მას, თუმცა ზოგადი ხასიათის რეზოლუცია მიიღეს და ერთმანეთთან კავშირის საჭროება აღიარეს.

მაგრამ რევოლუცია თანდათან ძლიერდებოდა, განსაკუთრებით კი აგრარული მოძრაობა. ამ უკანასკნელს ზოგ ადგილას მწყობრი და ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, მაგალითად, გურიაში, ზოგგან კი, კერძოდ ქართლში, იგი უფრო სტიქიური იყო. გახშირდა მემამულეთა რბევა, სახლ-კარის გადაწვა და მკვლელობანი. ამან ძლიერ შეაფიქრიანა ინტელიგენციის მოზრდილი ნაწილი. ილია ჭავჭავაძეც ძალიან შეშფოთდა: ილია, მქადაგებელი წოდებათა მოსპობის ნიადაგზე ჩატეხილი ხიდის გამთელების საჭიროებისა, ქართველი ერის სახსენლად კლასთა ჰარმონიისა, მოწმე გახდა იმისა, როდესაც ამ გამთელებისთვის არა თუ არავინ ზრუნავდა, არამედ კლასი კლასის წინააღმდეგ აღსდგა, იღვრებოდა სისხლი და საქმე იარაღს უნდა გადაეწყვიტნა.

ილია ჭავჭავაძე პირველ ხანებში აღფრთოვანებული, იმედმოცემული და თითქოს გაჭაბუკებული — ახლა მწარედ დაფიქრებულია. მისთვის თითქოს მახლობელი და სანუკვარი იყო რევოლუციის მიზნები, მაგრამ მიუღებელი გახდა მეთოდები.

---

[1]) „ივერია“, № 98, 1905 წ.

„ნუთუში“ ილია ჭავჭავაძე სევდიანად, მაგრამ გულახდილად ამბობს: „იქნება მე ვცდებოდე, მაგრამ ამაზე კი, იმედია, ყველა დამეთანხმება, რომ ეს დღევანდელი ამბავი დიდ-მიზეზიანი ... ნია, დიდად გასაფხიზლებელი, დიდ-ფათერაკიანი... ეს ... ხისგების საგანია და ამ პასუხისგების შიშ-ქვეშ თვით გლეხკაცობის წინაშე, დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი-ჩვენვე შიგნიდამ გავტეხოთ. ამას თხოულობს არამცთუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენი ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც საკუთრივ“ [1]).

მოძრაობის სტიქიურმა ხასიათმა შეაშფოთა არა მარტო ილიას ტიპის მოღვაწენი. იმხანად გაზეთებში დაიბეჭდა ქუთაისის ინტელიგენტთა და თავად-აზნაურთა მიმართვა სწორედ ამ ხასიათისა. ისინი მოუწოდებდნენ პარტიებს, რომ ხელი შეეშალნათ „ძალმომრეობის, სისხლისღვრისა, გადაწვისა და ერთმანეთის ჟლეტისთვის“ და იმედს გამოსთქვამდნენ: „შეგნებული პარტიები არ იქნებიან მომხრე ძმების გადამტერებისა და ერთმანეთის წვა-ჟლეტით ხალხის ძალღონის შესუსტებისაო“. ამ მოწოდებას ხელს აწერდნენ მაშინ ცნობილი მოღვაწეები: იას. ბაქრაძე (შენიშვნით), სილოვან ხუნდაძე, დავ. მესხი, კირ. ლორთქიფანიძე, პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი, დავით ავალიანი, მოსე ქიქოძე, სამს. ყიფიანი, სიმ. ქვარიანი, იას. ნიკოლაიშვილი, გრ. გველესიანი, ს. ჯაფარიძე და სხვანი მრავალნი, სულ 140 კაცი.

იმავე ხანებში იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატების — ვლ. დარჩიაშვილისა და ივ. გომართლის წერილები „ივერიაში“. თავისი წერილის ერთერთ განმარტებაში ივ. გომართელი ამბობს: „რა აზრისაც უნდა ვიყო წოდებათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, დღევანდელ დღეს მაინც ერთ წოდებას მეორეს არ მივუსევდი, რადგან ეს იქნებოდა ჩემივე ხელით ჩვენის ხალხის ყელის გამოჭრა და ყალბ გზაზე შეყენებაო“ [2]).

ილია ნაღვლიანად შესცქეროდა რევოლუციური ბრძოლის მწვავე ფორმებს. ეს ფორმები ბუნებრივი იყო იმ აუტანელი ჩაგვრის შემდეგ, რასაც გლეხობა განიცდიდა თავად-აზნაურობისაგან, რომელიც ქართლში განსაკუთრებით ძლიერი იყო. მაგრამ ილია ჭავჭავაძემ ეს ვერ დაინახა და გულისტკივილით აღნიშნავდა: „მოვა

---

[1]) ტ. IX, გვ. 191.

[2]) „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 15 მაისი.



ილია ჭავჭავაძე 1906 წ.

დრო და ყველა ეს საზღაურად გაუხდება უიმისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალწაღებულ გლეხკაცობასო“ [1]).

1906 წლის 2 თებერვალს ილია სწერს თავის მოურავს: „მოსე, შენ მხოლოდ ეცადე მშვიდობიანად მოელაპარაკო (გლეხკაცობ) და ცეცხლს წყლის მაგიერ ნავთი არ დაასხა. დღესა თუ ხვალე დაწყნარდებიან, იმიტომ, რომ მაგისთანა ამბავს ბოლო მოელება, ნებით იქნება თუ ძალით“. მეორე წერილში იგი ეუბნება იმავე მოურავს: „წინათაც მოგწერე და ეხლაც გწერ, რომ ეგ ამბავი, რაც მანდ არის, მთელ საქართველოშია მოდებული. შენ, როგორც გეტყობა, ცოტა არ იყოს, შეგშინებია... შენ მანდ ვერას გერჩიან... იმიტომ რომ ეგეინიც ადამიანები არიან, ჭკუა და გონება აქვთ: ადამიანს საავკაცოდ არ გაიმეტებენ, რადგანაც იციან, რომ კაცის გაფუჭებას ვერავინ შეარჩენს“.

გავიხსენოთ აგრეთვე ბარათი, რომელსაც ილია უგზავნის მოურავს 1905 წლის მარტში, როდესაც საგურამოს რაიონს მთავრობის ჯარი მოევლინა. როგორც გამოირკვა, ეს ჯარი გამოუთხოვნია თავის მამულში გენერალ სტაროსელსკის. ილია ამის შესახებ სწერს მოურავს: „მოსე, თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემ მაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით-თქო. თუ მაინცდამაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ“ [1]).

ილია ჭავჭავაძე მუდამ გლეხებთან მორიგების მომხრე იყო და სადაც კი იმ ხანებში საჯარო გამოსვლა მოუხდა, ყველგან ამას ჰქადაგებდა. 1905 წ. რევოლუცია, დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ძირს რომ დაექანა, თავად-აზნაურობის ერთმა ნაწილმა გააძლიერა მოქმედება ეგრეთწოდებული „შავი რაზმისა“. ეს რაზმი წინათაც არსებობდა, მაგრამ აშკარად გამოსვლას ვერ ბედავდა. ახლა კი, რაკი რეაქციის სუსხი დაიწყო, რაზმის იდეოლოგები საჯაროზე გამოვიდნენ. მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ამ რაზმს სახაზინო თოფები დაურიგა. ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას რაზმის არსებობა ძალიან ართულებდა. იმ ხანებში გაიმართა დიდი თათბირი რაზმთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად. და აი, ამ კრებაზე ილია ჭავჭავაძემ ენერგიულად, მკაცრად

---

[1]) ტ. IX, გვ. 202.

[2]) ამ დროის პირადი წერილები მოგვყავს გრ. ყიფშიძის მიერ დაწერილი ბიოგრაფიიდან (გედევანიშვილისეული გამოცემა). წერილების დედნები დაცულია მწერალთა მუზეუმში.

დაჰგმო რაზმის ხელმძღვანელნი და ერთერთი მისი „იდეოლოგი“, თავისი ძველი მოწინააღმდეგე ბანკოვიადის დროიდან — მიხეილ მაჩაბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირის დამსწრე არჩ. ჯაჯანაშვილი ამ ამბავს გვცემს: „თაბირი გაიმართა თავად-აზნაურების დეპუტატთა საკრებულოში. თავმჯდომარეობდა თავად-აზნაურთა წინანძღოლი (მარშალი) კამერ-იუნკერი გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი. მიხეილ მაჩაბელმა ის იყო დაამთავრა შავი რაზმის აპოლოგია, რომ უკანა რიგებში, სადაც „უცენზო“ საზოგადოება შეჯგუფულიყო, ჩოჩქოლი დაიწყო. ხალხი ორად გაიყო და გზა დაუთმო ილია ჭავჭავაძეს, რომელიც დინჯად პირველ რიგებისკენ გაემართა და მძიმედ სავარძელში ჩაეშვა. უცბად დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მორიგ ორატორს. „უარს ვამბობ“, გაისმა კუნჭულიდან. მიუბრუნდა მეორეს — უარს ვაცხადებ, იყო პასუხი. ლაპარაკი ალარავინ მოისურვა. მაშინ სიტყვა ილია ჭავჭავაძემ ითხოვა...

ბატონებო! სთქვა ილიამ. რაც ჩვენში ხდება, ყველგან მომხდარა. არ არის მსოფლიოში არცერთი ერი, არცერთი სახელმწიფო, ასეთი რევოლუციები რომ არ მომხდარიყოს. ქარტეხილი გაივლის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება. თავად-აზნაურობას ბევრი აქვს მოცემული; ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მოეთხოვება. რაც სხვას ეპატიება, თქვენ არ გეპატიებათ. მე ვხედავ თქვენს გაჭირვებას, მაგრამ, — რას იზამთ, — უნდა მოითმინოთ, ისეთს ნურაფერს ჩაიდენთ, რომ, როდესაც ეს ამბები გადაივლის და დაბრუნდებით, მეზობელთან პირი გქონდეთ შერცხვენილი და თვალებში შეხედვას ველარ უბედავდეთ. უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არა გაქვთ. ვისაც მოთმინება ვერ შეუძლიან და ვისაც გულისთქმა იმორჩილებს, სჯობს სოფელს დროებით თავი მოარიდოს. ცოტახნით გაჭირვება სჯობიან სამუდამოდ დაღუპვასა და საშვილიშვილო მტრობის ჩამოგდებას თავად-აზნაურობასა და გლეხებს შორის. რად გინდათ, ეგ იარაღი რომ აგისხამთ! ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისთვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ“!..

„უცენზო“ საზოგადოება სიტყვას ტაშით შეხვდა. ცენზიანებს გული გაუფუჭდათ... განაჩენი გამოტანილი იყო: ილია ჭავჭავაძის სიტყვის შემდეგ შავმა რაზმმა ველარ იბოგინა“ [1]).

ილია ჭავჭავაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმის მეცადინეობაში, რომ რევოლუციური გურიის წინააღმდეგ არ გაეგზავ-

[1]) „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ. № 7.

ნათ დამსჯელი ჯარები. იმ დროს აუარებელი კრება და თათბირები იმართებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, გაზეთებში ბევრი მათგანის შესახებ ან სრულიად არავითარი ცნობა არ იბეჭდებოდა, ან ფრთად მოკლე. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ დამსწრეთა თვითმონაწილეთა მოგონებებს. ამ შემთხვევაში ძალიან საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ილია ზურაბიშვილი იმ „მოგონებაში", რომელიც იბეჭდება უნივერსიტეტის „შრომებში".

„ილიას საჯარო გამოსვლებიდან, ბანკის კრების გარდა, მაგონდება ერთი შემთხვევა, ამბობს ი. ზურაბიშვილი. ეს იყო 1905 წლის ბოლოს, ნასაკირალის ამბების გამო. დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით. უეჭველი იყო ხალხის რბევა და ჟლეტა-ხოცვა, რაც მოხდა კიდეც. ქართველი საზოგადოების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ სათათბიროდ, რომ ამ საქმისათვის ეშველნათ როგორმე. ამ თათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა. ამ, გრძნობით და აზრით სავსე სიტყვის აღდგენას ვერ ვახერხებ, მეხსიერება მღალატობს. მაგრამ მახსენდება სიტყვის დასასრული. ილია წინადადებას იძლეოდა, მეფის ნაცვალს დელეგაცია მივუგზავნოთ და მოვითხოვოთ დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო. თანაც უნდა განვუცხადოთ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად „Костьми ляжем" (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოსთქვა).

როდესაც ვიღაცამ შენიშნა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენთაგანი არ წავა და „Костьми не ляжем"-ო, ილიამ უპასუხა„ მაშინ სირცხვილი ჩვენ" და, რამდენადაც მაგონდება, დაუმატა ერთ-ერთი შემდეგი ფრაზა „ამ სირცხვილს ხალხი არ გვაპატიებს", ან „თორემ ხალხი თითონ წავაო".

საერთოდ უნდა ითქვას, რომ 1906 წელს ილია ფიზიკურ გატეხილობას გრძნობდა. იგი სულიერადაც იტანჯებოდა იმ ერთგვარი განმარტოების გამო, რომელიც მისი თავისებური პოზიციითა და მეორე მხრივ—გაუგებრობით აიხსნებოდა. არტურ ლეისტი მოწმობს: ილია ხშირად იყო დაღონებულ-ჩაფიქრებული და მის ბაგეს მოსწყდებოდა ხოლმე მისთვის არაჩვეულებრივი სიტყვა-- „უმადურობაო".

ამნაირი სულიერი განწყობილება ჰქონდა ილიას, როდესაც მის წინაშე წამოიჭრა საკითხი სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისთვის პეტერბურგს წასვლისა...

მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, საინტერესოა გავიხსენოთ, თუ როგორ უყურებდნენ ქართველთა ეროვნულ მოძრაობას

თვითმპყრობელობის აგენტები. ისინი ყოველგვარ ეროვნულ მოთხოვნას სეპარატიზმად ნათლავდნენ და რუსეთისგან საქართველოს ჩამოშორება ელანდებოდათ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ფრიად გავლენიანი ნაციონალური მოღვაწე, მათთვის ძალიან საშიში ... ისინი ყოველთვის ეჭვით ადევნებდნენ თვალყურს ყოველ მის ნაბიჯს. ამის შესახებ არსებობს რამდენიმე დოკუმენტი ჟანდარმთა სამმართველოსი და მისი აგენტებისა.

ტფილისის ჟანდარმთა სამმართველო აი, რას ატყობინებდა პოლიციის დეპარტამენტს ჯერ კიდევ 1894 წლის 1 მაისის თარიღით, № 565. სათანადო მოხსენებაში ვკითხულობთ:

„... სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი წილი უდევთ ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებლებს (არსებობს განსაკუთრებით ქართველებისათვის)... დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე (ამ ბანკის სახსრებით ინახება აღნიშნული სათავად-აზნაურო სკოლა და აგრეთვე ი. ჭავჭავაძეა რედაქტორი ქართული გაზეთის „ივერიისა“). თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროგამოშვებით იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათისა და სოციალურ საკითხებს“.

მთავრობის ადგილობრივი აგენტები, რასაკვირველია, ასევე უცქეროდნენ ილია ჭავჭავაძის საქმიანობას 1905—6 წლებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ილიამ მხარი დაუჭირა საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას და სახელმწიფო საბჭოშიაც მემარცხენეთა მცირე ჯგუფის წევრი გახდა...

XVII

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრი, პროფ. ი. ჯავახიშვილის მოწმობა. ილიას ინტერვიუ გაზეთებთან. ილიას შეხვედრა სახ. სათათბიროს ქართველ დეპუტატებთან. ილია და ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირი. ილიას აზრი სახ. საბჭოს წევრებზე. ილიას სიტყვა სახ. საბჭოში. ილია და სამხედრო-საველე სასამართლოები.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით რუსეთში კუდმოკვეცილი კონსტიტუცია შემოიღეს: უნდა მოეწვიათ რუსეთის პარლამენტი — სახელმწიფო სათათბირო. იმ ხანებშივე მოხდა სახელმწი-

ფო საბჭოს რეორგანიზაცია. იგი გადააქცეს ეგრეთწოდებულ ზედა პალატად, რომლის წევრთა ნახევარს ირჩევდნენ, ნახევარს კი ნიშნავდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლღა ჭავჭავაძისა 90-იან წლებში

1905 წელს აღმოსავლეთ-საქართველოს თავად-აზნაურობასაც უნდა გაეგზავნა თავისი ამომრჩევლები პეტერბურგს, სადაც უნდა მომხდარიყო სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნები. სთხოვეს ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ მან, ავადმყოფობისა და იმ საერთო მოტეხილობის გამო, რაზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, უარი განაცხა-

და. ბოლოს, გავლენიან პირთა დაჟინებით — ილია დაითანხმეს და იგიც გაემგზავრა პეტერბურგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს რეაქციას ჯერ კიდევ ფრთები არ გაეშალა, რეაქციის ტალღები ჯერ კიდევ მაღლა იყო. ამით აიხსნება, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩეველთა შორისაც კი საკმაოდ იყვნენ თვითმპყრობელობის ოპოზიციის წარმომადგენელნი. 1906 წ. 8 აპრილს საბჭოს წევრად აირჩიეს ილია ჭავჭავაძე.

ილიას მეგობრები და პატივისმცემელნი ძალიან გახარებულნი იყვნენ მისი არჩევით. ილიას ქაღალდებში ბევრი მილოცვის წერილი და დეპეშაა ამის გამო. სხვათა შორის, აქ არის ნიკო ნიკოლაძის დეპეშა ფოთიდან 9 აპრილის თარიღით. მოგვყავს იგი, როგორადაც დაწერილია (მაშინ ქართული დეპეშების გზავნა არ შეიძლებოდა); „Бесконечно радуюсь, твоему избранию. Сердечно поздравляю. Ждем вас в Поти. Николадзе". (განუსაზღვრელად მიხარიან შენი არჩევა. გულითა და სულით გილოცავ. გელით ფოთში. ნიკოლაძე).

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს პირველი ქართველი წევრი იყო. საბჭოში იგი მიემხრო მემარცხენეთა მცირერიცხოვან, ეგრეთწოდებულ აკადემიურ ჯგუფს, რომელშიაც შედიოდნენ საბჭოს არჩეული წევრები, უმთავრესად პროფესორები და პროგრესული მოღვაწეები. ეს იყო მიზეზი, რომ ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ რუსეთის თავად-აზნაურთა შავრაზმელმა წარმომადგენლებმა პურიშკევიჩმა და კრუპენსკიმ შემდგომ არჩევნებზე ასე განაცხადეს:

— ილია ჭავჭავაძე აირჩიეს და შეგვარცხვინა! მემარცხენეებში ჩაეწერა. მოგვეცით თვითმპყრობელობისა და მონარქის ერთგული ვინმე, ჩვენ მას ავირჩევთ, თუგინდ წერა-კითხვა არ იცოდეს, სხვა მიმართულებისას კი არ გავაჭაჭანებთო [1]).

პროფ. ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, პეტერბურგს ილიას ჩასვლისას იქაურ ქართველთა წრეს გაუმართავს ილიას პატივსაცემად შეხვედრა — ბანკეტი. ამ ბანკეტს, ჩემს გარდა, დაესწრნენ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გ. ერისთავი (მაშინ უკვე ცნობილი ვექილები პოლიტიკურ პროცესებში), ა. ერისთავი, ს. ვირსალაძე და სხვანი. ლ. ანდრონიკაშვილმა ილიას მიმართა ჩინებული სიტყვით. ილიამაც უპასუხა საკმაოდ ვრცლად. კარგად მახსოვს მისი პირველი ფრაზა: „ქართველები ბედოვლათები ვართ ქებაშიაცა და ძაგებაშიაცო". აქ, ილია, უეჭველია, ჰგულისხმობდა ქართული პრესის ერთი ნაწილის ლაშქრობას მის წინააღმდეგო.

---

[1]) მ. ბ ო ლ ქ ა ძ ე. ახლო წარსულიდან. „განათლება", 1908 წ. № 3—4.

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და მკითხველებს გადავცემთ პროფ. ივ. ჯავახიშვილისავე ცნობას, დამყარებულს განსვენებული სპ. ვირსალაძის ნაამბობზე. სპ. ვირსალაძესთან პოლიტიკურ საკითხებზე კამათის დროს (ილიას სახლში) 1905 — [illegible] გასულა მეორე ოთახში, გამოუტანია დიდტანიანი ხელნაწერი [illegible] ნაწყენის, მაგრამ დინჯი კილოთი უთქვამს სპ. ვირსალაძისათვის: აი, ეს არის ჩემი უკანასკნელი შრომა, ქართული ლექსიკონი, ამას გავათავებ და მერე აღარაფერს დავეძებ, რაგინდ ადრეც მოვკვდეო. სად არის ნეტა ეს ლექსიკონი, იცოდა, ან იცის ვინმემ თუ არა მისი არსებობა დანამდვილებით? ეს საინტერესო საკითხი უეჭველად უნდა გამოირკვეს.

საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს რამდენიმე ინტერვიუ ჰქონდა პეტერბურგის გაზეთების თანამშრომლებთან, რომლებსაც ტფილისის გაზეთებშიაც გადმობეჭდავდნენ ხოლმე. მოვიყვანთ ილიას ერთერთ განცხადებას, რომელიც სწორად ახასიათებს არათუ მაშინდელ მის პოზიციას, არამედ საერთოდ მის მსოფლმხედველობას.

სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობდნენ ზოგნი ჩემნი ამორჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი, ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ძალღონესო [1]).

ამასვე იმეორებს იგი იმ ინტერვიუში, რომელიც გადმობეჭდილია რუსეთის გაზეთებიდან „ტიფლისკი ლისტოკის" 1906 წ. 20 აპრილის ნომერში: „მე ადგილობრივი ინტერესების დამცველი ვიქნები... საქართველოსთვის მე მომიხდება დავიცვა ფართო თვითმმართველობა საკანონმდებლო უფლებებით ადგილობრივ საჭიროებათა და ინტერესების დარგშიო".

ილია ხშირად დაიარებოდა სახელმწიფო სათათბიროს სხდომებზე. მას მოსწონდა ზოგიერთი დეპუტატი, — მაგალითად ტროუდოვიკები, ჟილკინი და ნაზარენკო. (უკანასკნელი ჩვენში იყო აღზრდილი და ქართულიც იცოდა). ილია დიდი ყურადღებით ეპყრობოდა დეპუტატ ი. ბარათაშვილის საქმიანობას, რადგან ი. ბარათაშვილი, მოითხოვდა საქართველოს ავტონომიას, ეს კი მაშინ ილია

---

[1]) ნ. ბოლქვაძე. ახლო წარსულიდან „განათლება", 1908 წ. № 3 — 4.

ჩვენ ვიცით, თუ რა მაღლა აეყენებდა ილია ჭავჭავაძე ვაჟა-ფშაველას და მის პოეზიას. „ხშირად, როცა ილიას სამუშაო ოთახში შევდიოდი, ილია მომეგებებოდა: კარგი საჩუქარი მაქვს თქვენთვისო. და წამიკითხავდა ვაჟა-ფშაველას რომელიმე ახალ ლექსს“, გადმოგვცემს არტ. ლეისტი.

გ. ყიფშიძე (აგრეთვე ი. მანსვეტაშვილიც) მოწმობს, რომ ილიას უთქვამს: არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავდოთ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთო.

ორიოდე სიტყვა ილიას ორატორობაზე. ილია გარეგნად ყოველთვის დინჯი, მოფიქრებულად მოლაპარაკე იყო. დარჩენილია რამდენიმე ნიმუში მისი ენამზეობისა: სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვები. მაგრამ მარტო წაკითხვით, ცხადია, ძნელია ილიას ორატორული ნიჭის სავსებით წარმოდგენა. იგი კი, ყველა თანამედროვეთა მოწმობით, შესანიშნავი მჭერმეტყველი, გონება-მახვილი და მხატვრული სახეებით მოლაპარაკე იყო. მისი მჭერმეტყველების ძალას მოწინააღმდეგენიც უცილობლად აღიარებდნენ და მორჩილად ქედს იხრიდნენ. ბანკოვიადის ხანაში ეგრეთწოდებული მაჩაბლისტების ერთერთ ბელადსა და თვითონაც კარგ მოლაპარაკეს, მიხეილ მაჩაბელს, არაერთხელ დაუწყია თავისი სიტყვა ასეთი გულწრფელი განცხადებით: რასაკვირველია, მე არა ვფიქრობ მჭერმეტყველობაში ილია ჭავჭავაძეს შევეჯიბრო. მე მას არაერთხელ დავუმარცხებივარ ამ მჭერმეტყველების ტურნირებშიო. ილიას ერთ-

---

[1]) „საქ. გული“, 1923 წ. გვ. 34.

ერთი საუკეთესო სიტყვა, წარმოთქმული [illegible] ძღვრიანთკარის სკო-
ლის გახსნაზე, ინგლისურად გადაუთარგმნია ცნობილ ოლ. ფორ-
დროპს და იგი ქრესტომათიაში მოუთავსებიათ, როგორც [illegible]
ტყველების ნიმუში. ცნობილია აგრეთვე ი. ჭავჭავაძის [illegible]
ლი პასუხები რეპლიკებზე, რომლებსაც მემუარისტები გადმოგვცე-
მენ და რომელთა კვალიც მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებსა და კრე-
ბების ანგარიშებშიაც მოიპოვება...

საინტერესოა თვითონ ილიას მოწმობა თავის ლაპარაკზე. ჩემი
წესი ეს არის, — ამბობდა იგი გ. ქურულთან საუბარში: არ
დავიწყებ სიტყვას, თუ არ გადავწყვიტე ჩემთვის, როგორ დავიწყო
სიტყვა და როგორ დავათავო. რაკი თავი და ბოლო გათვალისწინე-
ბული მაქვს, უკვე ალარაფრისა მეშინიანო.

ჩვენის აზრით, მემუარისტთა შორის ილია ჭავჭავაძის ორატო-
რობის შესახებ ყველაზე სწორ სურათს იძლევა ილ. ზურაბიშვილი
და ამიტომ მთლად მოვიყვანთ ამ მოგონების სათანადო ადგილს.

„ილია მოსაუბრე ორატორი იყო, ამბობს ი. ზურაბიშვილი. კრე-
ბას იგი ისე ელაპარაკებოდა, თითქო შინაურობაშია და რაღაც სა-
ინტერესო რასმე უამბოსო დინჯად, წყნარად, აუღელვებლად. იგი
საკვირველი ოსტატობით ხმარობდა უხვად მომადლებულ ნიჭს
ჰუმორისას, რომელიც ხანდახან სარკაზმში გადადიოდა... ილიას
ორატორობაში თეატრალობა სულ არ სჩანდა, არტისტულობა კი
დიდად. მას არ მოსდგამდა კილოშეკიდებული ლაპარაკი, ხმის აკან-
კალება და პათოსი, ხელების სავსავი და გადამეტებული ჟესტიკუ-
ლაცია. სამაგიეროდ, როცა საჭირო იყო, მან იცოდა სხეულის რაი-
�ე მოძრაობით მიზანში ამოღებული მოწინააღმდეგის სუსტი მხა-
რის გამომზევება. მაგალითად, თვალნათლივ მახსოვს ერთი მომენტი.
ლაპარაკი იყო ბანკში მუშაობაზე, ვინ რას აკეთებსო. ილიას სიზარ-
მაცეს სწამებდნენ. რამდენადაც მახსოვს, ილიამ სთქვა, — საქმე ის
კი არ არის, ყველას კარებში მიეგებო — „Пожалуйте, что при-
кажете? К вашим услугам“ და სხვა ამისთანებიო. — და ამ დროს
ილიამ ისეთი პოზა მიიღო, ისე სხარტად გააქლასუნა იატაკზე ფე-
ხები, თანაც იგი ისე იფშვნეტავდა ხელებს და ისე გამოიყურებოდა,
რომ... იქ მყოფთ თვალწინ წარმოუდგათ ყველასათვის კარგად ცნო-
ბილი, ზრდილობიანი და ყურადღებით სავსე შეხვეღრა ივანე ბა-
ჩაბლისა. ამავე დროს ილიას მიმოხვრაში იმდენი არტისტული კო-
მიზეზი იყო, რომ დარბაზში სიცილი გაისმა.

ამასთანავე, ილია საკვირველად უსინჯავდა აუდიტორიას კბილს.
მან ყოველთვის კარგად იცოდა დარბაზში მყოფთა სულიერი გან-

წყობილება და რა დროს რა ოსტატური ხერხისთვის უნდა მიემართნა...

ილიას პათოსი — განრისხება იყო. რისხვა კი დიდი ... ყვირილი, არა ძახილი ხმითა დიდითა, არა ვაი უშველებელი, ... ოდნავი ხმის აწევა და ფოლადური სიმტკიცე თითოეულ სიტყვაში, თანაც ცეცხლით ანთებული თვალები და დოღში გამოსული ბედაურივით ამოძრავებული ცხვირის ნესტოები. ამ დროს მთელი მისი არსება ენერგიის განხორციელება იყო.

ხმა ილიას დიდი არა ჰქონდა, არც ძალიან მჟღერავი, მაგრამ მკაფიო, მკვეთრი და დიდ დარბაზშიაც კი ნათლად გასაგონი"...

საერთოდ ილია ჭავჭავაძე ტემპერამენტიანი იყო ყველაფერში, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, მაგრამ სრულიად არაატაცებული. ი. მანსვეტაშვილის გადმოცემით, თვითონ ილია იტყოდა ხოლმე: კამეჩის ჯიშისა ვარ. რაგინდ მძიმედ დატვირთული ურემი იყოს, ხრამიდანაც ამოვიტან, თუ უღელში შესაფერი ტოლები მეყოლებიან. მაგრამ ოჩანი ცხენის ზნეცა მჭირს: თუ ერთი შევდექი, დავოჩნდი — გათავდა, მერე კეტებით რომ მცემოთ, წინ ფეხს ველარ გადამადგმევინებთო.

ალბათ ამ თვისების გამო ზოგიერთი მემუარისტი ლაპარაკობს ილია ჭავჭავაძის ვითომდა ზარმაცობაზე. მაგრამ იმავე მემუარისტების მიერ მოყვანილი ფაქტებიდან ცხადი ხდება, რომ ეს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, გაუგებრობაა. გავიხსენოთ ჯერ მისი საზოგადო საქმიანობა, ბანკი და ბევრი სხვა ქართული დაწესებულება, რომლებშიც ილია მონაწილეობდა. გადავხედოთ მის ნაწერთა ჯერ გამოუცემელ ზღვას და ადვილად მივხვდებით, რომ ილიას ზარმაცობა ზღაპარია. პირიქით, საკვირველი ისაა, თუ როგორ ასწრებდა იგი ამდენის კეთებას! მუშაობა კი გატაცებული და თავგამოდებული იცოდა: რამდენჯერ დასთენებია უბრალო მეთაურის წერაზე, საგაზეთო მასალის სწორებაზე, ენის უმართებულობასთან ბრძოლაში. და ილია ამას სჩადიოდა იმიტომ, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა ჰქონდა მკითხველის წინაშე, საზოგადოების წინაშე, ქართული ენის წინაშე!

და თუ მძიმე შრომის შემდეგ, ილია ჭავჭავაძე მართლაც ისვენებდა დევგმირივით, ან გატაცებით თამაშობდა ბანქოს, ნარდსა და სხვას, ეს აღარ უნდა იყოს საკვირველი, თუმცა ეს არც თუ ისე ხშირი ამბავი იყო.

ცოტა რამ კიდევ ილიას ენაზე. ზოგნი აღნიშნავენ, რომ ილიას პუბლიცისტური ენა, მიუხედავად მხატვრულობისა, ნაკლებად სხარტია, მრავალსიტყვიანიაო (ი. მეუნარგია, გ. თუმანოვი). ილიას ენა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძეგლი „მწუხარე საქართველო“ ილიას საფლავზე

აქ მართლაც ნაკლებად ეკონომიურია, მაგრამ ეს აიხსნება მანინ-
დელი საგაზეთო პირობებითაც. მოუმზადებელი მკითხველისთვის
საჭირო იყო ხშირი განმეორება და გადახვევანი, რომლებსაც
თავდნენ, რუსეთის ისეთი მწერლებიც, როგორიც იყვნენ
ჩერნიშევსკი და მიხაილოვსკი.

მაგრამ, სამაგიეროდ, რა ექსპრესიით, რა ხალისითა და ბრწყინ-
ვალედ არის დაწერილი ილიას პოლემიკური წერილები და ფელე-
ტონები 1902 წლისანებიც კი! აქ სრულიად არაა ის მდორეობა,
რომელიც ზოგ მის საგაზეთო წერილს ეტყობა. მის მხატვრულ ნა-
წარმოებთა შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია! ზოგი მათგანი ილიას
სულ მოკლე ხანში (5 დღესა და ღამეს) დაუწერია, ერთი შეტევით,
მდევისებური აღტყინებით. მაგალითად „ოთარაანთ ქვრივი". და
მერე რამდენ დიდტანიან სოციოლოგიურს ტრაქტატს აღემატება ეს
შედარებით პატარა, მაგრამ მრავალმეტყველი, ქანდაკისებური ქმნი-
ლება! ილიას სტილი მოთხრობებში, განსაკუთრებით კი „ოთ. ქვრივ-
ში" თანაბარი, ძარღვიანი და ლაპიდარულია. ილია თავის მხატვ-
რულ ნაწერებსაც მერე ბევრს ასწორებდა, მაგრამ ეს შეეხებოდა
უფრო წვრილმანებს. ილია ერთ კერძო წერილში აღნიშნავს: მო-
თხრობამ ისე უნდა იაროს ქვეყნად, როგორც პირველად შობილაო.
საერთოდ კი, როგორც თავის მხატვრულ ნაწარმოებებსა, ისე პუბ-
ლიცისტიკაში, ილია ჭავჭავაძე გვევლინება როგორც ქართული
ენის, მისი უხვი ლექსიკონური განძის საუკეთესო მცოდნე და ენა-
მზე ოსტატი.

აღსანიშნავია ილიას პურადობა. ჩვენში მაშინ ჩამოსულ ყველა
უცხოელ მეცნიერთა თუ მწერალთა მასპინძელი მუდამ ის იყო.
გავიხსენოთ აგრეთვე მისი „ხუთშაბათები", რომელსაც ქართველი
ლიტერატურული მოღვაწენი სისტემატურად ესწრებოდნენ და
ბოლოს ცნობილი ილიაობა (20 ივლისი) საგურამოში, სადაც ყო-
ველწლიურად ასობით სტუმარი იკრიბებოდა. — წინააღმდეგ ზო-
გიერთი მემუარისტისა, რომელთაც ამ დღესასწაულში მხოლოდ ქეი-
ფი და ღრეობა შეუმჩნევიათ, ილიობას ფრიად დიდი კულტურულ-
საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მისთვის წინდაწინვე ემზა-
დებოდნენ ქართველი ჟურნალისტები, ლიტერატორები, პოეტები და
მწერლები. აქ ხდებოდა, როგორც ერთმა მონაწილემ სთქვა, ერთ-
გვარი დათვალიერება, ყოველწლიური პარადი და შემოწმება ეროვ-
ნულ-კულტურული ძალებისა. „მხოლოდ თითო-ოროლა სახელოვა-
ნი ჩვენი მწერალი და მოღვაწე თუ არ ყოფილა როდისმე ამ დროს
საგურამოში, თორემ დანარჩენთა შორის ბევრს არ მოისაკლისებ-
დითო", ამბობს გრ. ყიფშიძე. აქ თავს იყრიდნენ „ილიას მეგობრები

და ამხანაგები, მისი პატივისმცემელნი ტფილისიდან, ქუთაისიდან, სოფლებიდან, ქალი, კაცი, ძოხუცი და ახალგაზრდობა. სუფრა ადრე გაიშლებოდა: რამდენიმე სუფრა მეორე სართულში და რამდენიმე ეზოში, აგრეთვე საგურამოს გლეხებისათვის" [1]) დასძენს ბ. ... შვილი. საერთოდ ილიას ყოველთვის კარგი განწყობილება ჰქონდა საგურამოელ გლეხებთან და ბევრ მათგანთან უყვარდა ბაასი. სოფლის მუშაობაშიაც ბევრჯერ მონაწილეობდა, განსაკუთრებით კალოობის დროს. „აქ, საგურამოში უახლოვდებოდა ილია ხალხის ცხოვრებას და ენას, ამბობს ი. მეუნარგია. ყოველ შეყრასა და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას, როგორც ფუტკარს, საზრდო გამოჰქონდა ხალხიდან თვისი სიტყვიერებისათვის. დღეს ამ გლეხმა ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო, იტყოდა მგოსანი... ხალხი იყო ილიასთვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმისა" [2]).

გარდა ამ ფართო პურადობისა, გავიხსენოთ აგრეთვე, რომ გაზეთი „ივერია", მეტწილად ხარჯებს ვერ ასდიოდა და ი. ჭავჭავაძე თავის ჯიბიდან ადებდა ფულს მის გამოცემას, რათა ეს ერთადერთი ქართული გაზეთი არ შეჩერებულიყო.

პირად ცხოვრებაში, პირველი შეხედვით, ილია თითქოს მიუკარებელი და გულჩათხრობილი იყო. ტკბილი სიტყვა რას მიქვიანო, შეეძლო განემორებინა პოეტს საკუთარ თავზე თავისი ოთარაანთ ქვრივის ნათქვამი. საერთოდ ილიას ბევრი რამ აქვს თავისი პირადი თვისებებიდან მიწერილი ოთარაანთ ქვრივისადმი. აი, ერთერთი მისი ბარათი მეუღლისადმი 1887 წლის თარიღით №158). აქ ილია შესანიშნავად ახასიათებს თავის თავს და აშკარად ცხადჰყოფს ოთარაანთ ქვრივის ხასიათის ზოგიერთი დეტალის წარმოშობას.

„ოცდაოთხი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და ნუთუ ჩემი საძაგელი ხასიათი ვერ იცანი ჯერაც, სწერს ილია მეუღლეს. განა არ იცი, რომ თუ მეწყინა რამე, გულში ჩავიხვევ ხოლმე და შუბლს აღარ გავიხსნი არავის წინ, ვინემ გულიდამ ჯავრს არ გადავიყრი. ორმოცდაათი წლის კაცი ვარ და ხელახლა ხომ აღარ დავიბადები?.. ღმერთს ჩემთვის ალერსის ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ ალერსიანი სიტყვა ვუთხრა ვისმე, მე თვითონ ვწითლდები. გაწითლებას კიდევ გავუძლებდი, სწორედ სულიერად ვიტანჯები ხოლმე. ასე მგონია ხოლმე, რომ გული გავიუპატიურე, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამო-

---

[1]) „მემუარები", გვ. 92.

[2]) „მნათობი", 1936 წ. № 5—6, გვ. 249.

ითქმის. იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით ლეკ მეფეებმ არ სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში".

ილია ადვილად არ დაიახლოვებდა ვისმე. მაგრამ [illegible] მეგობრობა ჰქონდა, მათთან უყვარდა როგორც [illegible] ლაღობა და გართობა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მისი ურთიერთობა ცნობილ მწერალ-მკვლევარ ნიკო ხიზანიშვილთან, (მეუღლე მსახიობ ე. ჩერქეზიშვილისა). ნ. ხიზანიშვილი ილიას ერთი ნიჭიერი თანამშრომელთაგანი იყო, კარგი მოქართულე და ძალიან ენამახვილიც. განთქმული იყო მისი სმა-ჭამის სიყვარული. მოვიყვანთ ილია ჭავჭავაძის ერთერთ სახუმარო და თანაც გულთბილ ბარათს მისდამი:

„ყოვლად მოწყალე ბატონს გაუმაძღარს ნიკო ხიზანაშვილს. „ჩემო კარგო ნიკო! სწერს ილია. იმდენად შენი გაძღომა არ მინდა, რამდენადაც შენი ნახვა ერთ საჭირო საქმისათვის; რადგანაც შენ საქმე ისე არ გაგიტაცებს, როგორც საჭმელი, ამიტომ გახარებ, რომ დღეს ძალიან კარგი ორაგული გვაქვს. ერთი სიტყვით, ორაგულია ისეთი, რომ შახტები და შემოტრიალდები სიმსუნაგით, თუ შენი ჩვეულებრივი დარბაისლობა არ დაგიშლის ამ შეხტომას და შემოტრიალებას. შენი ილია ჭავჭავაძე".

ილიას ჰყვარებია სუფრაზე მოლხენა, სიმღერა, მაგრამ თვითონ სმენა ნაკლებად ჰქონია და არც ხმა უვარგოდა სასიმღეროდ. „ძალიან უყვარდა სიმღერა — „მუმლი მუხასა" გადმოგვცემს თავის „მემუარებში" გ. ლასხიშვილი. ეს იყო, მგონი ერთადერთი სიმღერა, რომლის ასრულებაში თვითონაც იღებდა მონაწილეობას. „მუმლი მუხასა გარს ეხვეოდა", დაიწყებდა ილია. ბოლოს მაღალი ხმით, მაგიდაზე მუშტის დაკვრით გაათავებდა: „მუმლი დაიღრჩო, მუხა გადარჩაო", ისეთი ახალგაზრდული გატაცებითა და გრძნობით შეჰ-ჰყვირებდა, თითქო თვალწინ ხედავდა, როგორ იღრჩობოდნენ საქართველოს მტერნი (მუმლი) და როგორ გადარჩა მუხა (საქართველო). [1]).

არტ. ლეისტის სიტყვით, ილიას სიამოვნებას ჰგვრიდა მოსმენა ავტომატური საკრავისა, რომელიც 80-იან წლებში პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილს ეძღვნა მისთვის. სიბერის ჟამს მას შეუყვარდა ერთი ქართული სიმღერა, რომელსაც გრამოფონზე ხშირად აკვრევინებდა. ეს იყო:

სული მიწუხს,
გულიც მასთან ლონდება,

---

[1]) „მემუარები", გვ. 92 — 3.

და სხვა. ერთხელ ილიას უთქვამს არტ. ლეისტისთვის ... ლერის შესახებ: „არტურ, ჩემი სიკვდილის შემდეგ ... რეთ ეს ჰანგი და მაშინ, უეჭველია, მოიგონებთ თქვენს ძეგობარს და მშვენიერ დღეებს, რომელიც ერთად გვიტარებიაო". ილიას მოსაგონებლად, რასაკვირველია, ეს ჰანგი ჩემთვის საჭირო არ არის, დასძენს ა. ლეისტი, მაგრამ ილიას გარდაცვალების შემდეგ თითქმის ყოველდღე რამდენჯერმე დაბალის ხმით ვიმღერი და მასთან ერთად ვიგონებ ილიას ნაღვლიან სიტყვებსო. [1]).

საინტერესოა ილიას გარეგნობა თანამედროვეთა აღწერით. დაბალი ტანისა, ჩასხმული, კარგად ჩასქელებული — ამბობს ი. მანსვეტაშვილი. ამ ტანზე თავი, რომელიც საბერძნეთში ღირსი და დამაძშვენებელი იქნებოდა ფიდიუსის ქანდაკებისა; მაღალი, გადატკეცილი შუბლი, საგანგებოდ სწორი ცხვირი, მრგვალი, მოძრავი ნესტოებით, მაგრად მოკუმული ტუჩები ისე, რომ კბილებს არასოდეს გამოაჩენდა, ცოტა წინწამოწეული ნიკაპი, ჭკვიანი, მეტყველი თვალები, ხან ლმობიერნი, ხან ცეცხლის მფრქვეველნი...

XIX

თვითმპყრობელობის პროვოკაცია. ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ილიას დაკრძალვა. სიტყვები. ილიას ძეგლი.

და აი ასეთი შესანიშნავი ადამიანი და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ დაუღალავი მოღვაწე — ავაზაკურად მოჰკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს დღისით, მზისით. მთელი 30 წლის განმავლობაში საიდუმლოებით იყო მოცული ნამდვილი მიზეზები წიწამურის ტრაგედიისა. მხოლოდ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, მოგვეცა საბუთები იმისა, რომ ვთქვათ: ილია ჭავჭავაძის მოკვლა მოაწყეს თვითმპყრობელობის აგენტებმა, რადგან ილია მიაჩნდათ ისეთ დიდ ფიგურად, რომლის გარშემოც შესაძლებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალთა დარაზმვა. მათ მიზნად ჰქონდათ ფართოდ ძოფიქრებული პროვოკაცია და კინაღამ მიზანსაც მიაღწიეს: მათ საშინელი არევ-დარევა შეიტანეს ქართულ რევოლუციურ წრეებსა და პარტიებში და კინაღამ ერთმანეთს დაატაკეს ისინი. მაგრამ ილიას სიკვდილმა, ბოლოს და ბოლოს, სულ სხვა როლი ითამაშა, ვიდრე მისი ორგანიზატორები მოელოდნენ. თავზარდაცემული სა-

[1]) „საქ. გული", გვ. 48.

ზოგადოება უფრო მეტად შემჭიდროვდა, უფრო მეტად დაირღვა თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ გრძნობამ ამ სულისკვეთებამ ცოტა ხნის შემდეგ შესანიშნავი გამოხატულება ჰპოვა — აკაკი წერეთლის „ბაზალეთი“ (1908 წელს), როდესაც ერთხელ კიდევ მძლავრად იფეთქა ეროვნულ-რევოლუციური განმათავისუფლებელი საქმისადმი სიყვარულმა.

ცენტრარქივში მოიპოვება საქმე ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა, სადაც თავმოყრილია დიდძალი მასალა. ამ და სხვა მასალის გადათვალიერებით ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლა მოწყობილია მოურავის დიმიტრი ჯაშის ხელმძღვანელობით, რომელიც პროვოკატორი აღმოჩნდა. მთელი ამ საქმის საბოლოოდ ნათელსაყოფად ამჟამად სწარმოებს მუშაობა და სათანადო დოკუმენტები უახლოეს მომავალში ცალკე წიგნად გამოიცემა. ახლა კი მოკლედ მოვიყვანთ მხოლოდ წინასწარ ცნობებს.

როგორც კი გამოძიება დაიწყო, მაშინვე ეჭვი დ. ჯაშზე მიიტანეს. იგი 1907 წლის მაისიდან თუ ივნისიდან დამდგარა ილიას მოურავად. წინათ მას ათასგვარ საქმიანობაში უცდია ბედი: ყოფილა ჯერ ასოთამწყობად, შემდეგ ჟურნალისტად, შემდგომ მოურავად, ილიას მკვლელთა საქმის გარჩევისას კი გვევლინება, როგორც მთავრობის გაზეთ „კავკაზის“ რეპორტიორ-კორესპონდენტი.

ყველანი, ვინც კი ჩვენებას იძლევა, ჯაშს ახასიათებენ ბნელ, უსიმპატიო პიროვნებად. თავდაპირველად გამოძიებას აწარმოებდა დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფალავა: იგი აღნიშნავს: „ლეხები ილიას მკვლელობის მომწყობად ასახელებენ ჯაშს, მაგრამ ისე არიან დაშინებულნი მისგან, რომ დასძენენ: საჯაროდ ამას ვერ ვიტყვით, ამოხოცვისა გვეშინიაო (საქმე № 17 — გვ. 32).

ურიადნიკი ემეცი ამბობს: მე და დ. ჯაში მკვლელობის დღეს ვივდიოდით ქალაქისაკენ. ის ნერვიანობდა და წამდაუწუმ ამბობდა: ილია ჭავჭავაძე უნდა ჩამოსულიყო, აი, სადაც არის გამოჩნდება მისი ეტლიო. როდესაც მოკლულის ეტლს მივადექით „ჩემთან ლაპარაკის დროს ამნაირი საშწუხარო სურათის (მოკლული ილიას დანახვაზე), ჯაშმა სთქვა „მადლობა ღმერთს, კნეინაც მოუკლავთო“. მე ძალიან გამაკვირვა ამან და ვერ მივხვდი, თუ რატომ გაეხარდა მას კნეინას სიკვდილიო“ (იქვე, გვ. 79). თვითონ ჯაში ადასტურებს: ჩემმა ცოლმა დარიამ ერთი თვის წინათ იცოდა კნეინას მსახურის პელაგია მკურნალაძისაგან, რომ ილია უნდა მოეკლათ. პ. მკურნალაძე ეუბნებოდა დარიას: აქ სად მოსულხართ, როგორ არ გეშინიათ, რომ მოგკლავენო. პირისპირ წაყენებისას

პ. მკურნალაძე კატეგორიულად უარჰყოფს: ეგ რომ მცოდნოდა, რაღა მაგათ გავაფრთხილებდი, მე თვითონ წავიდოდი ოქედან. „შეიძლება ის (დარია ჯაში) მომაწერს ეგ, რაც მან ჩემზე უკეთ იცოდა“. (იქვე გვ. 176).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ილია, ისე მისი მეუღლე ოლგა ეჭვით უყურებდნენ დ. ჯაშს. მკვლელობის შემდეგ ოლგა აჩვენებს: ჩემოდანში წერილები მქონდა ილიასი, რომელშიაც მწერდა: ჯაში მატყუარა და არაკეთილსინდისიერი კაცი აღმოჩნდა. როგორც ჩამოვალ, სამსახურიდან დავითხოვო. როდესაც გრძნობადაკარგული ეტლით მივყავდით საგურამოსკენ და ეტლში ჯაში მიჯდა, სულ იმის გრძნობა მქონდა, რომ ილიას მკვლელი იყო ჩემთან და იმას ეჭირა ჩემი ხელიო.

ილია ჭავჭავაძის მეფუტკრე დანიელ მასლოვი აჩვენებს: ჯაში ილიას წინააღმდეგ ინტრიგებს ეწეოდა მოსამსახურეებსა და გლეხებში. ილიამ ერთხელ უთხრა კიდეც: „მე კარგად ვხედავ, რასაც სჩადიხართ. თქვენ გინდათ ხალხის თვალში ანგელოზის სახელი დაიმსახუროთ, მე კი რაღაც მტარვლად გამომიყვანოთ, მაგრამ თქვენ არ გესმით, რომ მე თქვენზე უფრო მეტად მიყვარს ეს ხალხიო“ (იქვე, გვ. 177).

დაბალი მოხელეები თითქოს გულმოდგინედ აწარმოებდნენ მკვლელობის გამოძიებას, მაღალი ადმინისტრაცია კი ნაკლებად იყო შეშფოთებული. დიმ. ჯაში დააპატიმრეს 1907 წ. სექტემბერში და იგი რამდენსამე თვეს იჯდა ციხეში. ერთერთ განცხადებაში ადმინისტრაციის სახელზე, ჯაში თავს იკატუნებს და ამბობს: გამიშვით და მე დაგეხმარებით ილიას მკვლელების აღმოჩენაშიო. მკვლელობის შესახებ წერილი გავგზავნე გაზ. „ზაკავკაზიეში“, არ იბეჭდება და აიძულეთ მისი რედაქტორი პ. გოთუა დაბეჭდოს იგიო. როგორც ჩანს, ჯაშს იდუმალი მფარველები ჰყავდა. იმ ორ ტომში, რომელიც ჩვენ გადავათვალიერეთ, ჯაშის უბრალო დაკითხვის ოქმიც არ მოიპოვება! სამაგიეროდ არის ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამართველოს მოწერილობა 20 სექტემბრის თარიღით, №185, პა-სუხად განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებლის იანჩევსკის შეკითხვისა: დ. ჯაშის შესახებ წინათ გვქონდა მიწერმოწერა და მისი პოლიტიკური თუ სხვა მხრივ კეთილსაიმედოობის შემგლალველი საბუთის უქონლობის გამო ყოველგვარი ძიება შეწყვეტილიაო (იქვე, გვ. 105).

და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ დ. ჯაშს მალე ათავისუფლებენ. მას არ იწვევენ არა თუ ბრალდებულად, არამედ უბრალო მოწმედაც, კი და იგი პროცესზე მიდის, როგორც უბრალო მაყურებელი, ...

ათი, ოქროს სათვალე, მისი მეუღლის ოქროს ბროშკა, საკვირაო ცოტაოდენი ფულით.

ამ საშინელმა ამბავმა თავზარი დასცა მთელ საქართველოს. ყველანი გულწრფელად გლოვობდნენ საქართველოს საამაყო [illegible] და ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის უდიდესი მეშაკის ასე ვერაგულად მოკვლას. ყველა გაზეთი, განურჩევლად მიმართულებისა, მკაცრად ჰგმობდა მკვლელობას და მოითხოვდა სასტიკ გამოძიებას. თუმცა ერთი წლის შემდეგ სასამართლოში პროცესი იყო იმ პირებისა, რომელთაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ჰბრალდებოდათ, მაგრამ დღემდე გამოურკვეველი რჩებოდა, თუ ვინ იყვნენ ნამდვილი ორგანიზატორები ამ საზიზღარი საქმისა. ერთი რამ კი ცხადია. სავსებით მართალი იყო პოეტი ვაჟა-ფშაველა, როდესაც გულდამწვარი სწერდა მაშინ: ილიას მკვლელობის მომწყობთ რომ შესძლებოდათ, უეჭველად საქართველოსაც მოჰკლავდნენო.

ილია ჭავჭავაძის ჩამოსვენება საგურამოდან ტფილისში 7 სექტემბერს ეს იყო მთელი ქართველი ხალხის ნამდვილი მგლოვიარების დემონსტრაცია. ვერაზე, ახლანდელი ლენინის ქუჩის დასაწყისთან, სადაც ამჟამად აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკაა, ქუჩა სულ მთლად გაჭედილი იყო ხალხით, რომელიც ილიას ცხედარის ჩამოსვენებას მოელოდა. ჩამოსულნი იყვნენ დეპუტატები საქართველოს ყველა კუთხიდან. ცხედარს გარს ერტყა საპატიო მცველთა რაზმი, შავებში გამოწყობილი. ასეთი გრანდიოზული პროცესია ტფილისს ჯერ არ ენახა.

ტფილისს პროცესიამ მიაღწია ნაშუადღევის 3 საათზე. ლენინის ქუჩაზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელზედაც მრავალი სიტყვა წარმოითქვა. ილაპარაკეს ი. ზურაბიშვილმა, სილოვან ხუნდაძემ, ვლ. მიქელაძემ და სხვებმა. ცხედარი მიასვენეს სიონის ტაძარში, სადაც მრავალი ხალხის თანდასწრებით დაკრძალვამდე პანაშვიდებს იხდიდნენ.

ილიას დაკრძალვა მოხდა 9 სექტემბერს. დასაფლავებას თითქმის ასი ათასი კაცი დაესწრო. მის კუბოს და საფლავს ამკობდა ორასამდე გვირგვინი სხვადასხვა დაწესებულებათა და პირებისაგან. როდესაც პროცესიის თავმა რუსთაველის პროსპექტით ჭავჭავაძის ქუჩაზე შეუხვია, მისი ბოლო ჯერ კიდევ სიონთან იყო. ილია დაკრძალეს მთაწმინდაში. დასაფლავებაზე სიტყვები წარმოსთქვეს: აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, „მშაკის" რედაქტორმა ქალანთარმა, ნ. ცხვედაძემ, ი. მეუნარგიამ, ი. ფანცხავამ, ირ. ევდოშვილმა, გ. რცხილაძემ, ნინო ნაკაშიძემ, მემედ-ბეგ აბაშიძემ და მრავალმა სხვამ. ორატორების სიტყვებზე ხალხი ბევრჯერ ქვითინებდა.

მაშინდელი ქართული გაზეთები სავსეა ილიაზე წერილებით, სამგლოვიარო დეპეშებით საქართველოს და ვრცელი რუსეთის სხვადასხვა შორეული კუთხიდან, აგრეთვე საზღვარგარეთიდან.

ილია ჭავჭავაძის საფლავზე ძეგლის ასაგებად ქართველ ხალხში ფართოდ გროვდებოდა ფული. ჩვენმა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ დაამზადა ძეგლი — მწუხარე საქართველოს — რომელიც ახლაც ამშვენებს პოეტის საფლავს მთაწმინდაში. იგი ოფიციალურად გაიხსნა 1913 წლის 5 მაისს.

მაგრამ ილია ჭავჭავაძემ ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა შეგნებული საქართველოს გულში თავისი მხატვრული ნაწარმოებებით და თავისი საქმიანობით, რომელიც მხოლოდ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს ფასდება გათვითცნობიერებული ხალხის მიერ ჯეროვნად და ღირსეულად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

I

ილიას დაბადება. ჭავჭავაძეების გვარი. ილიას დედ-მამა. მაშინდელი კახეთი. ილიას და-ძმანი. ვინ ასწავლა ანბანი. . . . 7 — 11

II

ილიას სწავლის ხანა. ვორონცოვის პოლიტიკა. ყირიმის ომიანობა და გლეხობის უკმაყოფილება. . . . . 12 — 13

III

ილია ჰაკეს პანსიონში. ილია გიმნაზიაში. მისი მასწავლებლები. როგორ სწავლობდა ილია. . . . . 14 — 18

IV

ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში. ვინ ჰყავდა პროფესორებად. მაშინდელი საერთო ატმოსფერო სტუდენტობაში. ილიას მატერიალური გაჭირვება. სიყვარული. ილიას იტაცებს გარიბალდის მოღვაწეობა. ილია და ქართული ბიბლიოთეკა. ილიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. თერგდალეული. . . . 19 — 33

V

ილიას ჩამოსვლა. 60-იანი წლების საქართველო. პირველი ლაშქრობა ძველთა წინააღმდეგ „ცისკარში". ილიას ჯგუფი. . 33 — 38

VI

„საქართველოს მოამბის" გამოცემისათვის მზადება. ვის ეშინოდა. „საქ. მოამბე" და მისი თანამშრომელნი. რა იბეჭდებოდა ჟურნალში. პოლემიკა „ცისკართან". ნ. ნიკოლაძის მოწმობა. ცენზურის სისასტიკე. . . . . 38 — 46

VII

ილია და ოლღა გურამიშვილი. შეყვარებული ილია. ილიას შეხედულება თავის აწმყოსა და მომავალზე. ქალის პატივისცემა. დაქორწინება. . . . . 46 — 48

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII

ილია ქუთაისში. ილია დუშეთის მომრიგებელი შუამავალი. ილია — მოსამართლე. ილია და ბატონყმობა. ილიას შეტაკება ბატონ-ყმობის მომხრეებთან. ილიას ბამული ყვარელში. . . . . 49 — 52

IX

ილიას მარტოობა დუშეთში. ილიას იმდროინდელი მონაწილეობა ჟურნალ-გაზეთებში. „კრებული". ტფილისს გადმოსვლის ცდა. „გამოცანები" და შეტაკება გრიგოლ ორბელიანთან. აკაკი წერეთლის გამოსარჩლება. . . . . 52 — 58

X

თავად-აზნაურთა ბანკი. ილიას მონაწილეობა წესდების შედგენასა და დამტკიცებაში. ილია — ბანკის გამგეობის თავმჯდომარე. დ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი და ი. ჭავჭავაძე ბანკის საკითხში. . . . . 58 — 62

XI

ილია საზოგადო მოღვაწე. როგორი იყო 70-იანი წლების საქართველო. წერა-კითხვის საზოგადოება. გალაშქრება კატკოვის წინააღმდეგ. ილია მოითხოვს ერობისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას. გალაშქრება იანოვსკის წინააღმდეგ. „დედათა საქმე". ებრაელთა საკითხი. ილია — ცენტრი მაშინდელი ქართველი საზოგადოებისა. . . . . 63 — 70

XII

როდის დაიწყო ილიამ წერა? ილიას ლიტერატურული მუშაობა სტუდენტობისას. „ივერია". ილიას წერილი აკაკისთან. „ივერიის" დაკეტვა მთავრობის მიერ. რა სთქვა „კვალმა" „ივერიის" განახლების გამო. ილიას ჟურნალისტობა და მისი ენა. როგორ დასწერა „ოთარაანთ ქვრივი". ილია უხცო ენებზე. ილიას ფსევდონიმები. . . . . 70 — 73

XIII

ილია ჭავჭავაძე და უარმყოფელობა ჩვენში. „იმედის" ჯგუფი. ილიას აზრი გლეხკაცობაზე. ილიას გავლენა ფართო ფენებში. ილიას იუბილეს გადახდის განზრახვა. . . . . 79 — 82

XIV

ილია ჭავჭავაძე 90-იან წლების დამლევს. ილიას აზრი კერძო და საზოგადო საკუთრებაზე. ილიას საუბარი პროფ. ი. ჯავახიშვილთან კოოპერაციაზე. ილია და მე-19 საუკუნე. შეტაკება მესამე დასელებთან. . . . . 83 — 89

XV

ილიას ავადმყოფობა 1900 წელს. ილია საზღვარგარეთ. . . . . 89 — 93

XVI

ილია ჭავჭავაძის წერილი პეტერბურგის სტუდენტებს. ილია 1905 წ. რევოლუცია. ილია და ჟურნალი „საქართველო". ილია და საქართველოს პოლიტიკური ავტონომია. თავადაზნაურობის ადრესი. ილიას სიტყვა აგრარულ საკითხებზე. ილია და რევოლუციური ბრძოლის მწვავე ფორმები. ილია და საგურამო. ილია მკაცრად ჰგმობს თავად-აზნაურთა შავ რაზმს. ილია და გურიის ამბები. ეანდარმერიის აზრი ილია ჭავჭავაძეზე. . . . . 93 — 104

XVII

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრი. პროფ. ი. ჯავახიშვილის მოწმობა. ილიას ინტერვიუ გაზეთებთან. ილიას შეხვედრა სახ. სათათბიროს ქართველ დეპუტატებთან. ილია და ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირი. ილიას აზრი სახ. საბჭოს წევრებზე. ილიას სიტყვა სახ. საბჭოში. ილია და საშეჯერო-საველე სასამართლოები. . . . . 104 — 112

XVIII

ილია ჭავჭავაძის მებრძოლობა. ილიას დუელები. ილიას ურთიერთობა ნ. ნიკოლაძესა და ა. წერეთელთან. ილია და აღმოსავლეთი. ილიას აზრი ვაჟა-ფშაველაზე. ილია — ორატორი. ი. ზურაბიშვილის მოწმობა. ილიას მუშაობა. ილიას პურალობა. ილიაობა და მისი მნიშვნელობა. ილიას მიერ თავისივე თავის დახასიათება. ილია სურათზე და ახალგაზრდობაში. ილია და მუსიკა. ილიას გარეგნობა. . . . . 112 — 123

XIX

ეროვნებისა ბრძოლის პროგრამა. ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ილიას დაკრძალვა. ილიას ძეგლი. . . . . 123 — 128

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა